სპორტიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 18 ივნისი 1999 №113 (886) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერი: ყაველაშვილი ჩვენ გვჭირდება!



ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონი ქართველი თავდამსხმელის შეძენას ლამობს

ფოთელები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე



გიორგი დარასელიათი გაძლიერებული კოლხეთი დღეს მაკედონიას გაფრინდა

პალმეირასმა ლიბერტადორესის თასი პირველად მოიგო

ქართული ფეხბურთის ნადიმი

ფედერაციამ გუშინ მეათე ჩემპიონატის პრიზიორები მოლხენით დააჯილდოვა

ბოლო ჟამს მწუხრმოძალებულმა ქართულმა ფეხბურთმა წუხელ ლხინის სუფრა გაშალა. რესტორან-კლუბ „ბერიკონში“ ფეხბურთის ფედერაციამ საფეხბურთო სამყაროს დიდი ნადიმი გაუმართა. ყველაფერი კოხტად და ლამაზად იყო მოწყობილი. „ბერიკონის“ დარბაზი ელვარებდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „დინამოს“ კაპიტან რატი ალექსიძეს საქართველოს ჩემპიონის თასი და ოქროს მედლები ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ გადასცა

ბადრი კეთილაძის ფოტო

„ბერიკონმა“ ქართული ფეხბურთის ნადიმს ღირსეულად უმასპინძლა

ასეა, როცა გული დარდს ვეღარ იტევს, როცა გონება ფიქრს ვეღარ უმკლავდება, ადამიანს მოლხენისა და თავდავიწყების სურვილი ეძალება, სურს, ცოტათი მაინც დავიივიწყოს გაუსაძლისი ყოფა, ახლობლებსა და მეგობრებში სული მოითქვას, შვება იგრძნოს, ირწმუნოს, რომ მარტო არაა წუთისოფელში, არავინ მიატოვებს გასაჭირში.

გუშინ ზეიმობდა თავდავიწყებას მიცემული ქართული ფეხბურთი. ერთი წვეთი საქართველო აბობოქრებული ზღვის კალთებივით ხმაურობდა და 13 მაისის გადარეული თბილისის „ღრიალა ბანაკს“ გვახსენებდა.

გუშინ საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალი მოეწყო. პირველად, 1990 წლის მერე, ქართული ფეხბურთის რჩეულები საზეიმო ვითარებაში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით შეამკეს. კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი და იმედია, მომავალშიც ასე იქნება. მიუხედავად ყველაფრისა, ასეთი საღამოები არ უნდა მოაკლდეს ქართულ ფეხბურთს...

მეფური სუფრა გაშალეს ფედერაციის მესვეურებმა და „ბერიკონის“ ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, მომსახურე პერსონალის მეშვეობით. ჩიტის რძეც არ აკლდა მოხდენილად გაწყობილ მაგიდებს. კახურმა ღვინომ კი ყველა სხვა რეკლამირებული სასმელი დაჩრდილა. ამ მართლაც ღვთაებრივმა და მონატრებულმა სითხემ უმალ აუდუღა სისხლი სპორტული სამყაროს წარმომადგენლებს. ნებისმიერი მათგანისთვის რომ გეკითხათ, ახლა რა დროაო, ბახუსისგან თვალებამღვრეული გალაკტიონივით გიპასუხებდათ — „ღვინის საათიაო“.

ისხდნენ „დინამოს“ მწვრთნელ-დირექტორატის გარემოცვაში ეროვნული ნაკრების თავკაცი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი და მისი თანაშემწე ფრანსუა დე იონგი და, ალბათ, ფიქრობდნენ — ეს რა უცნაური ხალხი ყოფილა ქართველობა, როგორ ჰყვარებიათ ერთმანეთიო.

იხილეთ მეორე გვერდი

ქართული ფეხბურთის ნადიმი

ბადრი ჯითლაძის ფოტო

მიხეილ ქორქიამ პირველი საფეხბურთო ჯილდო მერაბ ჟორდანიასგან მიიღო

დასაწყისი პირველ გვერდზე

მართლაც სიყვარულის საღამო იყო, ფეხბურთის სიყვარულის საღამო. არც მინდორი ბრწყინავდა მწვანედ, არც ბურთი დაქროდა კარიდან კარში და არც გულშემატკივრების გუგუნი ისმოდა, მაგრამ ყველაფერი ფეხბურთით იყო გაჟღენთილი. მისი უდიდებულესობა ფეხბურთი კოფწიაობდა და მილოცვებს იღებდა მოკრძალებით.

საღამო სფფ-ს საინფორმაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა კვარაცხელიამ გახსნა. წვეულთ გულთბილად მიესალმა და საზეიმო ცერემონიალის წარმართვა დიდად ცნობილ „ორ ჯუჯას" — ვახტანგ ტატიშვილსა და ნუგზარ კვაშალს სთხოვა. ისინიც ჩვეულად ენაწყლიანობდნენ, შემდეგ კი ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას უხმეს სცენაზე.

— სამწუხაროდ, ასეთი საღამოების გამართვის გამოცდილება არ გაგვაჩნია და იმედია, არ დაგვძრახავთ. „დინამოში" ჩვენი მოღვაწეობისას ასეთი ცერემონიალი არავის მოუწყვია. იმედია, დღევანდელი დღე საწინდარი გახდება მსგავსი საღამოების მომავალშიც გამართვისა — თქვა ჟორდანიამ. მერე კი პრიზიორი კლუბების წარმომადგენლებს უხმო და დაჯილდოებაც დაიწყო.

თავიდან მეათე ეროვნულის მესამეადგილოსან „ლოკომოტივის" პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძესა და გუნდის კაპიტან პაატა ბარნოვს მოუწიათ ბრინჯაოს მედლებთან ჩახუტებამ. მკერდდამშვენებულთ კლუბის წევრებისთვის განკუთვნილი, სინზე დაწყობილი გვარ-სახელამოტვიფრული დანარჩენი მედლებიც გადასცეს.

რკინიგზელთა შემდეგ საქართველოს თასის მფლობელს, ვერცხლისმედალოსან „ტორპედოს" პრეზიდენტ მიხეილ ქორქიას და კაპიტან კახა კვეტენაძეს უხმო ჟორდანიამ. ლეგენდარული კალათბურთელი ისე ეამბორა ვერხლის მედალს, იფიქრებდით, ოლიმპიური ჩემპიონობა გაახსენდაო.

„დინამოს" ჯერიც დადგა. მარადი ჩემპიონის პრეზიდენტი რომან შოთაძე და კაპიტანი რატი ალექსიძე ოქროთი დამშვენებულნი დაუბრუნდნენ დინამოელთათვის განკუთვნილ მაგიდებს. მედლებთან ერთად ჩემპიონის ვერცხლისფერი თასიც გადაეცა ალექსიძეს.

ამის შემდეგ სცენაზე ქართული ესტრადის წარმომადგენლები ცვლიდნენ ერთმანეთს. მომღერალმა ზურაბ დოიჯაშვილმა სტუდენტობის წლები გაახსენა სტუმრებს და მელიქიშვილის გამზირზე გატარებული ტკბილი წუთები გაუცოცხლა.

პაროდისტმა მერაბ გეგეჭკორმა კი ედუარდ შევარდნაძის მაგიერ მიულოცა პრიზიორებს და ქართულ ფეხბურთს ოცდამეერთე საუკუნეში ღირსეულად შებიჯება უსურვა.

ვახტანგ ტატიშვილმა, ნუგზარ კვაშალმა და ანსამბლ „ბერიკონის" სოლისტმა ავთანდილ წიკლაურმა ფონოგრამის გარეშე დააგუგუნეს ვაჟა აზარაშვილის „დინამო", „დინამო".

შემდეგ ვახტანგ ტატიშვილს სთხოვეს „დინამოს" სახელის ჩვეულ სტილში გაშიფრვა, მაგრამ „ივერიას" სოლისტმა, „დინამო" ისედაც გაშიფრულიაო, უპასუხა და „გურიაზე" ისეთი სიმღერა წამოიწყო, ლამის ცრემლები მოგვარა დამსწრე საზოგადოებას.

იმერეთის რეგიონის გუბერნატორი *თემურ შაშიაშვილიც* მიესალმა საფეხბურთო სამყაროს.

— მომავალში ალბათ უფრო გრანდიოზული სანახაობის მოწმენი გავხდებით. თანაც „ტორპედო" ჩემპიონობას აპირებსო — თქვა ქუთაისელთა კლუბის საპატიო პრეზიდენტმა.

მამუკა ონაშვილი, ქართული ესტრადის ყველაზე ჯანმრთელი და კოლორიტული ფიგურაც არ ჩამორჩა კოლეგებს და უფრო გაამხიარულა საღამო.

პრიზიორი კლუბების პრეზიდენტები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი.

აკაკი ჩხაიძე — დიდი მადლობა ასეთი დღესასწაულისთვის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ „ლოკომოტივმა" ღირსეულად წარმოაჩინოს ევროპაში ქართული ფეხბურთი.

მიხეილ ქორქია ძალიან აღელვებული ჩანდა — უღრმესი მადლობა დღევანდელი ისტორიული დღისთვის. ბედნიერი ვარ. ღმერთს ვევედრები ისეთი დროების მოსვლას, როცა ჩვენი ფეხბურთელები სხვაგან აღარ წავლენ სათამაშოდ. იმედია, ქართველი ბიზნესმენები ცალი თვალით აღარ შეხედავენ ფეხბურთს და ჩვენსავით გვერდით ამოუდგებიან მას.

რომან შოთაძე — როგორც იქნა, საშველი დაადგა ასეთი ლამაზი ცერემონიალების დასაბამს. ძალიან მახარებს ის, რომ საქართველოში ამბიციური კლუბები გამოჩნდნენ. იმედია, „დინამოს" დაძაბულ ბრძოლებში მოუწევს სანუკვარი მიზნის მიღწევა. ასევე მჯერა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი პრობლემების გადაწყვეტას.

რომან შოთაძეს არც „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების თავკაცი იოჰან ბოსკამპი დავიწყნია და მასაც წარმატებები უსურვა.

მომღერალმა ზურაბ კობეშავიძემ პირველი სიმღერა „ლოკომოტივს" მიუძღვნა. ეს კლუბი ტერიტორიულად ვაკეშიაო და ვერა-ვაკესთან დაკავშირებული მელოდიაც აყღერდა.

ბადრი ჯითლაძის ფოტო

ვახტანგ კოპალეიშვილი და მისი ტორპედოელი შეგირდი გიორგი იმედაძე

„სურნელი ჰქონდა ვარდისა" — ქართველ მანდილოსნებზე სიმღერით ბრძანა კობეშავიძემ და სავარდო და სამაისო ქუთაისს „ტორპედოს" წლევანდელი წარმატება მიულოცა. სიმღერის დროს კი ცეცხლი დაანთო ცეკვით.

სპორტულ ჟურნალისტთაგან გაზეთ „ალიას" კორესპონდენტი *მერაბ მამულაშვილი* პრიზებით ხელდამშვენებული წარუდგა საზოგადოებას.

— ვახტანგ კოპალეიშვილმა დიდი სიხარული გვაჩუქა. მე მინდა მას გადავცე ქართული ხმალი. დაე, მისი გუნდი ყოველთვის გაშიშვლებული ხმალივით იყოს ქართული ფეხბურთისთვის. ასევე მინდა ქართული ყანწები ვუსახსოვრო „ალიასგან", რათა ამ ყანწებით შეისვას 18-წლამდელთა ნაკრების შვედეთის ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულად გამოსვლის სადღეგრძელო. კიდევ უფლის ხატი მსურს გადავცე ბატონ ვახტანგს. მწამს, რომ ეს ხატი დაიფარავს მას მომავალში — თქვა მამულაშვილმა.

„ალიას" კორესპონდენტმა ქართული ფეხბურთის „წლის აღმოჩენა", დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილიც დააჯილდოვა.

ბადრი ჯითლაძის ფოტო

ოთარ ხიზანეიშვილი

— როცა მის თამაშს ვუყურებდით ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში საბერძნეთის წინააღმდეგ, ყველამ ვიწამეთ, რომ ქართული გენი არ მომკვდარა...

კომპოზიტორმა *ვაჟა აზარაშვილმა* ძველი თაობის ვარსკვლავები გაიხსენა. ბორის პაიჭაძის, მიხეილ მესხის, გაიოზ. ჯეჯელავას, სლავა მეტრეველის სახელები კიდევ ერთხელ გაისმა დარბაზში.

„ბერიკონში" ანსამბლ „ბერიკონის" ჯერიც დადგა. ავთანდილ წიკლაურმა და კომპანიამ სცენაზე „კუზმას" რუსი „გოგოშკებიც" იახლეს. წელში გამოყვანილმა მოცეკვავე ლამაზმანებმა იმგვარი როკვა გააჩაღეს, იოჰან ბოსკამპი ლამის სკამიდან წამოვარდა. ჰოლანდიელმა ხელების ტკაცუნში გადაზარდა მოზღვავებული ენერგია...

„სარბიელის" სახელით *ვახტანგ ძზიკაძე* მიესალმა კლუბებსა და მათ წარმომადგენლებს.

— მაჩვენეთ ის, ვინც კმაყოფილია მეორეობით და მე თქვენ გაჩვენებთ უიღბლობისთვის განწირულს — სარბიელელმა, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეთო, მიანიშნა „ტორპედოსა" და „ლოკომოტივს". „დინამოს" კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უსურვა.

მომღერალმა თამუნა ამონაშვილმა, ძსახიობმა კარლო საკანდელიძემ, სხვებმა და სხვებმა კიდევ უფრო გაალამაზეს ეს მართლაც ლამაზი საღამო.

ილხინეთ და გვალხინეთ, ქართველო ფეხბურთელებო! ამ განწყობილებით ვტოვებდით დარბაზს. მართლაც, როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი. ფეხბურთელები, მწვრთნელები, პრეზიდენტები, ფედერაციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები — ყველანი ხომ ერთი დიდი საფეხბურთო ოჯახის წევრები ვართ. ერთი გვაქვს სატკივარი და საფიქრალიც ლხინშიც ერთად ვიქნებით ყოველთვის და... ჭირი ღმერთმა გვაშოროს...

ხვიჩა სანიკიძე

ბადრი ჯითლაძის ფოტოები

„კუზმა-ბერიკონის" ლამაზმანებმა ფრანსუა დე იონგს და იოჰან ბოსკამპს ტაში მოსწყვიტეს

ბაიერი: ყველაშვილი ჩვენ გვჭირდება!

გუნდესლიგის მეორე პრიზიორი ქართველი თავდამსხმელის შემძენას ლამობს

 მოლაპარაკება თითქმის თვეა, მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში დამთავრდება კიდეც. დღესდღეობით მოსაგვარებელი ფინანსური საკითხია.

თუ გერმანელები და შვეიცარიელები ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაშინ კიდევ ერთი დიდი და კარგი ტრანსფერი შედგება.

გერმანიის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, ორი წლის წინ თბილისის „დინამოს“ დამმარცხებელი ლევერკუზენის „ბაიერი“ სერიოზულადაა დაინტერესებული და იმედი აქვს თავის „ასპირინის“ მაისურას, საქართველოს ნაკრებისა და შვეიცარიის „გრასჰოპერის“ თავდამსხმელ მიხეილ ყველაშვილს მოარგებს.

„ბაიერის“ მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა, სელექციონერმა რუდი ფიოლერმა და კლუბის მენეჯერმა რაინერ კალმენდმა ყველაშვილის თამაში ნორვეგიაში, ეროვნულ გუნდთა მატჩისას ნახეს.

— ქართველი ძალიან კარგი ფეხბურთელია, სწორედ ისეთი თავდამსხმელია, როგორიც „ბაიერს“ სჭირდება. ყველაშვილს ჩვენ კარგა ხანია, ვაკვირდებით. ახლა კი მისი „ბაიერში“ გადმობირება საბოლოოდ გადავწყვიტეთ. ყველაფერი თავად ფეხბურთელზე და „გრასჰოპერზეა“ დამოკიდებული. ჩვენ ქართველი ფეხბურთელის შეძენის დიდი სურვილი გვაქვს — განაცხადეს ნორვეგია — საქართველოს მატჩის შემდეგ გერმანელებმა.

ყველაშვილის საფასური ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ისე კი, ამბობენ, „გრსჰოპერი“ მეძვირე არ არის, ბევრ ფულს არ მოითხოვენო. ვნახოთ.

კოტა ინასარიძე

დინამო სომხეთით იწყებს

ჩემპიონები გუშინ დილომში შეიკრიბნენ

გუშინ დილით დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ახალი სეზონისთვის და ჩემპიონთა ლიგის მომავალ თამაშებისთვის მზადებას შეუდგა საქართველოში მეათედ გაჩემპიონებული თბილისის „დინამო“.

მწვრთნელ იოჰან ბოსკამპის განკარგულებაში დღესდღეობით 32 ფეხბურთელია. გუნდში დარჩენილთ საქართველოს სხვადასხვა გუნდებიდან მიწვეულნი დემატნენ. ძველი შემადგენლობიდან „დინამოში“ აღარ არიან მამუკა მაჭავარიანი, ლევან მიქაძე, ამირან და დათო მუჯირები, თემურ ტულუში — ისინი ბოსკამპმა დაითხოვა.

დღეიდან „დინამოში“ ვარჯიშს შეუდგნენ სოჭის „ენემჩუენის“ ქართველი მეკარე დავით ხმელიძე, თუმცა კი მის გუნდში ჩარიცხვაზე, ისევე როგორც დანარჩენ ახალწვეულებზე, ლაპარაკი ჯერ აღრეა. მწვრთნელი 22 საუკეთესოს დაიტოვებს და 3 ივლისს ბელგიაში სამკვირიან შეკრებაზე წაიყვანს. სხვათა შორის გუნდს ბელგიაშივე შეუერთდება ორი-სამი უცხოელი, რომელთა ვინაობაც დღეისათვის უცნობია.

სამ ივლისამდე ბოსკამპი შეგირდებს დიღომშივე ავარჯიშებს დღეში ორჯერ, დილით ათზე, შუადღისას კი ამინდის შესაბამისად და აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთებს.

თავად მწვრთნელთან საუბარი ჯერ ვერ მოვახერხეთ. თუმცა შევიტყვეთ, რომ ბელგიურ შეკრებაზე იგი და „დინამოს“ უფროსობა პრესკონფერენციის გამართვას აპირებს.

უახლეს დღეებში „დინამო“ ორ ამხანაგურ მატჩს ითამაშებს. ზეგ, 20 ივნისს ჩემპიონები საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებს დაუპირისპირდებიან, 23-ში კი თბილისს სომხები ესტუმრებიან. შვიდის ნახევარზე ეროვნულ სტადიონზე საერთაშორისო მატჩი დაიწყება: „დინამო“— ერევანი“.

კოტა ინასარიძე



გიორგი დარასელია

ფოთელები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე

დღეს კოლხეთი მაკედონიას გაფრინდა

დღეს, დილის 8 საათზე, თბილისის აეროპორტიდან ფოთის „კოლხეთი“ მაკედონიაში გაფრინდა. ზღვისპირელთა გეგმაში არაფერი შეცვლილა. როგორც გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, ფოთელები ქალაქ ოხრიდში ჩავლენ, იქიდან კი მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ავტობუსით გაემგზავრებიან. ოხრიდიდან სკოპიემდე ჩვენებურთ 250-300 კილომეტრის გავლა მოუწევთ, მანძილი დაახლოებით იგივეა, რაც თბილისიდან აბაშამდე.

აქამდე ასე იყო, „კოლხეთს“ სკოპიეში ორ სასტუმროში უნდა ეცხოვრა, მაგრამ ბალკანელებმა ფხა გამოიჩინეს და ქართველთა დელეგაცია, რომელიც დაახლოებით 50 კაცამდეა, ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „ამბასადორში“ მოისვენებს.

გუშინ ფოთელებმა „ცემენტარნიცასთან“ მატჩის წინ ბოლოს ივარჯიშეს, ამის მერე კოლხთა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ ფეხბურთელები დასასვენებლად შინ გაუშვა, დღეს კი...

კლუბის ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავა „სარბიელთან“ საუბარში უკმაყოფილებას არ მალავდა რაღა მაინცდამაინც მაკედონია გვერგო, ხომ იცით, კოსოვოში რაც ხდება...

„კოლხეთის“ მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ პირობა შეგვისრულა და იმათი ვინაობაც გვამცნო, ვინც მწვრთნელებთან, ხელმძღვანელობასთან და გულშემატკივარებთან ერთად ოხრიდის გზას დაადგნენ. „ცემენტარნიცასთან“ სათამაშოდ 19 ფეხბურთელი გაემგზავრა, აქედან ვინ დარჩება ძირითადი თერთმეტეულის მიღმა, ეს თავად ტყებუჩავას გადასაწყვეტია.

ამას წინათ, „სარბიელმა“ ფოთელთა მუდმივნომრიანი შემადგენლობა გაახლათ, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი შესაცვლელი გახდა, რადგან რამდენიმეს ნომრის შეცვლამ მოუწია, გუნდში ახალმისულებმა — დავით ხუჭუამ, შოთა ჩომახიძემ და ისრაელიდან მობრუნებულმა გიორგი დარასელიამ „ყველაფერი არიეს“. საბოლოოდ უეფაში ფოთელებმა 25 ფეხბურთელის სია გაგზავნეს. აქვე სწორედ ამ დაზუსტებულ სრულ შემადგენლობას გაეცნობით და იმასაც გეტყვით, თუ ვინ აღოჩნდა ჯერჯერობით ის 6 უიღბლო, ვინც ამჯერად ფოთში დარჩა.

მეკარეები:

1. მამუკა გვასალია 02. 09. 67.
12. ბიძინა ჩემია 24. 02. 80.

მცველები:

2. კახაბერ გოროზია 18. 02. 72.
3. ვალერი ტორჩინავა 01. 02. 69.
4. გია გიორგაძე 06. 10. 67.
5. ჯონი შალამბერიძე 25. 09. 75.
11. ლევან ანჯაფარიძე 01. 05. 75.
19. ზაზა ბურკვაძე 26. 04. 74.
25. დავით თედეევი 16. 04. 79.

ნახევარმცველები:

6. ზაველ ღალანიძე 17. 05. 72.
7. გიორგი ჩადუნელი 19. 09. 72.
8. გოჩა ტრაპაიძე 09. 05. 76.
16. შოთა ჩომახიძე 07. 11. 78.
18. ბესიკ ამაშუკელი 01. 01. 72.
20. გიორგი დარასელია 17. 09. 68.
21. ელგუჯა პაპავა 26. 01. 74.
22. სპარტაკ ბაჩილავა 23. 02. 79.
24. პაატა ჩაგანავა 06. 01. 78.

თავდამსხმელები:

9. ელდარ გვასალია 15. 03. 72.
10. ლევან შავგულიძე 23. 11. 80.
13. დავით ხუჭუა 02. 08. 73.
14. ნუგზარ მიქაბერიძე 31. 01. 63.
15. ივანე ჯულელი 14. 04. 69.
17. მამუკა ბულუზია 28. 10. 71.
23. გიორგი კრასოვსკი 20. 12. 79.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყებუჩავამ 19 ფეხბურთელი იახლა, უიღბლონი კი ზაზა ბურკვაძე, ელგუჯა პაპავა, სპარტაკ ბაჩილავა, გიორგი კრასოვსკი, პაატა ჩაგანავა და დავით თედეევი აღმოჩნდნენ.

როგორც წესია, სტუმარი გუნდი მატჩის წინა დღეს იმ სტადიონზე ვარჯიშობს, სადაც თამაში უნდა ჩატარდეს. ფოთელები ამ უფლებით უეჭველად ისარგებლებენ, ისინი „ცემენტარნიცას“ სტადიონს საღამოს ეწვევიან და ივარჯიშებენ.

19-ში კი ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველი მატჩია, — სკოპიეს „ცემენტარნიცა“ — ფოთის „კოლხეთი“. შეხვედრა იქაური დროით 18 საათზე, ჩვენით კი საღამოს 21 საათზე დაიწყება. ფოთელები „ადიდასის“ თერთ-ლურჯ ზოლიანი ფორმებით ითამაშებენ.

უეფას გადაწყვეტილებით, შეხვედრას მოლდოველთა ბრიგადა განსჯის. არბიტრი — ვლადიმირ ანტონოვი. თანაშემწეები — ვალერინ სოროჩინი და ვალერიუ რობუ. სათადარიგო, როგორც უეფას დებულებაშია, ადგილობრივი, ესე იგი მაკედონიელი იქნება. მატჩის დელეგატობა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ რუს ალექსანდრ სილკოვს დაავალა.

„კოლხეთი“ უკან მატჩის მეორე დილას, 20 ივნისს, წამოვა, სკოპიე — ოხრიდი — თბილისი.

გია ტყებუჩავამ „სარბიელს“ წასვლის წინ ეს უთხრა:

— განწყობა საბრძოლოა, გვისურვეთ წარმატება.

ერთი სიტყვით ასეა, 1999-2000 წლების ევროპულ სეზონს ქართული გუნდებიდან პირველი ფოთის „კოლხეთი“ ხსნის, ღმერთმა ქნას, შარშანდელი „ცრვენა ზვეზდას“ სირცხვილი ღირსეულად ჩამოგვერეცხოს.

საპასუხო მატჩი ფოთში 26 ივნისს გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

გიორგი მაშაძიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ირაკლი გემეზაშვილი

გემეზაშვილი ურალანიდან წამოვიდა

საქმეს მოსამართლის კართან მივყავართ...

თბილისის „არსენალისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველი ირაკლი გემეზაშვილი თითქმის ოთხი თვეა, რაც ელისტის „ურალანში“ გადაბარგდა. ფეხბურთელმა სრულფასოვანი შეკრებაც გაიარა ახალ გუნდთან და თითქოს ხელსაც არაფერი უშლიდა, რუსეთის უმაღლეს დივიზიონში ეთამაშა. აპრილში დაწყებულ რუსეთის ჩემპიონატში რამდენიმე ტური მიილია. ჩვენებურის გვარი კი არა და არ ჩანდა „ურალანის“ შემადგენლობაში. საქმეში გასარკვევად გემეზაშვილთან დაკავშირება ვცადეთ. ირაკლის ოჯახში გვიპასუხეს — ამ დროისთვის ელისტაში არ იმყოფება, კლუბთან ერთად ერთკვირიან შეკრებაზეა და „სპარტაკთან“ სათამაშოდ ემზადება. აქამდე კონტრაქტთან დაკავშირებით შეფერხება ჰქონდა, ამ დღეებში კი ყველაფერი გადაწყდება და, ალბათ, მოსკოვში „ურალანის“ მაისურასაც მოირგებსო.

სამწუხაროდ, ვერც მოსკოვურ შეხვედრაში ვიხილეთ გემეზაშვილი და ვერც შემდგომ მატჩებში. არადა, რუსეთის გათამაშებაში უკვე ათმა ტურმა ჩაიარა. გუშინ კვლავ ვცადეთ ამბის გაგება და...

— ირაკლი ვარ. რამდენიმე დღეა, რაც „ურალანიდან“ წამოვედი.

— რა მიზეზით?

— არა და არ მოხერხდა კონტრაქტის ბოლომდე მიყვანა. სატრანსფერო ფურცელი ვერ მივიღე და თამაშიც ვერ შევძელი.

— თითქოს „არსენალი“ წინაღმდეგი არ იყო ამ ტრანსფერის?

— რა თქმა უნდა. „არსენალის“ ხელმძღვანელობა არაფერ შუაშია. ორივე მხარემ მოაწერა ხელი დოკუმენტაციას, მაგრამ „ურალანის“ მესვეურებმა არ შეასრულეს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები.

— კერძოდ?

— თანხა არ გადაუხადეს ქართულ კლუბს.

— ბევრს ხომ არ ითხოვდნენ?

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მოლაპარაკებებს ჩემი მენეჯერი აწარმოებდა. არა მგონია, „არსენალს“ დიდი თანხა მოეთხოვოს, რადგან თითქმის ყველანაირი შეთანხმება მიღწეული იყო და იურიდიულად დაფიქსირებული. ელისტელებს არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამთ, მაგრამ რატომღაც კონტრაქტი დაარღვიეს.

— ესე იგი, საქმეში სასამართლო ჩაერევა.

— არც ამას გამოვრიცხავ. თუმცა ქართული მხარე ცდილობს, მშვიდობიანად, მოლაპარაკებების გზით მოგვაროს ეს საკითხი. „ურალანის“ პრეზიდენტს, ილუჟინოვს, უკავშირდებიან და, ალბათ, საკომპენსაციო თანხასაც მოთხოვენ. ხელშეკრულების დარღვევ მხარეს ხომ ჯარიმის გადადხდა ეკისრება. თუ ელისტელებმა ამაზეც უარი თქვეს, მაშინ საქმე სასამართლოს გადაეცემა.

— გუნდში როგორი სიტუაცია დადგხვდათ?

— ძალიან კარგი. მწვრთნელი პაველ იაკოვენკო კმაყოფილი იყო ჩემით. ვარჯიშებიც საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა.

— როგორც ვიცით, იაკოვენკო თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

— მისი მოვალეობის შესრულება თანაშემწეს, ალექსანდრე სკრინიკოვს, დაავალეს. მასთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. თუმცა კლუბის მესვეურებმა იაკოვენკოს მიყვანილი ფეხბურთელები რატომღაც აგვითვალწუნეს. რაღაც ალმაცერად გვიყურებდნენ.

— ახლა რას აპირებთ?

— რამდენიმე დღეა, თბილისში ვიმყოფები. ფორმა რომ არ დავკარგო, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ.

— ქართული კლუბები არ შეგეხმიანენ?

— არა. არავისთან მქონია ურთიერთობა. ჩემი მენეჯერი დამპირდა, ახალ გუნდს მოგიძებნიო და მისგან ველოდები კონკრეტულ წინადადებებს.

— მენეჯერის ვინაობას ხომ ვერ გაგვიმხელთ?

— იგორ ზავგაროდნი. რუსეთში საკმაოდ ცნობილი საფეხბურთო აგენტია. სწორედ იგი მიხერხებდა „ურალანში“ გადასვლას.

— როგორ დაუკავშირდით?

— ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი თამაშების ვიდეოფირები უნახავს. ახლობლებიც დამეხმარნენ მის გაცნობაში.

— „არსენალთან“ როდის გიმთავრდებათ კონტრაქტის ვადა?

— აგვისტოში. მერე კი თავისუფალი აგენტი ვხდები.

— ხურცილავამ ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ მიგიწვიათ?

— მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებას საკმაოდ მშვიდად და გაგებით შევხვდი. მალე 22 წლის გავხდები და ისედაც მომიწევდა ნაკრების მიტოვება. ამ ეტაპზე უფრო ახალბედების მიწვევა გამართლებულად მიმაჩნია.

ხვიჩა სანიკიძე

ჩვენ ვეძებთ ტალანტებს?

ბადრი კეთილაძის ფოტო

კარგმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა საქართველოში უცნობი ტალანტი ოთარ ხიზანეიშვილი აღმოაჩინა

ბათუმი ზაზა ჯანაშიას კვალზე

აგერ ახლახან არ იყო, ზაზა ჯანაშია თბილისში საკუთარი ჯიპით რომ ჩამოვიდა და ერთ კვირაში მოსკოვს ჯიპითვე გაბრუნდა? თუ ეს ამბავი გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რაც მას მოჰყვა. ამ საქციელისთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა ზაზა ჯანაშია ნორვეგიაში არ წაიყვანა, ბერძნებთან მატჩისწინა ერთ-ერთი პირველი ვარჯიშიდან კი უილაჯოდ მოვარჯიშე თავდამსხმელი სულაც გუნდიდან დაითხოვა.

2500 კილომეტრი წინ და ამდენივე უკან. ამას რამდენიმე დღით ზაზა ჯანაშიას ლანჩხუთში ჩასვლა და ნადირობაც რომ დავუმატოთ, ცხადია, გასაკვირი აღარ იქნება, ზაზამ (ხუმრობით, მაგრამ მაინც) ბიატლონისტის სახელი რომ დაიგდო.

ჯანაშია ჯერჯერობით მოსკოვს იყოს და ჩვენ სხვაზე ვთქვათ.

შუა აგვისტოდან ნოემბრის ბოლომდე „ბათუმმა“ სწორედ ის მანძილი უნდა გაიაროს, რაც საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა ერთ კვირაში დაფარა. არა, ბათუმს მოსკოვში არაფერი ესაქმება: ზღვისპირული კლუბი ბოლო ხუთწლიან ისტორიაში პირველად არც თასების თასის გათამაშების (გაუქმდა და თუნდაც ამიტომ) მონაწილეა და არც სხვა რომელიმე ევროთასისა.

„ბათუმმა“ 5000 კილომეტრი საქართველოშივე უნდა იმგზავროს, ამას ითვალისწინებს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის ახალი დებულება.

ახალი საფეხბურთო სეზონი, ახლებურადვე რომ უნდა ჩაიაროს, 14 ან 15 აგვისტოს დაიწყება. აქამდეც დაწერილა, რომ ორ რვა-რვა გუნდიან ჯგუფში გუნდები მეათე ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით განაწილდნენ — კენტადგილოსნები ერთად და დანარჩენები ცალკე.

ასეთი ბრმა, მაგრამ ყველაზე სპორტული პრინციპით ხელმძღვანელობამ „ბათუმს“ გზა ყველაზე მეტად გაუგრძელა. თუმცა ეს დიდი ჭირი არაა, საბოლოო ჯამში (საგაზაფხულო ეტაპის ჩათვლით) ბათუმელებს იმაზე ბევრად დიდხანს მაინც არ მოუწევთ გზაში ყოფნა, ვიდრე სხვა, ძველებური სისტემის შემთხვევაში მოუწევდათ.

შვეიცარიული მოდელი საქართველოსთვის

ძლიანაც გვსურს, საქართველო შვეიცარიასავით და შვეიცარიული საათივით აწყობილი ქვეყანა იყოს, მაგრამ მარტო სურვილი კმარა? ცხადია, არა, სულ მცირე, მიბაძვაც საჭიროა. ეს პრიმატთა დარი საქციელი კი გამართლებული მხოლოდ მაშინაა, თუ მიმბაძველს იმიტატორული ნიჭის გარდა იმპროვიზაციის უნარიც უხვად აქვს ღვთისგან მიმადლებული.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ახალი ჩემპიონატის ახალი დებულება რომ დაამტკიცა, მაგალითი შვეიცარიელი კოლეგისგან აიღო. სწორედ რომ მაგალითად გამოიყენეს ქართველებმა შვეიცარიელთა გამოცდილება, თორემ განსხვავება ამ ორი ჩემპიონატის რეგლამენტში საკმაოა.

შვეიცარიელები 12 გუნდს ორ წრედ (ერთ ჯგუფში) ათამაშებენ და მერე რვა საუკეთესო განახევრებული ქულებით ჩემპიონობისთვის იბრძვის, ოთხი მაჩანჩალა კი — ქვედა დივიზიონის ამდენივე რჩეულთან ერთად საგაისო ოთხი საგზურისთვის.

საქართველოს ჩემპიონატი კი, მოგეხსენებათ, ორ, ა და ბ ზონებად გაიყო და ზედა თუ ქვედა რვაც ამ ზონებში ორწრიანი ტურნირის შედეგად უნდა გამოვლინდეს.

რაში დასჭირდა ფედერაციას მრავალგზის ნაცადი, მარტივი პრინციპის გართულება, ანაც ორი, სავარაუდოდ, არათანაბარი ზონის ჩამოყალიბება? მიზეზი გასაგები და იოლად ასახსნელია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მეთორმეტე ჩემპიონატის პირველ ლიგაში (წლეულსაც და მომავალშიც ასე ერქმევა) 12 გუნდის დატოვება განიზრახა.

მიზანი კეთილშობილური (ალბათ, არა გავარდნილთათვის) და დროულად დასახულია, მაგრამ რატომ მაინც და მაინც ორ ზონად? ალბათ, „ბუფერული ზონების“ შესავიწროვებლად.

ავერიდოთ ბუფერებს!

არსებობენ საქართველოში გუნდები, საკუთარ საქმეს დროულად რომ მოილევენ, მერე თავს მოდუნების, ქულათკარგვის ნებას რომ აძლევენ და ამით ბევრიც არაფერი უშავდებათ. ასეთი გუნდის სახელი წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად გორის „დილამ“ დაიგდო. გორელებმა ბოლო ექვსი ჩემპიონატიდან ექვსივე პირველი ათეულის ფსკერზე დაასრულეს. სამჯერ იყვნენ მერვენი, ორჯერ — მეცხრენი და წლეულს, პირველად დაამთავრეს საფეხბურთო სეზონი მეათე ადგილზე. მაგრამ ათეულს მიღმა „დილა“ არ დარჩენილა — დამეთანხმებით, ამ გუნდმა ყველაზე უკეთ იცის „ოქროს შუალედის“ ფასი და მისი გამონახვის ოსტატიცაა.

„დილა“ საუკეთესო მაგალითია და მასზე ცოტა ვრცლად, დეტალურად მოგვიწევს თქმა.

დაიწყება ჩემპიონატი და, პირველი ხუთი, ათი, ზოგჯერ უფრო მეტი ტურის მანძილზე „დილა“ ლიდერთა მარაქაშია. გორელები პირველი საფეხურებიდან იწყებენ და ნელ-ნელა გზას უთმობენ მათ ზურგსუკან რიგში ჩამდგართ. ეს ობიექტური ბრძოლის შედეგია: „დილა“ „დინამო“ არაა, ყველას გაუსწროდეს. მაგრამ ის, რაც გორელებს მეორე წრეში მოსდით, მეტად უცნაური, მაგრამ მაინც გასაგები მოვლენაა.

ხშირად ყოფილა, „დილას“ დამფინანსებელი გაზაფხულამდე ვერ მიჰყოლია, ანაც თითქმის უფულოდ მოთამაშე გორელებს საწყისი ენთუზიაზმი ზამთრის სიცივეში გაჰყინვიათ. ერთი სიტყვით, ჯგუფში დასარჩენ აუცილებელ მინიმუმს რომ დააგროვებს, მერე „დილა“ აგებს, ზოგს ნებით, ზოგს ძალით და ნაჩვევ ადგილს უბრუნდება.

„დილა“ ერთია და ამხელა ყურადღებას იმიტომ იპყრობს, რომ გამორჩეული ქომაგობა, საკმაოდ კარგი რეზერვი და ძლიერი საშინაო გუნდის რეპუტაცია აქვს. გორში იმდენი ბავშვი სწავლობს ფეხბურთს, ისე მალიმალ იზრდება „დილას“ ახალ-ახალი თაობა, ამ გუნდს ბევრად მეტის მიღწევა შეუძლია, მაგრამ გუდამშივრობა აიძულებს, ფეხი იქამდე გასწიოს, სანამდეც საბანი გასწვდება.

მეთერთმეტე ჩემპიონატის ორი ზონა იმისთვისაა ჩაფიქრებული, „დილას“ და მისთანებს ბოლომდე ბრძოლა აიძულოს. დიდი შანსია, ასეც მოხდეს, გორელებმა ბ ზონის საუკეთესო ოთხეულში შეაღწიონ, მაგრამ რა იქნება მერე. ყველა „დილა“ ხომ ვერ მოხვდება ზედა ოთხეულში. ანდა, თავს რომ მშვიდად დაიგულებ, ყველა რომ წავაგო, მაინც არ გავვარდებიო, რას მოიმოქმედებს?

ერთი სიტყვით, ამგვარ ბუფერებს უნდა ვებრძოლოთ, ოღონდ არა მხოლოდ ჩემპიონატის ახალი რეგლამენტით. ასეა, რადგან, თუ გარიგებაა, ჯგუფში ორი გუნდიც რომ დარჩეს, სურვილის შემთხვევაში უეჭველად მოილაპარაკებენ.

მაშ, როგორ უნდა ვებრძოლოთ ფეხბურთის დამღუპველ გარიგებულ მატჩებს, რომელთა გამოვლენაზე ახალ დებულებაში არაფერი წერია? აშკარაა, სხვაგვარად და ამაზეც უნდა ვთქვათ.

საკითხავია რითი დავიწყოთ?

მეთერთმეტემ არა და მეთორმეტე ჩემპიონატმა კი ერთი სიკეთე უეჭველად უნდა მოგვიტანოს, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის შველის გზა იმდენგვარია და ისევე აჯაჭვულია ერთმანეთზე, როგორც კვერცხის თუ ქათმის გაჩენის ნაადრევობაა დაუდგენელი.

რითი დავიწყოთ? საკითხავია და არცაა საკითხავი. ყველაფერი თავიდანაა დასაწყები და რითი დავიწყებთ, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

საქმეში ჩახედულისთვის დღესავით ნათელია, რომ გუნდების რაოდენობის შემცირება არას მოგვცემს, თუ პირველ ლიგაში დარჩენილებს პატრონი ისევ არ გამოუჩნდათ.

ჩვენში დღეს გუნდებს უმთავრესად რაიონული გამგეობები თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები აფინანსებს. ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენთა რაოდენობა ერთობ მცირე და მარტის ამინდივით ცვალებადია. მიამიტობაა იმაზე ფიქრი, რომ ის რაიონი, რომლის გუნდიც მეორე ლიგაში დაქვეითდება, მეზობელი რაიონის პირველლიგელს დააფინანსებსო. ან კი რა ბიუჯეტი აქვთ რაიონებს, ყავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდას პრინციპი რომ ამუშავდეს?

ჩვენი ფეხბურთის ფინანსური სახსარი უცხოური ინვესტიციები უნდა იყოს, ოღონდ აქაც მარიფათიანი, გონივრული ძიება გვმართებს.

იცოცხლეთ, ჩვენში თაფლი რომ იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვიდოდა, მაგრამ ჩვენს თაფლში რა მწარე ნაღველიცაა არეული, მოგეხსენებათ.

სანამ ყველა წასულა

საქართველოს 400-მდე ლეგიონერი ჰყავს, უმეტესწილად უცხოეთის დაბალ ლიგებში გაძიძავებული. დროსაც თავისი მიაქვს და მაღალი კლასის ფეხბურთელთა რაოდენობა ჩვენში წლობით მცირდება.

ახალგაზრდების აღზრდაც ისე რომ ვერაა, როგორც უნდა იყოს, ძველი ამბავია. ამიტომ დაიშრიტა ეროვნული ჩემპიონატი, დაეცა მისი დონე.

ჩვენში არაერთ გუნდს ჰყავს ფარმკლუბი, მაგრამ გეგმაზომიერად მას მხოლოდ „დინამო“ იყენებს. რა ხანია, „ტორპედო 2“-ს უფროსი ძმისთვის ძირითადის ფეხბურთელი არ აღუზრდია. ეს, ცხადია, ცუდია. იმ თანხის დიდ ნაწილს, „ტორპედო“ შვილობილს რომ უნდა ახმარდეს, ტრანსფერებში ხარჯავს. გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ბიზნესს, რომელსაც „ტორპედო“ ჰქვია, მოგება არ მოაქვს და, აქედან გამომდინარე, ბიზნესიც არაა.

უეფას აქვს მწვრთნელთა განათლების გრანდიოზული პროგრამა, რომლითაც ჩვენნაირი ქვეყნების სპეციალისტებს განვითარებულ საფეხბურთო სკოლათა წარმომადგენლები ასწავლიან. რად იხარჯება ევროპული ფეხბურთის მმართველობა? განა მათ ჩვენში საფეხბურთო დონის ამაღლება სურთ, განა საქართველოს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე, ანაც ჩვენი რომელიმე კლუბის ჩემპიონთა ლიგაში გასვლის სურვილი არ ასვენებს უეფას? არაფერი შეგეშალოთ. ევროპელებს მცოდნე ქართველი მწვრთნელი იმისთვის სჭირდებათ, ქართველი ტალანტი (ახლა ძალიან იაფი რომაა) უცხოეთში კარგ ფეხბურთელად ჩამოყალიბებული წავიდეს. ამაზე, ცხადია, ღიად არავინ ლაპარაკობს, მაგრამ დიდი გამჭრიახობა არ უნდა, ასეა.

მაშ, ჩვენ რაღა? რა და საკუთარი თავის დაფასება, გნებავთ, მარკის აწევაც უნდა შევძლოთ და ტალანტის საფასურით ახალი ტალანტების გაზრდას უნდა ვეცადოთ.

ვახტანგ გზიკაძე



ა ზონა	ბ ზონა
1 დინამო *თბილისი*	2 ტორპედო *ქუთაისი*
3 ლოკომოტივი *თბილისი*	4 კოლხეთი 1913 *ფოთი*
5 ბათუმი	6 მერანი *თბილისი*
7 ვიტ ჯორჯია *თბილისი*	8 იბერია *სამტრედია*
9 არსენალი *თბილისი*	10 დილა *გორი*
11 სამგურალი *წყალტუბო*	12 გორდა *რუსთავი*
13 სიონი *ბოლნისი*	14 თსუ *თბილისი*
დ დინამო 2 *თბილისი*	დ კოლხეთი *ხობი*

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲠᲔᲐᲚᲘ 2:1 ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ

1:0 მორიენტესი (7), 2:0 მიატოვიჩი (63პ), 2:1 კ. ლოპესი (86)

რეალი: კონტრერასი, რობერტო კარლოსი, ტენია, რუბიო (როხასი 37), რედონდო, ზეედორფი, გუტი (რაული 56), ხაიმე, კარემბუ, სავიო, მორიენტესი (მიატოვიჩი 46)

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა, როში (სორია 86), ხუანფრანი, ფენდიეტა, ფარინოსი, მიია (პოპესკუ 69), ილიე (კ. ლოპესი 65), ანგულო

გაფრთხილება: რუბიო, ხაიმე, ჯუკიჩი, როში, ხუან ფრანი, მიია

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

ახალი არაფერი მომხდარა, ერთი ეგაა, საპასუხო ნახევარფინალის შემდეგ „ვალენსიას“ ესპანეთის თასის გათამაშების ფინალში გასვლა ახლა უკვე ოფიციალურად გადაწყდა.

26 ივნისს სევილიაში მადრიდის „ატლეტიკოს“ და „ვალენსიას“ გადამწყვეტი მატჩი თასის მფლობელს გაარკვევს. „ატლეტიკო“ ფინალში ბოლოს 1996 წელს იყო და მოიგო კიდეც თასი, „ვალენსია“ კი ერთი წლით ადრე „დეპორტივოსთან“ დამარცხდა.

— ამ თამაშის მოგება ბევრს არაფერს მოგვცემს გარდა ერთისა — ვალენსიაში საშინელი მარცხის გამო ცოტათი მაინც ვიძიებთ შურს. „რეალმა“ ეს ნახევარფინალი აუცილებლად უნდა მოიგოს — განაცხადა უელსელმა ჯონ ტოშაკმა, მადრიდელთა მწვრთნელმა.

უელსელის ხელში „რეალი“ მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უძლეველია. არც ახლა დამარცხებულა, ეგ კი არა, მორიენტესმა რომ თამაშის დასაწყისში პირველი გოლი გაიტანა, გულშემატკივრებმა იფიქრეს, სტუმრებს ცუდი დღე გაუთენდათო.

მატჩის პირველი წუთები „ვალენსიას“ კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ საქმეს არც ისეთი პირი უჩანდა, მასპინძლებს ექვსი და მეტი ბურთის სხვაობით მოეგოთ. მიმდინარე სეზონში „რეალის“ საუკეთესო ბომბარდირმა ფერნანდო მორიენტესმა ანგარიში გახსნა და „რეალმაც“ შეტევები უფრო და უფრო გაამძაფრა. სტუმართა კარის სიახლოვეს სიტუაცია იძაბებოდა, მაგრამ „ვალენსიას“ ფეხბურთელები დროგამოშვებით მახვილგონივრულად აგდებდნენ თამაშის ტემპს.

ზეედორფს, გუტის, მორიენტესს და რობერტო კარლოსს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდნენ — ყოფილ თანაკლუბელს სანტიაგო კანისარესს გოლი ვერ გაუტანეს. შეგახსენებთ, რომ კანისარესი „ვალენსიაში“ წლეულს გადავიდა, მანამდე კი ოთხი სეზონის მანძილზე სამეფო კლუბში თამაშობდა.

საბოლოო ჯამში „რეალმა“ ტაიმში თითო გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ თუ პირველი ნახევარი მოიგო, მეორეში ფრეს დასჯერდა.

მეორე ტაიმის მე-18 წუთზე „ვალენსიას“ იუგოსლავიელმა მცველმა მიროსლავ ჯუკიჩმა მეკარის საჯარიმოში მასპინძელთა ბრაზილიელი ლეგიონერი სავიო წააქცია. პენალტი სამართლიანი იყო და პრედრაგ მიატოვიჩმაც სხვაობა გაზარდა. ცნობისთვის: „რეალამდე“ იუგოსლავიელი მიატოვიჩი სწორედ „ვალენსიაში“ თამაშობდა.

2:0-ის შემდეგ თამაში პირველი ტაიმის მსგავსი სცენარით წარიმართა — „რეალი“ უტევდა. „ვალენსიას“ კი მეტწილად საკუთარ ნახევარზე უწევდა თამაში.

კლაუდიო რანიერიმ, სტუმართა იტალიელმა მწვრთნელმა, შენიშნა, რომ გუნდის თავდასხმა მოიკოჭლებდა და მოედანზე არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი შეუშვა. ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გამოჩენას გოლი მოჰყვა — შეხვედრის მიწურულს, როცა გუნდები თამაშის დასრულებას მოუთმენლად ელოდნენ, ლოპესმა ბოლომდე იბრძოლა და ბოდო ილგნერის ნაცვლად კარში ჩამდგარ პედრო კონტრერასს ლამაზი გოლი გაუტანა — 2:1. შეგახსენებთ, რომ „პოხოდ“ წოდებულმა კლაუდიო ლოპესმა „რეალის“ კარი პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაშიც დალაშქრა.

— ფინალში „ვალენსიას“ გასვლა ლოგიკური იყო — დღეს ჩემი გუნდი უფრო ძლიერია, ვიდრე „რეალი“ — განაცხადა კლაუდიო რანიერიმ.

მართალია.

REUTERS მადრიდიდან

მასპინძელთა ჰოლანდიელი ლეგიონერი კლარენს ზეედორფი ვალენსიელ ალან როშს ებრძვის

ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲘᲔᲑ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ

UEFA EURO 2000

დღეს ბოლო ოთხ შესარჩევ ჯგუფს განვიხილავთ. მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე ჯგუფებზე საუბარი მოდით, ევროპის ბოლო პირველობის ვიცეჩემპიონ ჩეხეთით დავიწყოთ.

მეცხრე ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი, ჩეხეთი უკვე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მონაწილეა. შესარჩევი ტურნირის ჯერჯერობით ბოლო ტურში, 9 ივნისს, შოტლანდიასთან შინ მოგებულმა მატჩმა მათ ბელგია-ჰოლანდიის საგზური არგუნა.

როგორ მოახერხა ჩეხეთმა, შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე მოეპოვებინა ევროპის ჩემპიონატის საგზური? ვცადოთ და ვუპასუხოთ ამ კითხვას.

ჩეხეთის ნაკრების შესანიშნავი და წარმატებული თამაში, სავარაუდოდ იმან განაპირობა, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობა წლების მანძილზე ყალიბდებოდა. ნაკრების ლიდერები პაველ ნედვედი, პატრიკ ბერგერი, იან სუხოპარეკი, კარელ პობორსკი, რადეკ ბეიბლი თითქმის ხუთი წელიწადია, ერთად თამაშობენ. ამავდროულად, კარგად რეგულირდებოდა თაობათა ცვლა — მაგალითად, გუნდში ტანმაღალი თავდამსხმელის — იან კოლერის მიწვევა დროული გახლდათ. სხვათა შორის, სწორედ მან გაიტანა შოტლანდიელებთან მესამე, გამარჯვების მომტანი გოლი.

ბრწყინვალე ურთიერთობასთან და შეთანხმებულობასთან ერთად წარმატებას ფეხბურთელთა მაღალპროფესიონალიზმიც განაპირობებს. პროფესიონალიზმში ამა თუ იმ ფინტის, ანაც კომბინაციის ზედმიწევნით კარგად ცოდნასთან ერთად სასურველი შედეგის მიღწევის უნარსაც ვგულისხმობ — როცა ჩეხებმა პირველ შესარჩევ მატჩში ფარერებს სტუმრად 10 მოუგეს, გუნდი კრიტიკის ქარცეცხლში მოჰყვა. ასევე იყო ლიტვასთან შინ და სტუმრად ესტონეთთან 2:0 მოგებული თამაშების შემდეგ. საბოლოოდ რა? როცა ჩეხეთი ყველა თამაშს იგებდა, იგივე შოტლანდია ფარერის კუნძულებზე და ლიტვაში ზავდებოდა, კიდევ ერთი მდევარი ბოსნია კი ფარერებზე ფრედ თამაშობდა და ლტვაში სულაც აგებდა.

ჩეხეთი უდავოდ ღირსი იყო ფინალურ ეტაპზე მოხვედრისა.

მეექვსე ჯგუფის უპირობო ფავორიტი ესპანეთია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მდევრებს ორად ორი ქულით უსწრებს, საბოლოოდ შესარჩევ ტურნირს, ალბათ, დიდი უპირატესობით დასრულებს.

შარშან, 5 სექტემბერს ესპანეთი, რომელიც შესარჩევ ტურნირებში როგორც წესი, დაუმარცხებელია, კვიპროსზე დამარცხდა. სრული კრახი — აი, რა შეიძლება ეწოდოს ამას.

ასეთი მარცხი გუნდის ხელმძღვანელობისთვის უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ხავიერ კლემენტესთან ხელშეკრულებას წვეტს და ნაკრებში მადრიდის „რეალიდან“ სკანდალურად წასულ ხოსე ანტონიო კამაჩოს იწვევს. მწვრთნელთა ცვლილება შესანიშნავ შედეგს იძლევა — ესპანეთის ნაკრები მოკლე დროში კარგ გუნდად ჩამოყალიბდა, ხოლო გაზაფხულზე გოლების მანქანად იქცა. ხოსე ანტონიო კამაჩოს გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ყველა დროის რეკორდსაც ამყარებს — ზედიზედ სამი შესარჩევი მატჩი, საერთო ჯამში 24:0, აქამდე არვის მოუგია. ესპანეთმა ეს შედეგი — 27 მარტს სტუმარი ავსტრია 9:0 დაამარცხა, შემდეგ სან მარინოს შეხვდა ორჯერ და სტუმრად 6:0, შინ კი 9:0 მოუგო. მიღწევა მართლაც ფენომენალურია.

ამ ჯგუფში მეორე ადგილზე სავარაუდოდ ისრაელი გავა — ავსტრია ისეთი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სულს ღაფავს. განა სტუმრად 0:9 და 0:5 წამგებს აქვს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის უფლება? ავსტრიას, ცხადია, ბელგია-ჰოლანდიაში ვერავინ დაუშლის წასვლას, მაგრამ საეჭვოა, მათ ეს მოახერხონ.

მეშვიდე ჯგუფში ძალიან დაძაბული სიტუაციაა — პორტუგალიაც და რუმინეთიც სავარაუდოდ ბოლო ტურამდე იბრძოლებენ. მართალია, რუმინეთმა უშუალო კონკურენტს მისსავე მოედანზე მოუგო, მაგრამ შემდეგ სტუმრად რუმინეთში და შინ სლოვაკეთთან ყოველად გაუმართლებლად დაკარგა ქულები, რის გამოც დაქვეითდა კიდეც.

პორტუგალიას რუმინეთში თამაში 8 სექტემბერს უწევს, ანუ შესარჩევი ტურნირის განახლებისთანავე. ძნელი სათქმელია, რა შედეგით დასრულდება შეხვედრა. ამაზე პროგნოზის გამოთქმა, ალბათ, ზაფხულის მიწურულს, უშუალოდ თამაშის წინ იქნება უპრიანი.

10 ოქტომბერს შესარჩევი ტურნირი მთავრდება. სავარაუდოდ, ამ ჯგუფიდან კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდება ორი გუნდი. პირველი ადგილი, ცხადია, თავისთავად გავა, მეორეადგილოსანს რაც შეეხება, ისიც, ალბათ, პირდაპირ მოხვდება ფინალურ ეტაპზე, რადგან პორტუგალიამაც და რუმინეთმაც საკმაოდ ბევრი ქულები დააგროვა.

ცნობისთვის გეტყვით, რომ ცხრა მეორეადგილოსნიდან საუკეთესო პირდაპირ ხვდება ევროპის ჩემპიონატზე. დარჩენილ რვა გუნდს რაც შეეხება, კენჭისყრის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და კიდევ ოთხ მონაწილეს გაარკვევენ. აღსანიშნავია, რომ ქულათა დათვლა მხოლოდ მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილზე გასულ გუნდებთან მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ჯგუფში ექვსი გუნდია.

მერვე შესარჩევ ჯგუფზე ცალკე უნდა ითქვას. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი საომარი ვითარების გამო ორი შეხვედრა არ გაიმართა. ირლანდიის საშინაო თამაშმა იუგოსლავიასთან კი ლამის მთელი მსოფლიო შეძრა.

რატომ სჭირდება ირლანდიას იუგოსლავიის მოკვეთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან? ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს, რომ იუგოსლავიის ხელისუფლება ანტიდემოკრატიული და არაჰუმანურია, რის გამოც ამ ქვეყანას ყველა ორგანიზაციამ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს, მათ შორის უეფამაც. ამ განცხადების მიღმა, ჩვენი აზრით, ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მზაკვრული გეგმა იმალება — საეჭვოა, ირლანდიის ფეხბურთის მამებს იუგოსლავიის ხელისუფლების პოლიტიკა იმაზე მეტად ანაღვლებდეთ, ვიდრე შარშან, 18 ნოემბერს ბელგრადში მასპინძლებთან დაკარგული სამი ქულა.

დავუკვირდეთ საკითხს. თუ უეფა იუგოსლავიას ევროპის ჩემპიონატიდან მოხსნიდა, ირლანდიას შესაბამისად ბელგრადში წაგებული მატჩი გაუუქმდებოდა და კონტინენტის პირველობაზე მოხვედრის შანსი გაეზრდებოდა. დავხედოთ ცხრილს — ირლანდიასაც და იუგოსლავიასაც 9-9 ქულა აქვთ, თუმცა კუნძულელებს ბალკანელებზე მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული. ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციას იუგოსლავიის მოხსნა, ალბათ, ამიტომ უნდოდა.

ისე სჯობს შემოდგომამდე მოვიცადოთ. გამსვლელ-დამრჩენებზე საუბარი მაშინ უფრო ადვილი იქნება.

ᲚᲐᲛᲐ ᲒᲝᲓᲣᲐᲫᲔ

ჩეხები ნედვედი და ჰაშეკი (№5) ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ზეიმობენ

VI ᲯᲒᲣᲤᲘ

05.09.98 ავსტრია — ისრაელი 1:1, კვიპროსი — ესპანეთი 3:2; 10.10.98 კვიპროსი — ავსტრია 0:3, სან მარინო — ისრაელი 0:5; 14.10.98 ისრაელი — ესპანეთი 1:2, სან მარინო — ავსტრია 1:4; 18.11.98 სან მარინო — კვიპროსი 0:1; 10.02.99 კვიპროსი — სან მარინო 4:0; 27.03.99 ესპანეთი — ავსტრია 9:0; 28.03.99 ისრაელი — კვიპროსი 3:0; 31.03.99 სან მარინო — ესპანეთი 0:5; 28.04.99 ავსტრია — სან მარინო 7:0; 05.06.99 ესპანეთი — სან მარინო 9:0; 06.06.99 ისრაელი — ავსტრია 5:0.

ესპანეთი	5	4	0	1	28:4	12
ისრაელი	5	3	1	1	15:3	10
ავსტრია	6	3	1	2	15:16	10
კვიპროსი	5	3	0	2	8:8	9
სან მარინო	7	0	0	7	1:36	0

დარჩენილი თამაშები: 04.09.99 ავსტრია — ესპანეთი; 05.09.99 კვიპროსი — ისრაელი; 08.09.99 ისრაელი — სან მარინო, ესპანეთი — კვიპროსი; 09.10.99 ესპანეთი — ისრაელი; 10.10.99 ავსტრია — კვიპროსი

VII ᲯᲒᲣᲤᲘ

02.09.98 რუმინეთი — ლიხტენშტაინი 7:0; 05.09.98 სლოვაკეთი — აზერბაიჯანი 3:0; 06.09.98 უნგრეთი — პორტუგალია 1:3; 10.10.98 ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი 0:4, აზერბაიჯანი — უნგრეთი 0:4, პორტუგალია — რუმინეთი 0:1; 14.10.98 ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი 2:1, უნგრეთი — რუმინეთი 1:1, სლოვაკეთი — პორტუგალია 0:3; 26.03.99 პორტუგალია — აზერბაიჯანი 7:0; 27.03.99 უნგრეთი — ლიხტენშტაინი 5:0, რუმინეთი — სლოვაკეთი 0:0; 31.03.99 სლოვაკეთი — უნგრეთი 0:0, აზერბაიჯანი — რუმინეთი 0:1, ლიხტენშტაინი — პორტუგალია 0:5; 05.06.99 აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი 4:0, პორტუგალია — სლოვაკეთი 1:0, რუმინეთი — უნგრეთი 2:0; 09.06.99 უნგრეთი — სლოვაკეთი 0:1, პორტუგალია — ლიხტენშტაინი 8:0, რუმინეთი — აზერბაიჯანი 4:0

პორტუგალია	7	6	0	1	27:2	18
რუმინეთი	7	5	2	0	16:1	18
სლოვაკეთი	7	3	2	2	8:4	11
უნგრეთი	7	2	2	3	11:7	8
აზერბაიჯანი	7	1	0	6	5:21	3
ლიხტენშტაინი	7	1	0	6	2:34	3

დარჩენილი თამაშები: 03.09.99 აზერბაიჯანი — პორტუგალია; 04.09.99 ლიხტენშტაინი — უნგრეთი, სლოვაკეთი — რუმინეთი; 08.09.99 უნგრეთი — აზერბაიჯანი, რუმინეთი — პორტუგალია, სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი; 09.10.99 აზერბაიჯანი — სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი — რუმინეთი; 10.10.99 პორტუგალია — უნგრეთი

VIII ᲯᲒᲣᲤᲘ

05.09.98 ირლანდია — ხორვატია 2:0; 06.09.98 მაკედონია — მალტა 4:0; 10.10.98 მალტა — ხორვატია 1:4; 14.10.98 ხორვატია — მაკედონია 3:2, ირლანდია — მალტა 5:0; 18.11.98 მალტა — მაკედონია 1:2, იუგოსლავია — ირლანდია 1:0; 10.02.99 მალტა — იუგოსლავია 0:3; 05.06.99 მაკედონია — ხორვატია 1:1; 08.09.99 იუგოსლავია — მალტა 4:1; 09.06.99 ირლანდია — მაკედონია 1:0

იუგოსლავია	3	3	0	0	8:1	9
ირლანდია	4	3	0	1	8:1	9
მაკედონია	5	2	1	2	9:6	7
ხორვატია	4	2	1	1	8:6	7
მალტა	6	0	0	6	3:22	0

დარჩენილი თამაშები: 18.08.99 იუგოსლავია — ხორვატია; 01.09.99 ხორვატია — მალტა; 04.09.99 ხორვატია — ირლანდია, იუგოსლავია — მაკედონია; 08.09.99 მაკედონია — იუგოსლავია, მალტა — ირლანდია; 10.10.99 ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია; ირლანდია — იუგოსლავია (თარილი უცნობია)

IX ᲯᲒᲣᲤᲘ

04.06.98 ესტონეთი — ფარერები 5:0; 19.08.98 ბოსნია — ფარერები 1:0; 05.09.98 ლიტვა — შოტლანდია 0:0, ბოსნია — ესტონეთი 1:1; 06.09.98 ფარერები — ჩეხეთი 0:1; 10.10.98 შოტლანდია — ესტონეთი 3:2, ბოსნია — ჩეხეთი 1:3, ლიტვა — ფარერები 0:0; 14.10.98 ჩეხეთი — ესტონეთი 4:1, ლიტვა — ბოსნია 4:2, შოტლანდია — ფარერები 2:1; 27.03.99 ჩეხეთი — ლიტვა 2:0; 31.03.99 ლიტვა — ესტონეთი 1:2, შოტლანდია — ჩეხეთი 1:2; 05.06.99 ფარერები — შოტლანდია 1:1, ესტონეთი — ჩეხეთი 0:2, ბოსნია — ლიტვა 2:0; 09.06.99 ესტონეთი — ლიტვა 1:2, ფარერები — ბოსნია 2:2, ჩეხეთი — შოტლანდია 3:2

ჩეხეთი	7	7	0	0	17:5	21
შოტლანდია	6	2	2	2	9:9	8
ბოსნია	6	2	2	2	9:10	8
ლიტვა	7	2	2	3	7:9	8
ესტონეთი	7	2	1	4	12:13	7
ფარერები	7	0	3	4	4:12	3

დარჩენილი თამაშები: 04.09.99 ბოსნია — შოტლანდია, ფარერები — ესტონეთი, ლიტვა — ჩეხეთი; 08.09.99 ჩეხეთი — ბოსნია, ესტონეთი — შოტლანდია, ფარერები — ლიტვა; 05.10.99 შოტლანდია — ბოსნია; 09.10.99 ჩეხეთი — ფარერები, ესტონეთი — ბოსნია, შოტლანდია — ლიტვა

არაპროფესიონალიზმი კოლუმბიურად

ლიბერტადორესის თასი
ფინალი. საპასუხო მატჩი

პალმეირასი (ბრაზილია) 2:1 (პენ. 4:3) დეპორტივო კალი (კოლუმბია)

1:0 ევაირი (65პ), 1:1 ზაპატა (70პ), 2:1 ოსეასი (76)

პენალტები გაიტანეს: ჟუნიორ ბაიანო, როკე ჟუნიორი, როჟერიო, ეულერი (პალმეირასი), დუდამელი, გავირია, იეპესი (დეპორტივო კალი)

პენალტები ვერ გაიტანეს: ზინიო (პალმეირასი), ბედოია, მარტინ ზაპატა (დეპორტივო კალი)

პალმეირასი: მარკოსი, არსე (ევაირი 57), ჟუნიორ ბაიანო, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, როკე ჟუნიორი, ზინიო, როჟერიო, პაოლო ნუნეში, ალექსი (ეულერი 75), ოსეასი

დეპორტივო კალი: დუდამელი, პერესი (გავირია 84), მოსკუერა, იეპესი, ბედოია, ზაპატა, ვივეროსი, ბეტანკორტი, კანდელო (ურტადო 61), ბონილა, კორდობა (ვალენსია 80)

გაფრთხილება: კორდობა (22), ბეტანკორტი (35), ალექსი (39), ჟუნიორ ბაიანო (55), ზაპატა (62), ზინიო (68), ურტადო (73), დუდამელი (89)

გაძევება: მოსკუერა (79), ევაირი (95)

მსაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)

პირველი ფინალური მატჩი

დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:0 პალმეირასი (ბრაზილია)

1:0 ბონილა (42)

დეპორტივო კალი: დუდამელი, პერესი, იეპესი, მოსკუერა, ბედოია, ვივეროსი, ზაპატა, კანდელო, კორდობა, ბონილა (მარერო 73), კასტილიო (რეი 80)

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ჟუნიორ ბაიანო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, როჟერიო, ალექსი (ეულერი 71), ზინიო (გალეანო 83), პაულო ნუნეში, ოსეასი (ევაირი 47)

გაფრთხილება: როჟერიო (19), ზინიო (51), იეპესი (58), არსე (78), მარერო (80)

მსაჯი: მარიო სანჩესი (ჩილე)

REUTERS ხან ბალუდაკ

„პალმეირასის“ დღევანდელმა თაობამ კლუბს პირველად მოაგებინა ლიბერტადორესის თასი

ლიბერტადორესის თასი პირველად მოიგო ბრაზილიის „პალმეირასმა“. ორი, ძალიან დაძაბული ფინალის შემდეგ სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო თასი „პალმეირასის“, ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის საკუთრება გახდა.

...პირველი ფინალური დაპირისპირება კოლუმბიელებმა მოიგეს. საპასუხო, ძალიან დაძაბული მატჩი ბრაზილიელთა გამარჯვებით მთავრდება. ჯერი პენალტების სერიაზეა. მასპინძელთა გამოცდილი ნახევარმცველი ზინიო პირველივე დარტყმას აფუჭებს და მეტოქეს გამარჯვებასთან აახლოვებს. კოლუმბიელთა მეოთხე პენალტის წინ ანგარიში 3:2-ია მათ სასარგებლოდ. ბედოიამ რომ გაიტანოს, თასი „დეპორტივო კალისაა“. სიხარულის მომლოდინე კოლუმბიელებს ხასითი უფუჭდებათ — ბედოიას დარტყმას ბრაზილიელთა მეკარე მარკოსი იგერიებს. ყველაფერი თავიდან იწყება. „პალმეირასის“ ნახევარმცველ ეულერს მეხუთე პენალტი გააქვს. ახლა ჯერი მარტინ ზაპატაზეა. კოლუმბიელებს მომხდარის არ სჯერათ — ზაპატა, რომლემაც ძირითად დროში უკვე გაიტანა ერთი პენალტი, ამჯერად აცილებს. „პალმეირასი“ თასის მფლობელია!

— ეს უდიდესი გამარჯვებაა! ბრწყინვალე მოგება! — ამბობს „პალმეირასის“ გახარებული მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი. მისმა გუნდმა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო უკვე მეორედ მოიგო — მანამდე ოთხი წლით ადრე ფელიპე სკოლარიმ ტურნირი „გრემიოს“ მოაგებინა.

გამარჯვებულთა მწვრთნელი გახარებულია და ამასთანავე აღშფოთებულიც — მისი აზრით, პარაგვაელი მსაჯი უბალდო აკინო საშინლად მოიქცა.

მსაჯზე და მის ქმედებებზე მართლაც ღირს ცალკე საუბარი. გარდა იმისა, რომ ორი ფეხბურთელი გააძევა, ორი პენალტიც დანიშნა, მათ შორის პირველი ძალიან საეჭვო. მეტიც — ერთ მომენტში მოედანზე ორი ბურთი აღმოჩნდა, მსაჯმა კი თამაში არც შეაჩერა. და ყველაფერი ეს ლიბერტადორესის თასის ფინალის საპასუხო მატჩში!

სამხრეთ ამერიკის ტურნირებში ყოველთვის ხშირი იყო უხეში თამაშები. ლიბერტადორესის თასის ამ გათამაშებას ბევრი ისეთი მატჩი ახსოვს, სამოოთხი მოთამაშე რომ გაუძევებიათ. წითელი ბარათების გარეშე ვერც ამ თამაშშმ ჩაიარა — 79-ე წუთებზე კოლუმბიელი ანდრეს მოსკუერა მიაბრძანა მსაჯმა მინდვრიდან, რომელიც მეტოქე ოსეასს ძალიან ეუხეშა, პირველი დამატებითი დროის ბოლო წუთზე კი მოსკუერას გზას ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ევაირიც გაუყენა. ბრაზილიელი მცველთან უხეშობაში ამხილეს.

დაძაბული თამაში რომ იყო, ამას თქმა არ უნდა. მიუხედავად ბრაზილიაში თამაშისა, „დეპორტივო კალი“ ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა და არც იმის თქმის უფლებას აძლევდა მაყურებლებს, ნახეთ „პალმეირასს“ რამხელა უპირატესობა აქვსო.

ვიქტორ ბონილას, ერლი ბეტანკორტს და ალექსანდრ ვივეროსს, სტუმარ ფეხბურთელებს, გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი ეძლეოდათ, მაგრამ ბურთის კარში შეგორებას ვერ ახერხებდნენ. თავის მხრივ ვერც ბრაზილიელები ისრულებდნენ გულის წადილს. „პალმეირასს“ პირველ ტაიმში სამი რეალური საგოლე მომენტიც ჰქონდა, მაგრამ თავდასხმებს გოლი არ მოჰყოლია.

სამივე გოლი შესვენების შემდგომ, ზედაძაბულ მეორე ტაიმში გავიდა.

65-ე წუთზე ანდრეს მოსკუერა ოსეასის თავდასხმისგან იცავს თავს და ამ დროს უნებურად ბურთი ხელში ხვდება. მსაჯი პენალტს ნიშნავს. ევაირი ანგარიშს ხსნის და ორი მატჩის ჯამში „დეპორტივო კალის“ უპირატესობა ბათილდება.

70-ე წუთი: ბრაზილიის ნაკრების მცველი ჟუნიორ ბაიანო საჯარიმოში ხერარდო ბედოიას აქცევს და ზაპატას პენალტი გააქვს. კოლუმბიელები ორი მატჩის ჯამში კვლავ წინ გადიან.

76-ე წუთზე „პალმეირასის“ საუკეთესო ფეხბურთელი ჟუნიორი მარცხენა ფლანგიდან ოსეასს ზუსტად აწვდის ბურთს და ამ უკანასკნელსაც გოლი გააქვს. ვინაიდან სამხრეთ ამერიკაში სტუმრად გატანილ გოლს მნიშვნელობა არ ენიჭება, „პალმეირასი“ თასისთვის ბრძოლის უფლებას იტოვებს.

მერე დამატებითი დრო იყო, სულ ბოლოს კი პენალტები.

...„დეპორტივო კალის“ მეორე ცდა, ლიბერტადორესის თასი მოეპოვებინა, პირველის დარად, მარცხით დასრულდა. საერთოდაც კოლუმბიელებს არ უმართლებთ — ამ ქვეყნის კლუბები შვიდჯერ იყვნენ კონტინენტის უპრესტიჟულესი თასის გათამაშების ფინალში და მხოლოდ ერთხელ მოიგეს იგი.

ლაშა გოდუაძე

ლიბერტადორესის თასის წინა ფინალები

1960	პენიაროლი (ურუგვაი) — ოლიმპია (პარაგვაი)	1:0, 1:1
1961	პენიაროლი (ურუგვაი) — პალმეირასი (ბრაზილია)	1:0, 1:1
1962	სანტოსი (ბრაზილია) — პენიაროლი (ურუგვაი)	2:1, 2:3, 3:0
1963	სანტოსი (ბრაზილია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	3:2, 2:1
1964	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — ნასიონალი (ურუგვაი)	0:0, 1:0
1965	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — პენიაროლი (ურუგვაი)	1:0, 1:3, 4:1
1966	პენიაროლი (ურუგვაი) — რივერ პლეიტი (არგენტინა)	2:0, 2:3, 4:2
1967	რასინგი (არგენტინა) — ნასიონალი (ურუგვაი)	0:0, 0:0, 2:1
1968	ესტუდიანტესი (არგენტინა) — პალმეირასი (ბრაზილია)	2:1, 1:3, 2:0
1969	ესტუდიანტესი (არგენტინა) — ნასიონალი (ურუგვაი)	1:0, 2:0
1970	ესტუდიანტესი (არგენტინა) — პენიაროლი (ურუგვაი)	1:0, 0:0
1971	ნასიონალი (ურუგვაი) — ესტუდიანტესი (არგენტინა)	0:1, 1:0, 2:0
1972	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — უნივერსიტარიო (პერუ)	0:0, 2:1
1973	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — კოლო კოლო (ჩილე)	1:1, 0:0, 2:1
1974	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — სან პაულუ (ბრაზილია)	1:2, 2:0, 1:0
1975	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — უნიონი (ეკვადორი)	0:1, 3:1, 2:1
1976	კრუზეირო (ბრაზილია) — რივერ პლეიტი (არგენტინა)	4:1, 1:2, 3:2
1977	ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — კრუზეირო (ბრაზილია)	1:0, 0:1, 0:0
1978	ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — დეპორტივო კალი (კოლუმბია)	0:0, 4:0
1979	ოლიმპია (პარაგვაი) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	2:0, 0:0
1980	ნასიონალი (ურუგვაი) — ინტერნასიონალი (ბრაზილია)	0:0, 1:0
1981	ფლამენგო (ბრაზილია) — კობრელოა (ჩილე)	2:1, 0:1, 2:0
1982	პენიაროლი (ურუგვაი) — კობრელოა (ჩილე)	0:0, 1:0
1983	გრემიო (ბრაზილია) — პენიაროლი (ურუგვაი)	1:1, 2:1
1984	ინდეპენდიენტე (არგენტინა) — გრემიო (ბრაზილია)	1:0, 0:0
1985	არგენტინოს ხუნიორსი (არგ.) — ამერიკა (კოლუმბია)	1:0, 0:1, 1:1 (პენ. 5:4)
1986	რივერ პლეიტი (არგენტინა) — ამერიკა (კოლუმბია)	2:1, 1:0
1987	პენიაროლი (ურუგვაი) — ამერიკა (კოლუმბია)	0:2, 2:1, 1:0
1988	ნასიონალი (ურუგვაი) — ნიუელს ოლდ ბოისი (არგენტინა)	0:1, 3:0
1989	ატლეტიკო (კოლუმბია) — ოლიმპია (პარაგვაი)	0:2, 2:0 (პენ. 5:4)
1990	ოლიმპია (პარაგვაი) — ბარსელონა (ეკვადორი)	2:0, 1:1
1991	კოლო კოლო (ჩილე) — ოლიმპია (პარაგვაი)	0:0, 3:0
1992	სან პაულუ (ბრაზილია) — ნიუელს ოლდ ბოისი (არგ.)	0:1, 1:0 (პენ. 3:2)
1993	სან პაულუ (ბრაზიფლია) — უნივერსიდადი (ჩილე)	5:1, 0:2
1994	ველეს სარსფილდი (არგ.) — სან პაულუ (ბრაზილია)	1:0, 0:1 (პენ. 5:3)
1995	გრემიო (ბრაზილია) — ატლეტიკო (კოლუმბია)	3:1, 1:1
1996	რივერ პლეიტი (არგენტინა) — ამერიკა (კოლუმბია)	0:1, 2:0
1997	კრუზეირო (ბრაზილია) — სპორტინგ კრისტალი (პერუ)	0:0, 1:0
1998	ვასკუ და გამა (ბრაზილია) — ბარსელონა (ეკვადორი)	2:0, 2:1



ჟაკე იგონებს

მსოფლიოს ჩემპიონის, საფრანგეთის ნაკრების გადამდგარმა მწვრთნელმა, ემე ჟაკემ მემუარები გამოაქვეყნა.

ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატის ავადმოსაგონარი შესარჩევი შეჯიბრების ფერფლიდან ყოფილა აღდგენილი. ჟაკე წერს, რომ ბულგარეთის ნაკრებთან, 1993 წლის ნოემბერში, ბოლო წამზე წაგებული მატჩი „სეისმური პროპორციებისა“ გახლდათ და სვლა 1998 წლის ტრიუმფისკენ სწორედ მაშინ დაიწყო.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ფრანგთა აღმასვლის ლიდერი ერიკ კანტონა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით გამოჩნდა, რომ სამფეროვანთა მთავარი ძალა ზინედინ ზიდანისა და იური ჯორკაეფის წყვილი ყოფილა.

წიგნის პრეზენტაცია მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკელთა ძლევის (ტრიუმფალური სვლის პირველი მატჩი) წლისთავს დაემთხვა. კიდევ, იგი დაემთხვა პერიოდს, როდესაც ჟაკეს შემცვლელის, როჟე ლემერისეულ ნაკრებს ევრო 2000-ისკენ მიმავალ გზაზე სერიოზული დაბრკოლებები შეექმნა.

ჟაკეს მემუარების ის ნაწილი, რომელიც სამხრეთ აფრიკასთან თამაშით იწყება, მთელი მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი. იგი, 12 ივლისს, ბრაზილიელებთან 3:0 გამარჯვებით დასრულდა.

შედარებით უცნობია ის თავი, სადაც ჟაკე აღწერს თუ როგორ ჩაიბარა ჟერარ ულიესგან ეროვნული გუნდი. ჟაკე ულიეს ასისტენტი გახლდათ, როდესაც „პარკ დე პრენსზე“ 1993 წლის ნოემბრის ის შემზარავი ამბავი მოხდა. ის იგონებს, რომ ულიემ მოედნისკენ გაავგზავნა, რათა ფეხბურთელებისთვის ეთქვა, რომ 1:1 სასურველი ანგარიში იყო და შესაბამისად რისკი არ გაეწიათ, მაგრამ სანამ იგი მოედნამდე მივიდა ბულგარელებმა დაიწყეს ის საბედისწერო კონტრშეტევა, რომელიც ბერნარ ლამას კარში ემილ კოსტადინოვის გოლით დასრულდა.

„ველარაფერს ვხედავდი და აღარაფერი მესმოდა“ — წერს ჟაკე და არაფერს ამბობს დავიდ ჟინოლაზე, რომელმაც ბურთი დაკარგა და სტუმრებს კონრშეტევის საშუალება მისცა — „ერთადერთი, რასაც ვგრძნობდი, „პარკ დე პრენსზე“ ჩამოვარდნილი სამარისებული სიჩუმე იყო. ხელები თავზე შემოვიკარი და ყოველად განადგურებული გავშეშდი. ასეთი სასტიკი, ულმობელი, ბოროტი ღამე აღარასოდეს მქონია, მაგრამ სწორედ ამ მოუშუშებელმა იარამ ჩამინერგა ცივი სიბრაზე. ეს იყო ყრუ ძალადობა, რომელმაც ბევრი გადაწყვეტილება მიკარნახა... 1998 წლის 12 ივლისამდე“.

ჟაკეს, ულიეს მემკვიდრეობის მიღების შემდეგ, ნანგრევებიდან მოუხდა ახალი გუნდის აშენება. მშენებლობის ერთ-ერთი დიდი ნაბიჯი კი ნაკრებიდან კანტონას დათხოვნა გახლდათ, მაგრამ მანამდე...

„ერიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა მისი უსაზღვრო, სიამაყე გახლავთ. მე ამ თვისებას სხვებზე უკეთ ვგრძნობდი და ვვარაუდობდი, რომ „პარკ დე პრენსის“ კატასტროფას იგი დაგვაძლევინებდა“ — წერს ჟაკე.

ჟაკეს საფრანგეთმა მოღვაწეობა 1994 წლის თებერვალში, ნეაპოლში, იტალიელების 1:0 ძლევით დაიწყო, რასაც 30 წაუგებელი შეხვედრა მოჰყვა და მხოლოდ ევრო 96-ის მერე განიცადა პირველი მარცხი, დანიასთან, 0:1.

ოთხნახევარი წლის განმავლობაში, ჟაკეს ხელმძღვანელოით, ფრანგთა ეროვნულმა გუნდმა 53 შეხვედრიდან 34 მოიგო, 16 ფრედ ითამაშა და მხოლოდ 3 წააგო.

ჟაკე ამბობს, რომ ყოველთვის აფასებდა კანტონასეულ ღირსების გრძნობას, რომელიც ფეხბურთელმა 1996 წლის იანვარში, ევრო 96-ის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოავლინა, როდესაც მწვრთნელისგან შეიტყო, რომ ნაკრებში აღარ მიიწვევს.

„კანტონას ნაკრებიდან წასვლით მისმა თანაგუნდელებმა შეიგრძნეს, რომ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ და ისინი დადგნენ ფაქტის წინაშე... ისტორია თავად უნდა შექმნან, კანტონას გარეშე“ — წერს ჟაკე.

რეჟს გოვარი, როიტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაზროვნე

ჰერბერტ ჩეპმენი

30-იანი წლების „დეილი ტელეგრაფში“, „ტაიმზში“ თუ „ივნინგ სტანდარდში“ მკვლევარები აწყდებიან სტატიებს, სადაც „არსენალის“ დაცვის მეთოდი პერსონალურ მეურვეობად არის აღწერილი, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ ეს მთლად ასე ყოფილიყო. ბერნარდ ჯო ხომ ადრე ხსენებული რობერტსის ფუნქციის აღწერისას, ფაქტობრივად, ზონური დაცვის ელემენტებზე საუბრობს. იგი ამბობს, რომ რობერტსის დავალება მოწინააღმდეგის თავდამსხმელთან ჩრდილივით აკვრა სულაც არ იყო. მას კარის წინ გარკვეული ტერიტორიის კონტროლი ევალებოდა, რამეთუ გოლების 90 პროცენტი სწორედ აქედან გადის ხოლმე.

მეტიც, ჩეპმენისეულ სისტემას შეიძლება დიაგონალური ან ორმაგიც ეწოდოს. მისი არსი ის გახლდათ, რომ „არსენალის“ მცველები მეტოქეთა ჩაწოდებული მაღალი ბურთების დასახვედრად მოედნის ცენტრიდან საჯარიმოს შუაში იწევდნენ და ამით პენალტის ტერიტორიას ორმაგად იცავდნენ.

იკითხავთ, ასეთ დროს ხომ ფლანგები ცარიელდება და მოწინააღმდეგის გარემარბებს ხელ-ფეხი ეხსნებათო. თავად ჩეპმენი დიაგონალური მეთოდის შემოღებას ამგვარად ხსნიდა:

„ამასწინათ, ერთმა მწვრთნელმა მითხრა, რომ თავის გარემარბებს საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებას მხოლოდ მას მერე ავალებს, რაც ისინი კუთხურის დროშასთან ხუთ მეტრში მივლენ. ასეთ პირობებში კი ჩემი განაპირა მცველების მხრივ მათი დევნა დროის ფლანგვაა და მეტი არაფერი. ჯობს ისინი საჯარიმოში შევიდნენ და ცენტრალური ტერიტორია გაამაგრონ.“

ეს მაშინ რევოლუციურად ჩანდა. იმ პერიოდის გუნდები, „არსენალის“ მეტოქეები, გაოცებას ეძლეოდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ უტევენ, მოწინააღმდეგე თითქოს მიაჯაჭვეს კიდეც საჯარიმოს, მაგრამ დამარცხდნენ. განსაკუთრებით გამაოგნებელი გახლდათ ის, რაც ფლანგებზე ხდებოდა.

აი, რას წერდა „ტაიმზი“ 1930 წელს, „არსენალსა“ და „ჰადერსფილდს“ შორის გამართული, ასოციაციის თასის ფინალის შემდეგ:

„ის ძალა, ჰადერსფილდელებს ფრთებზე რომ აქვთ, შუაში რომ გადაეტანათ, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა.“

ჰერბერტ ჩეპმენის მსოფლმხედველობა, მნიშვნელოვანწილად, 1907 წელს გამართულმა ერთმა შეხვედრამ ჩამოაყალიბა. მაშინ ჩეპმენი „ნორსემპტონს“ ედგა სათავეში.

ეს მატჩი, რომელმაც არა მხოლოდ ჩეპმენის ცხოვრებაში, არამედ მთელ ინგლისურ და შესაძლოა მსოფლიოს ფეხბურთშიც კი საეტაპო როლი ითამაშა, „ნორსემპტონსა“ და „ნორვიჩს“ შორის გაიმართა და მიუხედავად იმისა, რომ „ნორსემპტონი“ თითქმის მთელი ორი ტაიმის განმავლობაში უტევდა, ნორვიჩელთა გამარჯვებით დამთავრდა. სწორედ მაშინ მოუვიდა მწვრთნელს აზრად, რომ საუკეთესო შეტევა დაცვაა.

ჩეპმენმა დაასკვნა: „გოლის გასატანად ყველაზე კარგი შესაძლებლობა მაშინ იქმნება, როდესაც გუნდი მოწინააღმდეგის შეტევას შლის და დაუყოვნებლივ იწყებს თავისას. ამ დროს ოპონენტები მოედნის არასასურველ ნახევარზე დგანან.“

კონტრშეტევის თეორია ჩეპმენმა კიდევ ერთს შეუზავა: „რომ შეუტიო, ბურთს უნად ფლობდე. მაშ რადაა ცუდი უკან დაბრუნება მის ხელახლა მოსაპოვებლად?“

შედეგად, ჯონ პარდინგის მტკიცებით, შეიქმნა სისტემა, რომელიც იმ პერიოდის ფეხბურთში საოცრად პროგრესული გახლდათ. ეს იყო ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც მოწინააღმდეგეთა საკუთარ ნახევარზე რაც შეიძლება ღრმად შეტყუებას ეყრდნობოდა.

დაცვის თავდასხმად ქცევა, მთელი გუნდის ერთიანი ორგანიზმივით ამოქმედება... ასეთი რამ ჩეპმენამდე არასდროს არავის ენახა. ეს იყო ის, რასაც დიდი ინგლისელი მწვრთნელი თეორიულად და პრაქტიკულად მთელი 20 წლის განმავლობაში ეყრდნობოდა და რითაც დიდებულ წარმატებებს აღწევდა.

ჩეპმენის მეთოდი ფიქრიდან მოდიოდა. ტომ უიტაკერი მასზე ამბობს დღეღამეში 25 საათი ფეხბურთზე ფიქრობდაო. უიტაკერი ჩეპმენის დროს გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი გახლდათ და ახსოვს, სისხამ დილით, როგორ ჩამოჯდებოდა დიდი ტაქტიკოსი მის გვერდით, რათა მეთოდებსა და თეორიულ საკითხებზე დაუსრულებლად ელაპარაკა.

მატ ბასბი წერდა: „დღეს ბევრს დავობენ გამთამაშებელზე და ჰგონიათ, რომ ასეთი ამპლუა თანამედროვეობის შექმნილია, არადა გავიხსენოთ ჯადოსნური „არსენალი“, ოცდაათიანი წლების გუნდი, რომელსაც ჰყავდა მოედნის შუიდან საუცხოო შეტევების წამომწყები მოთამაშე ალექს ჯეიმსი.“

შემოქმედ ჩეპმენს გამთამაშებლის ტიპის ამპლუა მისმა კონტრშეტევის ტაქტიკამ ლოგიკურად შესთავაზა. ნიშანდობლივია, რომ ახალი ფუნქციის დაკისრების შემდეგ ჯეიმსის გოლების რაოდენობა სამჯერ შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ჩეპმენისთვის ტრადიციული ინსაიდსა და მის გადაკეთებულ ვარიანტს, დღევანდელი გაგებით გამთამაშებელს შორის განსხვავება იმთავითვე ცხადი იყო. ამას ჩარლი ბაჩანის ამბავი ადასტურებს:

როდესაც ჩეპმენმა ბაჩანს ცენტრალური მცველის ფუნქცია გამოუძებნა, ნათლად დაინახა, რომ დაცვის წინ გამოჩნდა ცარიელი სივრცე, რომლის შესავსებად ყველაზე ლოგიკური ერთ-ერთი ინსაიდის უკან დახევა გახლდათ. ეს ამბავი ზემოხსენებული ჯეიმსის გამოჩენამდე ოთხი წლით ადრე ხდებოდა. ბაჩანმა ჩეპმენს უკან დახეული ინსაიდის როლში საკუთარი თავი შესთავაზა, მაგრამ მწვრთნელმა. შორს დაიჭირა. მას ბაჩანი საბოლოოდ მაინც შეტევისთვის სჭირდებოდა (აკი დაუბრუნა კიდეც ძველ ამპლუას). და მიაჩნდა, რომ ბაჩანის გოლები გუნდისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო.

და აი, ჩეპმენმა შეარჩია ფეხბურთელი, რომელსაც თავად ბაჩანი მოგონებებში ბოძივით უძრავს უწოდებს — ენდი ნილი. გარშემო მყოფთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მწვრთნელმა კი ზუსტად იცოდა, რომ ნილის სწრაფი სირბილი არაფრად სჭირდებოდა, სამაგიეროდ, მისი ბურთთან ერთიერთობა და პასების განაწილების უნარი უნდა გამოეყენებინა.

ჰერბერტ ჩეპმენი თავის ირგვლივ მხოლოდ გონიერ, მოაზროვნე მოთამაშეებს იკრებდა. ასეთები იყვნენ ალექს ჯეიმსი, დევიდ ჯეკი, იგივე ჩარლი ბაჩანი...

ბაჩანი ამბობს, რომ ოცდაათიანი წლების „არსენალის“ მწვრთნელის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსმენის უნარი გახლდათ. იგი ყოველთვის უსმენდა გარშემო მყოფთ და მათ მოსაზრებებს დაკვირვებით ეცნობოდა. ყოველ პარასკევს, შუადღისას, ჩეპმენი მოთამაშეებს შემოიკრებდა ხოლმე და გასული და მომავალი მატჩების შესახებ ესაუბრებოდა. მწვრთნელს მაგიდაზე საფეხბურთო მოედნის უშველებელი მოდელიც ედო და თვალსაჩინოდ გამოხატავდა თავის მოსაზრებებს. ტონი პოუსონი იგონებს, რომ ყველაზე გონებაშეზღუდულ ფეხბურთელებსაც კი ნათლად ესმოდათ, რას ითხოვდა მათგან პედაგოგი.

აქამდე უპირატესად „არსენალზე“ ვსაუბრობდით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰერბერტ ჩეპმენმა მუშაობა „ნორსემპტონში“ დაიწყო და პირველი, თვალსაჩინო ტაქტიკური სიახლენი სწორედ იქ დანერგა. მაშინ საქმე გარემარბთა ეფექტურობის ამაღლებას ეხებოდა. საამისოდ მწვრთნელმა დიაგონალური (თუ გნებავთ, გამჭოლი ვუწოდოთ) პასები დანერგა.

„ეს მეტად სანახაობრივი და სასარგებლო იყო, ვიდრე მოედნის ბოლომდე ჩარბენა და მხოლოდ იქ, კარის სიახლოვეს მისვლის შემდეგ პასის გადაწოდება“ — ამბობდა იგი.

ამრიგად ჩეპმენის გარემარბები აუტის ხაზის გასწვრივ ჯიუტად აღარ მირბოდნენ და მოედნის სიღრმიდანვე ცდილობდნენ მეტოქეთა მცველების მიღმა პასების გადაწოდებას. ისინი ყოველ წუთს მზად იყვნენ, თავიანთი მოძრაობის მიმართულებაც ეცვალათ და მოედნის სიღრმისკენ აეღოთ გეზი, ოღონდ მაშინ, როდესაც ბურთს მათი გაღმაფლანგელი კოლეგა ფლობდა. როდესაც მას თავად ფლობდნენ, შუისკენ არ მიიწევდნენ.

ხსენებული ტაქტიკური სიახლე ჩეპმენმა 1932-33 წლებში, „არსენალში“, კიდევ უფრო დახვეწა. ბერნარდ ჯო არსენალელთა კლასიკური გოლს ასე აღწერს: ცენტრალური მცველი, რობერტსი, შეტევას შლის და ბურთს ჯეიმსს აწვდის, რომელიც გრძელი პასით (მცველთა ზურგსუკან) ჯო ჰალმს რთავს კომბინაციაში. ჰალმი საჯარიმოში ჰკიდებს ბურთს, რომლისკენაც მაღალი სისწრაფით მირბის ბასტინი (ან ცენტრფორვარდი ჯეკ ლამბერტი ურტყამს).

აქ ბევრი რამ სიჩქარეზე იყო დამოკიდებული. ჩეპმენი ამბობდა, რაც უფრო მალე მიხვალ ოპონენტის კართან, მით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდებიო. კონტრშეტევისთვის მას რვაცხრა წამი ჰქონდა გამოყოფილი.

და „არსენალს“ მანქანა შეარქვეს. ასევე უწოდებდნენ, ჯერ კიდევ 1910 წელს, „ნორსემპტონს“. მანქანა ჰერბერტ ჩეპმენის გუნდების მარადიული მეტსახელი შეიქნა.

„იცვლებოდა სახეები, მაგრამ მანქანის ძრავა თანაბრად განაგრძობდა გუგუნს. ხანდახან იგი უფრო მძლავრდებოდა“ — წერდა თავის მოგონებებში ჰიდინგი.

„წუხელ უელსის პრინცი „ჰაიბერიზე“ გახლდათ. იგი ენერგიულ, ცოცხალ ფეხბურთს ელოდა, მაგრამ მსგავსი ვერაფერი იხილა. მან მხოლოდ ის ნახა, როგორ მოუგო „არსენალმა“ „ჩელსის“ 4:1 — წერდა 1932 წელს „სანდი ტაიმსი“.

როგორც გითხარით, ჰერბერტ ჩეპმენი 1934 წელს გარდაიცვალა.

პაპუნა კედია



1. მეკარე
2. მაჯვენა მცველი
3. მარცხენა მცველი
4. მაჯვენა ჰაფბეკი
5. ცენტრალური ჰაფბეკი
6. მარცხენა ჰაფბეკი
7. მაჯვენა ინსაიდი
8. მაჯვენა მაჯამაში
9. ცენტრფორვარდი
10. მარცხენა ინსაიდი
11. მარცხენა მაჯამაში

კლასიკური სქემა 2-3-5

ძველი, ცუდი ამბავი

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელი, დევიდ ჯონსი ბრძანებს, რომ გამოძიება, რომელსაც ლივერპულის პოლიცია ატარებს, მისი უმწიკვლობის საყოველთაო დადასტურებით დასრულდება. ჯონსის თქმით, მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები სრული სიყალბეა.

ბრალდება ბავშვისადმი უხეში მოპყრობა გახლავთ. ამბავი დიდი ხნის წინანდელია, მაგრამ საუთჰემპტონელთა თავკაცს პოლიციაში სიარული ამ დღეებში უნევს.

ჯონსის ვექილმა, სტივენ პოლარდმა ჟურნალისტებს უამბო, რომ მისი კლიენტი ყოველ მხრივ ეხმარება გამოძიებას სიმართლის დადგენაში, საუთჰემპტონში დაბრუნებას კი სექტემბერში გეგმავს.

პოლარდმა თქვა: „ჩემი კლიენტი დაკითხეს. მან უკლებლივ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა და პოლიციელებს ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა. იმავდროულად, დევიდ ჯონსი უარყოფს ბრალდებას და ამბობს, რომ მის წინააღმდეგ სრული სიყალბეა შეთითხნილი“.

შემდეგ, ვექილმა განაცხადა, რომ ბატონი ჯონსი აღარაფერს გაუკეთებს კომენტარს.

ამის შემდეგ, ჟურნალისტებმა „საუთჰემპტონის“ კლუბს მიაშურეს და მის პრესატაშეს ესაუბრნენ.

„ეს გამოძიება დეივიდის პირადი საქმეა. ამბავი, რომელსაც პოლიცია იძიებს, იქ მოხდა, სადაც ჯონსი მრავალი წლის წინ მუშაობდა“ — უპასუხა პრესატაშემ.

მერსისაიდული პოლიციის განცხადებაში ეწერა: „საქმესთან დაკავშირებით ეჭვმიტანილია 42 წლის საუთჰემპტონელი მამაკაცი, რომელიც ლივერპულის საგამოძიებო სამსახურის ოფისში 17 სექტემბერს ხელახლა არის დაბარებული“.

ლივერპულში დაბადებულმა დევიდ ჯონსმა პროფესიული ფეხბურთის თამაში 1976 წელს, „ევერტონში“ დაიწყო. იგი მცველი გახლდათ, რომელიც მანამდე, ორი წლის მანძილზე, „ევერტონისავე“ ახალგაზრდულ გუნდში გამოდიოდა. 1979 წელს „ქოვენთრი სიტიში“ გადასვლამდე, ჯონსმა, „ევერტონის“ შემადგენლობაში 95 შეხვედრა ჩაატარა.

დევიდ ჯონსი „საუთჰემპტონამდე“ „სტოკპორტ ქაუნთის“ წვრთნიდა. დღევანდელ გუნდს მან პრემიერლიგის ადგილი შეუნარჩუნა. საამისოდ „საუთჰემპტონმა“ ჩემპიონატის ბოლო ტურში ჯონსის ყოფილ გუნდს, „ევერტონს“ მოუგო 2:0.



დევიდ ჯონსი

აღსანიშნავია, რომ ჯონსების ოჯახს, ამასწინათ, უბედურება დაატყდა თავს, დევიდის ცოლის ძმა, პიტერ უაიტი, რომელიც ლივერპულში სატვირთო მატარებელს მართავდა, საგზაო კატასტროფაში დაიღუპა.

„ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ვიყავით დათრგუნული მთელი ოჯახი, მეუღლე ენი, მე და ყველა წევრი. „საუთჰემპტონში“ კლუბის ხელმძღვანელობამ იცოდა ამ ტრაგედიის ამბავი და მხარში მედგა. ფეხბურთელებისთვის კი არაფერი მითქვამს. ძალიან ძნელი ყოფილა ღიმილი, როდესაც გულზე დარდი გაწევს“ — თქვა დევიდ ჯონსმა.

☺ ინგლისელ მწვრთნელთა აზრები ☺

— „მე მხოლოდ ცოლიან ფეხბურთელებს ვყიდულობ. იმიტომ, რომ ყიცი საღამოს, ცოლიანი კაცი შინაა და სერიალს უყურებს“.

ბრუს რიოჩი („არსენალის“ ყოფილი მენეჯერი)

— „რატომ იყიდე ვინი ჯონსიო. ვიყიდე. ჩემი გოგოს საქმროდ კი არ მინდოდა, არამედ ფეხბურთის სათამაშოდ. რაში მაინტერესებს უზრდელია, თუ გიჟი?“

დეივ პასლეტი („უიმბლდონის“ ყოფილი მწვრთნელი)

— „შვილო, მინდა რომ სუფთად გაპარსული იყო. რა თქმა უნდა, ფეხბურთელს შეუძლია ჰქონდეს წვერი, მაგრამ მანამდე, სანამ მე დავინახავ“.

ბრაიან კლაფი („ნოტინგემის“ ყოფილი მენეჯერი)

— „ეს თამაში ორი ტაიმისგან შედგებოდა. ორივე ტაიმში ენით აუწერელ ნაგავს წარმოვადგენდით“.

ბრაიან ჰორტონი („ოქსფორდის“ ყოფილი მენეჯერი)

— „იუვენტუსივით“ დავიწყეთ და „კეტრინგ სიტივით“ დავამთავრეთ“.

ბარი ფრი („ბირმინგემის“ ყოფილი მენეჯერი)

— „ფეხბურთი ის კი არ არის... თქვენ რომ აქ იდიოტური მოწყობილობის ღილაკებს აჭერთ თითს და ტელეერეპორტაჟი გადაიცემა“.

რონ ატკინსონი, ტელეინტერვიუდან

— „ძალიან ულიბლო დღე იყო. 0:7 წავაგეთ და სულ იმას ვფიქრობდი, შინ რომ წავალთ, გზაში ავარია არ შეგვემთხვაოს-თქო“.

ფრენკ კლარკი („ნოტინგემის“ თავკაცი)

— „გარი ყოველთვის სწორ გზას ირჩევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა არჩევანი არ აქვს“.

კევინ კიგანი (ინგლისის ნაკრების მენეჯერი)

— „იღბლის იმედად არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა სხვა გზა არ არის“.

ალან ბოლი („მანჩესტერ სიტის“ ყოფილი მენეჯერი)

GUERIN SPORTIVO



პაულო სერჟიოში „ბაიერნმა“ დიდი თანხა გადახადა

ხელი გაიკრეს ჯიბესა...

ბუნდესლიგის 37-ე ჩემპიონატი 13 აგვისტოს იღებს სტარტს. კლუბები ჯერაც საზაფხულო არდადეგებზე იმყოფებიან. მათ უმეტესობას ვარჯიშის დაწყება ივლისის პირველ რიცხვებში აქვს დაგეგმილი, თუმცა დროს უქმად არც ახლა კარგავენ. ამჟამად გერმანიაში, ისევე, როგორც ევროპის უმეტეს საფეხბურთო ქვეყანაში, სატრანსფერო ციებ-ცხელებაა. გუნდები სასურველი ფეხბურთელების ყიდვა-ძიებაში არიან. ეს პროცესი გერმანიაში 30 მაისს, ანუ ბუნდესლიგის 36-ე ჩემპიონატის დასრულების მეორე დღესვე დაიწყო.

ლიდერებზე უფრო დაწვრილებით ვთქვათ.

მიუნხენის „ბაიერნმა“ წლეულსაც იგივე გააკეთა, რაც შარშან. მაშინ, თუ გახსოვთ, ბავარიელებმა პირველი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ კაპიტანი შტეფან ეფენბერგი შეიძინეს, რომლის ძალისხმევამაც შარშან „გლადბახი“ პირველ ბუნდესლიგაში დატოვა. 30 მაისს კი „ბაიერნმა“ „ბორუსიას“ 6 მილიონი მარკა გადაუხადა, სანაცვლოდ კი შვედი პატრიკ ანდერსონი მიიღო. აღსანიშნავია, რომ 27 წლის მცველი ეფენბერგის წასვლის შემდეგ კაპიტობდა გლადბახელებს. ანდერსონის გარდა მიუნხენელებმა კიდევ სამი ფეხბურთელი შეიძინეს, მათგან ყველაზე ძვირი ბრაზილიელი პაულო სერჟიო დაუჯდათ. იტალიური „რომას“ ბრაზილიელი თავდამსხმელის „ბაიერნის“ 13-ნომრიანი მაისურათი ხილვის სურვილმა კლუბის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს 15 მილიონი მარკით შეუთხელა ჯიბე. ამდენი ფული გერმანული კლუბებიდან, წლეულს, ჯერჯერობით არავის გადაუხდია. ბავარიელებმა კიდევ 10 მილიონი პარაგვაელ როკე სანტა კრუზში გადაიხადეს. „ოლიმპია ასუნსიონის“ 17 წლის ფეხბურთელმა ამას წინათ ნიგერიაში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ითამაშა და გერმანელებსაც იქ მოაწონა თავი. წასვლით კი „ბაიერნიდან“ სულ ორი კაცი წავიდა — ჰელმერს გუნდთან კონტრაქტის ვადა გაუვიდა და გათავისუფლების ფურცელი ითხოვა, რაღაცით უკმაყოფილომ, აქ ყოფნას წასვლა მირჩევნიაო, თქვა და 34 წლის მცველიც ჯერჯერობით უსაქმოდაა, ალი დაეიმ კი მიუნხენელთა სათადარიგო სკამზე ჯდომას, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრილი ბერლინის „ჰერტას“ ძირითადში თამაში ამჯობინა. როგორც იცით, გუნდის დატოვება სამ წამყვან ფეხბურთელს — მათეუსს, ბაბელსა და ბასლერს სურდათ, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ ისინი დარჩენაზე დაიყოლია, მაგრამ ბასლერი კონტრაქტის გადახედვას და ყოველწლიური ხელფასის სამ მილიონ მარკამდე გაზრდას ითხოვს.

თუკი მიუნხენის „ბაიერნმა“ სასურველი ფეხბურთელების შესაძენად 33,5 მილიონი მარკა გაიღო, იაშვილის, კობიაშვილის და ცქიტიშვილის „ფრაიბურგს“ საამისოდ სულ მილიონ 2 მილიონ 80 ათასი დასჭირდა. აქედან 1,2 მილიონი მარკა ფრაიბურგელებმა 19 წლის ოუმარ კონდეში გადაიხადეს. შვედეთის 21-წლამდელთა ნაკრების მცველი მანამდე ინგლისურ „ბლექბერნში“ირიცხებოდა.

დიდი ვაჭრობა აქვს გაჩაღებული ვერცხლის მედლის მფლობელ „ლევერკუზენს“, რომელმაც ყველაზე მეტი, 9 ახალი ფეხბურთელი შეიძინა, ხუთი კი გაასხვისა. ხოლო 36 წლის მეკარე ფულბორნმა აქტიური კარიერა (უფრო სწორად მატიშეკისა და ჰაინენის ჩრდილქვეშ ყოფნა) შეწყვიტა და „ლევერკუზენის“ ახალგაზრდულ გუნდს გაწვრთნის. გუნდიდან წასვლის სურვილი გამოთქვეს ჰაინცემ, ნიკო კოვაჩმა და მეიერმა, რომლებსაც ახალი ნავსაყუდელის პოვნა სულაც არ გასჭირვებიათ. დანიელი, 35 წლის იან ჰაინცე „ეინდჰოვენში“ გადავიდა, ჰოლანდიელი ერიკ მეიერი „ლივერპულში“, ხოლო კოვაჩი სამშობლოში დარჩა და „ჰამბურგს“ მიაშურა. აღსანიშნავია, რომ მათ სანაცვლოდ „ლევერკუზენს“ პფენინგიც არ მიუღია, რადგან ივნისიდან სამივენი თავისუფალი აგენტები გახდნენ.

დიდი მიზნების მქონე ბერლინის „ჰერტამ“ ირანელი ალი დაეის გარდა ოთხი ფეხბურთელი შეიძინა. ბერლინური კლუბის ქომაგები მთელი მეორე წრის განმავლობაში ევროპას აფრთხილებდნენ, „ჰერტა“ მოდის, ფრთხილად იყავითო. კლუბიც ყველა ღონეს ხმარობს გულშემატკივრის გასახარებლად. თუმცა დაეის, დაისლერის, მიხალკეს, კონსტანტინიდისისა და რემერის გუნდში მისვლის მიუხედავად, „ჰერტას“ მთავარ დამრტყმელ ძალად მაინც ბუნდესლიგის გასული სეზონის ბომბარდირი მიხაელ პრეტცი რჩება. გუნდიდან მხოლოდ კრისტიან საბა წავიდა, რომელიც წლეულს „ჰერტას“ შემადგენლობაში საერთოდ არ გამოჩენილა.

საგრძნობლად გაძლიერდა დორტმუნდის „ბორუსიაც“, რომელიც „ჰერტას“ მსგავსად ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ემზადება. მიხაელ სკიბემ ყველა ამპლუის ფეხბურთელი შეარჩია და პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმაც ფული არ დაიშურა. ფრედი ბობიჩის, კრისტიან ვიორნსის და კლაუდიო რეინას შეძენა დორტმუნდელებს 29 მილიონი მარკა დაუჯდათ. თუმცა მომავალ სეზონში ამ თანხის ორმაგად ამოღებაც დაუგეგმავთ. „ბორუსია“ შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის მათ შორის ერთიც არაა. 33 წლის სკიბემ სულ დაკარგა უფროსის პატივისცემა. 34 წლის კრეესა და თანატოლ ჰესლერსა და ბინცს არაერთხელ აგრძნობინა, აღარ მჭირდებითო.

ბაიერნი:
მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პატრიკ ანდერსონი (გლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), პაულო სერჟიო (რომა)

ლევერკუზენი:
ოლივერ ნოვილი (ჰანზა), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), რობსონ პონტე (გუარანი), ვრატისლავ გრეშკო (სლოვანი), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი)

ჰერტა
სებასტიან დაისლერი (გლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა), ალი დაეი (ბაიერნი)

დორტმუნდი
ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), კლაუდიო რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი)

კაიზერსლაუტერნი
იორგენ პეტერსონი (გლადბახი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი)

ვოლფსბურგი
ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), ჟან-კასონგო ბანზა (?), მარტინო ბილიშკოვი (ჰაიდუკი), კრისტიან ბრანდი (ვერდერი), მარკუს ფელდჰოფი (გლადბახი), ზოლტან სებესკენი (კიკერსი), პატრიკ ვაიზერი (რენი), კრისტიან ვუკი (კარლსრუე)

ჰამბურგი
როი პრეგერი (ვოლფსბურგი), ვაჰიდ ჰაშემიანი (თეირანი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), მეჰდი მაჰდავიკია (თეირანი)

დუისბურგი
მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი), პაველ დრჟეკი (ბლზანი), მარტინ შნაიდერი (გლადბახი), ანდრეა ფოსი (ლევერკუზენი), რალფ კაიდელი (ნიუკასლი), სერგან გიუვენსიკი (აუგსბურგი)

მიუნხენი
თომას ჰესლერი (დორტმუნდი), შტეფან პასლაკი (გლადბახი), მარტინ მაქსი (შალკე), ტომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი), ფილიპ ტაპალოვიჩი (შალკე), იორგ შერბე (ურდინგენი), პროსენიკი (რაპიდი)

შალკე
ებე სანდი (ბრონდბიუ), ნილს კამპუსი (ტვენტე), კრისტიან ცოლარი (შალკეს ახალგაზრდული), სერჟიო პინტო (შალკეს ახალგაზრდული), ტონი ტაპალოვიჩი (შალკეს ახალგაზრდული), ტამაშ ჰაინალი (შალკეს ახალგაზრდული)

შტუტგარტი
იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი), ახიმ ჰოლერიტი (ურდინგენი), პაველ კუკა (ნიუნბერგი)

ფრაიბურგი
ანდრიას ცაიერი (ბოხუმი), ბიორნ დრეიერი (ნორდერშტედტი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი)

ვერდერი
ფრანკ ბაუმანი (თავ. აგენტი)

ჰანზა
რენე შნაიდერი (დორტმუნდი), კაი ოსვალდი (შტუტგარტი), აზიზ აჰენფუფი (უნტერჰახინგი)

ბოლო ტურში ჩემპიონთა ლიგის საგზურის დაკარგვა ძვირად დაუჯდა „კაიზერსლაუტერნის“ მთავარ მწვრთნელ ოტო რეჰაგელს. იგი კლუბის პრეზიდენტმა ჰუბერტ კესლერმა იმით დასაჯა, რომ ახალი ფეხბურთელების შესაძენად ძალიან ცოტა ფული გამოუყო. რეჰაგელიც იძულებული გახდა, არჩევანი თავისუფალ აგენტებზე შეეჩერებინა. ტარე, კომლიენოვიჩი, სობოჩიკი და შტრასერი „ლაუტერნში“ ისე ჩაირიცხნენ, კესლერს ჯიბეში ხელი არც ჩაუყვია. ერთი იორგენ პეტერსონში გადაუხადა „გლადბახს“ 4 მილიონი მარკა.

რვა ახალი ფეხბურთელი შეიძინა „ვოლფსბურგმა“, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, წლევანდელი შედეგი გაიმეოროს, რადგან გუნდი ერთბაშად ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ის, რომ „ვოლფსბურგი“ წლეულს მეექვსე ადგილზე გავიდა, უმეტესწილად სწორედ პრეგერის, კაპეტანოვიჩის, კოვაჩევიჩისა და რეინას დამსახურებაა.

ქვემოთ თხუთმეტი გუნდის სატრანსფერო მონაგარს გაეცნობით. მათ შორის არ არიან „მიონხენგლადბახი“, „ბოხუმი“ და „ნიურნბერგი“, რომლებიც წლეულს პირველ ბუნდესლიგას დაეშვიდობნენ.

ვანო ოქროპირიძე

ევროპის ჩემპიონატის IX შესარჩევი ჯგუფის 27 მარტს გასამართი მატჩი შოტლანდიასა და ბოსნიას შორის, უეფას გადაწყვეტილებით, 5 ოქტომბერს გლაზგოში — „იბროქს პარკზე“ გაიმართება.

გერმანიის დედაქალაქური „ჰერტა“ ჩემპიონთა ლიგაში ჩასატარებელ მატჩებს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე ვერ გამართავს. ეს განცხადება უეფას წარმომადგენელმა ფრიც ალსტრომმა გააკეთა. მისივე თქმით, ოლიმპიური სტადიონი უეფას მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და მასზე საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება დაუშვებელია. ბერლინის სტადიონზე ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული ინდივიდუალური სკამები, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ „ჰერტას“ საერთაშორისო შეხვედრები ბერლინში მდებარე 15 000-იან სტადიონზე შედგება.

რუმინეთის თასის ფინალში ბუქარესტის „სტიაუამ“ თანაქალაქელი „რაპიდი“, მას შემდეგ, რაც ძირითადი დრო ფრედ 2:2 დასრულდა, პენალტების სერიაში 6:4 დაამარცხა. რაც შეეხება რუმინეთის ჩემპიონატს, აქ უძლიერესის ტიტული ამ თვის დასაწყისში „რაპიდმა“ 32 წლის შესვენების შემდეგ პირველად მოიპოვა.

სლოვენიის თასის ორრაუნდიან ფინალში ლუბლიანის „ოლიმპიას“ „მარიბორმა“ სძლია. ორივე შეხვედრა „მარიბორმა“ შესაბამისად 3:2, 2:0 მოიგო.

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების და ინგლისური „ნოტინგემ ფორეტის“ თავდამსხმელი პიერ ვან ჰოიდონკი შესაძლოა, სამშობლოში, კერძოდ, არნემის „ვიტესში“ გადაბარგდეს. 29 წლის თავდამსხმელი ინგლისში გლაზგოს „სელტიკიდან“ 1997 წელს გადავიდა. მაშინ ნოტინგემელებმა ჰოიდონკში 4,5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ამჟამად ინგლისური კლუბი მზადაა, გაყიდოს ჰოლანდიელი, თუ „ვიტესი“ 4 მილიონ გირვანქას გაიღებს.

საფრანგეთის 1995 წლის ჩემპიონები — პატრის ლოკო, რეინალდ პედროსი და ნიკოლა უედეკი მომავალ სეზონს კვლავ ერთ კლუბში გაატარებენ, ოღონდ არა „ნანტში“, არამედ „მონპელიეში“. უედეკი უკვე ირიცხებოდა „მონპელიეში“, ლოკო და პედროსი კი ახლა შეუერთდნენ გუნდს, შესაბამისად პსჟ-დან და „პარმადან“. „მოხარული ვარ, რომ „ჯადოსნური ტრიო“ გაისად ჩვენთან ითამაშებს, დარწმუნებული ვარ, მათთან ერთად კლუბი ბევრს მიაღწევს“ — განაცხადა „მონპელიეს“ პრეზიდენტმა ლუი ნიკოლინმა.

ერევანი, მარსელი თუ ბრიუსელი?

2000 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის IV შესარჩევი ჯგუფის მატჩი სომხეთის და საფრანგეთის ეროვნულ გუნდებს შორის, რომელიც 8 სექტემბერს უნდა გაიმართოს შესაძლოა, ერევნის ნაცვლად მარსელში ჩატარდეს.

ამის მიზეზი ისაა, რომ უეფამ სომხეთის სტადიონი „ჭრაზდანი“ საერთაშორისო შეხვედრებისთვის უვარგისად ცნო, თუმცა ცოტა დაგვიანებით, რადგანაც „ჭრაზდანზე“ თავისი შეხვედრები IV ჯგუფის სხვა წარმომადგენლებმა — რუსეთმა და უკრაინამ უკვე ჩაატარეს. ამიტომ, როგორც ერთი, ასევე მეორე სასტიკი წინააღმდეგია, მატჩი საფრანგეთში ჩატარდეს.

რუსეთის და უკრაინის ფეხბურთის მესვეურთა განცხადებით, სომხეთს საკუთარ კედლებში გაცილებით მეტი შანსი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონებს ქულები დააკარგვინოს.

რაც შეეხებათ სომხებს, მათ თამაშის საფრანგეთში გამართვა ფინანსურად აძლევთ ხელს, რადგან ისინი, როგორც ბილეთების, ისევე ტელეტრანსლაციის გაყიდვიდან მიიღებენ წილს. მიუხედავად ამისა, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი არმენ ოგანესიანი კატეგორიულად აცხადებს, რომ მატჩი აუცილებლად ერევანში ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ უეფა მატჩის ნეიტრალურ მოედანზე, ბრიუსელში ჩატარების ვარიანტსაც განიხილავს.

ნორვეგია

მე-11 ტური: ლილესტრიომი — ვალერენგა 4:1; მოსი — სტრომსგოდსეტი 2:5; გრელანდი — მოლდე 0:0; სკეიდი — კონგსვინგერი 0:1; ტრომსო — ბოდო გლიმტი 5:1; ვიკინგი — როსენბორგი 0:2. სტაბეკი — რანი (ანგარიში იხილეთ ბოლო გვერდზე)

როსენბორგი	10	8	1	1	31:7	25
ლილესტრიომი	10	7	1	2	25:17	22
სტაბეკი	9	6	2	1	22:10	20
მოლდე	10	6	2	2	16:7	20
ტრომსო	11	5	2	4	29:19	17
გრელანდი	11	5	1	5	15:23	16
ბრანი	9	5	0	4	14:17	15
ვიკინგი	10	4	1	5	16:14	13
ვალერენგა	11	4	1	6	15:19	13
მოსი	11	4	0	7	18:23	12
სკეიდი	11	3	1	7	12:27	10
კონგსვინგერი	10	3	0	7	14:21	9
სტრომსგოდსეტი	10	3	0	7	14:26	9
ბოდო გლიმტი	11	2	2	7	19:30	8

ჰოლანდია

პლეი ოფი

A ჯგუფი

დორდრეხტი 2:1 ემენი

ვაალვიკი 2:0 ზვოლე

ვაალვიკი	5	4	1	0	10:3	13
ზვოლე	5	2	2	1	7:6	8
დორდრეხტი	5	1	1	3	8:12	4
ემენი	5	1	0	4	10:14	3

„ვაალვიკი“ კვლავ ლიგაშია

B ჯგუფი

ელმონდი 0:1 გრონინგემი

სპარტა 6:0 ექსელსიორი

გრონინგემი	5	4	1	0	16:5	13
სპარტა	5	4	0	1	16:6	12
ექსელსიორი	5	1	1	3	9:17	4
ელმონდი	5	0	0	5	4:17	0

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

უნგრეთი

34-ე ტური: ნიერშეგი — დუნაფერი 3:1; ვიდეოტონი — ვაშაში 2:2; ვაცი — ჰალადაში 3:1; დიორ ეტო — მტკ 1:0; დებრეცენი — შიოფოკი 1:0; ბვსც — დიოშდიორი 1:3; უიპეშტი — გაზერი 2:1; ფერენცვაროში — კიშპეშტი 0:1; ზალაეგერცეგი — კერულეტი 2:1

საბოლოო ცხრილი

მტკ	34	27	2	5	77:26	83
ფერენცვაროში	34	19	7	8	61:40	64
უიპეშტი	34	20	3	11	58:40	63
დიორ ეტო	34	16	11	7	53:39	59
ვაშაში	34	15	10	9	51:44	55
ზალაეგერცეგი	34	15	8	11	43:37	53
დიოშდიორი	34	14	9	11	56:51	51
დებრეცენი	34	14	7	13	53:39	49
ვაცი	34	13	10	11	51:49	49
გაზერი	34	11	11	12	37:40	44
დუნაფერი	34	11	9	14	54:46	42
კიშპეშტი	34	11	9	14	38:50	42
ნიერშეგი	34	10	9	15	46:52	39
ჰალადაში	34	10	6	18	39:54	36
შიოფოკი	34	7	9	18	32:49	30
ვიდეოტონი	34	7	9	18	36:54	30
ბვსც	34	7	6	21	34:53	27
კერულეტი	34	4	6	24	40:93	18



ინგლისელთა კაპიტანი ტონი ადამსი მსაჯს ესაუბრება

ციხიდან ბუკინგემის სასახლემდე

ტონი ადამსი უამაყესი ადამიანია. აქვს კიდევაც საბაბი, რომელსაც ბუკინგემის სასახლეში დედოფლის ხელით დაკიდებული იმპერიის წევრის ორდენი ჰქვია.

და ცივი, სამეფო შამპანური.

ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ კაპიტანს წინააღმდეგობებით აღსავსე კარიერა ჯერ არ დაუმთავრებია, მაგრამ დიდ ხანსაც ვეღარ გაძლებს მოედანზე. ჯერჯერობით მისი კარიერის მწვერვალად შეიძლება ევრო 96-ის ნახევარფინალი მივიჩნიოთ, უფსკრულად კი ის დღე, როდესაც მთვრალი მანქანას მართავდა და ციხეში ამოაყოფინეს თავი.

მოედანზე ტონი ადამსი უშიშარია, ბასრძოლი, კარგი გაგებით გლადიატორი და ამიტომაც სცემს მთელი ერი პატივს. მის შეუპოვრობას, როგორც ეროვნული გუნდის, ასევე „არსენალის“ დაცვის ცენტრში, ბარე ორი სახელგანთქმული ფორვარდი შეუცბუნებია, ხოლო კლუბისადმი ერთგულებამ „ჰაიბერიზე“ გმირად აქცია.

ენამწარე ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ადამსი თამაშს ისევე კარგად კითხულობს, როგორც იმ წიგნებს მისი ლოთობის დროინდელ ამბებზე რომ დაწერილა. წერენ იმასაც, რომ ადამსს მეტოქესთან ორთაბრძოლის დაწყების წამი არასდროს ავარება და დროის ასეთი სიზუსტით შემგრძნობი კაცი „არსენალის“ მწვრთნელს, არსენ ვენგერს, ავტობუსების ფირმის ხელმძღვანელად რომ დაენიშნა, მსოფლიოს სატრანსპორტო ეგზეკუტივთა შორის ყველაზე უშეცდომო სწორედ მისი იქნებოდა.

ინგლისელთა მეხსიერებაში მკაფიოდ ჩაჭედილი ასეთი სურათიც: მთვრალი ადამსი აქეთ-იქიდან ამომდგარ პოლიციელებს გაუკავებიათ და საპატიმროსკენ მიჰყავთ.

ამ ამბიდან ოთხი თვის მერე ინგლისური გაზეთები ახალი ფოტოგრაფიებით აჭრელდა: ადამსი ციხის კარიდან გამოდის.

ეს 1990 წელს იყო.

დღეს, ფეხბურთელს ახსენდება ის მომენტი, პოლიციელებმა სასამართლოს დარბაზიდან რომ გაიყვანეს და სატუსაღოსკენ მიმავალ მანქანაში ჩასვეს. ადამსს წარსულის ჩრდილი ზარავს.

ეს კი 1996 წელს იყო:

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი თვით ადრე, არსენალელმა სმას თავი დაანება, მაგრამ დადგა ნახევარფინალის დღეც, ინგლისის ნაკრებმა გერმანიასთან პენალტების სერიაში მარცხი იწვნია და ადამსს დარდი მოეძალა...

თუმცა დღეს — და ამას იმპერიული ჯილდოც ადასტურებს — 33 წლის ფეხბურთელი პატივცემული პიროვნებაა. რისი მოგებაც კი შეუძლია ფეხბურთელს ინგლისში, ყველაფერი მოგებული აქვს, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მისთვის ყველა ტიტული არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ის, რომ ბოთლისკენ მშვიდად შეუძლია გახედვა.

ზოგადად, ბოთლთან ბრძოლა ისეთი რამაა, რომ ბევრი ვერ იტყვის ასპროცენტიანი გამარჯვება მერგო. ინგლისელები ამბობენ, რომ ადამიანი მთელი ცხოვრებით ლოთდება და არა მხოლოდ საშობაო არდადეგებზე, თუმცა ადამსის შემთხვევაში საძაგელი დღეები, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა.

როდესაც მან, 1998 წელს, ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და ფეხბურთის ასოციაციის თასიც აღმართა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ძველი წარმატებები უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ თუ ახლანდელიო. კაპიტანმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ახლანდელი, იმიტომ, რომ ძველი ამბები არ მახსოვს. მაშინ ყოველდღე მთვრალი ვიყავი.

ადამსს იმან უშველა, რომ უცოდველი ბიჭის როლი არასდროს უთამაშია. ის ლოთი იყო და არავის ატყუებდა, არ ვარო. პირიქით, მუდამ ცდილობდა, ჩვეულებრივი გამხდარიყო.

ამჟამად ტონი ადამსი „არსენალში“ ერთობ მნიშვნელოვანი ფიგურაა და როგორც მოედანზე, ისევე მის გარეთ, კლუბში, ყველა წვრილმანს სერიოზულად ეკიდება. იგი გენერლის, არსენ ვენგერის, ლეიტენანტია და საწვრთნელ მინდორზე ახალგაზრდებს მაგალითს აძლევს. არაა გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავადაც გახდეს გენერალი.

თუმცა დღეს ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერჯერობით ადამსს სურს, შეძლებისდაგვარად გაიზანგრძლივოს კარიერა. მას მეტი ტიტულის მოპოვება უნდა. მაგალითად, ჩემპიონთა თასი სულაც არ იქნებოდა ზედმეტი.

აბა, ბრიტანეთის იმპერიის წევრს მოკრძალებული მიზანი ხომ არ ეჭნება.

პაპუნა კედია

2001 წლის გამოცდა

XVI მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში 2002 წელს, პირველად თავის არსებობის მანძილზე, აზია უმასპინძლებს, თანაც ტურნირი ერთდროულად ორ ქვეყანაში — კორეა-იაპონიაში ჩატარდება. ეს უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ ფეხბურთის მრავალ გულშემატკივარს დღემდე ეეჭვება, რომ კორეა-იაპონია, სადაც ფეხბურთი არც თუ დიდი ხანია, რაც პოპულარული გახდა, ღირსეულად ჩაატარებს ჩემპიონატს.

სწორედ ამ ეჭვების გასაქარწყლებლად ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გასულ სამშაბათს მომავალი ტურნირის ორგანიზატორებს ურჩია, რომ 2001 წელს კონფედერაციის თასის გათამაშება კორეა-იაპონიაში ჩაატარონ. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ტურნირი მომავალ თვეში მექსიკაში გაიმართება, სადაც ექვსი ქვეყნის ეროვნული ნაკრები იასპარეზებს.

— ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ მოხარული ვიქნები, თუ ორგანიზატორნები ჩემს აზრს გაითვალისწინებენ და 2001 წელს კონფედერაციის თასს სწორედ ეს ორი აზიური ქვეყანა უმასპინძლებს — განაცხადა ბლატერმა.

რამდენიმე დღეში სეულში დაგეგმილია სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ჩუნგ მონგ-ჯუნის და მისი იაპონელი კოლეგის შუნ-იჩირო ოკანოს ოფიციალური შეხვედრა, სადაც ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

სარგიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი XXXVIII ტური

19.06	სალამანკა — ტენერიფე	2,0	2,9	3,4
	რასინგი — ვალიადოლიდი	1,9	2,8	3,8
20.06	ბეტისი — ბილბაო	3,0	3,0	2,0
	სარაგოსა — ბარსელონა	2,5	2,9	2,5
	ესტრემადურა — ვილიარეალი	1,8	3,0	4,0
	რეალი — დეპორტივო	1,7	3,0	4,7
	სელტა — ატლეტიკო	1,3	3,2	7,0
	ვალენსია — მალიორკა	1,8	3,0	4,0
	ესპანიოლი — ოვიედო	1,2	5,0	9,0
	ალავესი — სოსიედადი	1,6	3,2	3,6

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XLII ტური

19.06	კომპოსტელა — ორენსე	1,3	4,0	7,5
	ლეიდა — მერიდა	1,8	2,8	4,4
20.06	ეიბარი — ტოლედო	1,7	3,6	2,5
	სპორტინგი — ალბასეტე	1,5	3,4	5,6
	ლას პალმასი — ბარსელონა B	1,25	4,4	4,0
	მალიორკა B — ერკულესი	1,15	4,0	8,0
	ატლეტიკო B — ოსასუნა	1,5	3,3	6,0
	რაიო ვალეკანო — ბადახოსი	1,1	5,0	10,0
	ლოგრონიესი — ლეგანესი	1,9	2,0	4,2
	ნუმანსია — რეკრეატივო	1,1	5,0	10,0
	მალაგა — სევილია	2,0	2,0	4,0

ჰოლანდიის ჩემპიონატი. გადასასვლელი ტურნირი. VI ტური

19.06	ემენი — ვალვაიკი	3,0	3,0	2,0
	ზვოლე — დორდრეხტი	1,4	3,5	5,0
	გრონინგენი — სპარტა	1,5	3,4	5,6
	ექსელსიორი — ჰელმონდ სპორტი	1,3	3,2	7,0

რუსეთის ჩემპიონატი. XI ტური

19.06	ტორპედო — როტორი	1,9	2,8	3,8
	ნ. ნოვგოროდი — ცსკა	2,9	2,8	2,3
	სატურნი — სპარტაკი	6,5	3,6	1,4
	ჟემჩუჟინა — ზენიტი	2,5	2,9	2,5
	ლოკომოტივი — შინიკი	1,15	5,6	10,0
	დინამო — ურალანი	1,4	3,6	5,0
	კრილია — ალანია	2,9	2,8	2,3
	როსტსელმაში — ჩერნომორეცი	1,3	4,0	7,5

შვედეთის ჩემპიონატი. XI ტური

20.06	კალმარი — ნორჩიოპინგი	1,5	3,3	6,0
	იორგრიტე — ჰელსინგბორგი	1,9	2,9	3,6
21.06	აიკი — ულფსბორგი	1,5	3,3	6,0
	ფრიიოლუნდა — ტრელებორგი	2,0	2,8	3,5
22.06	მალმიო — გიოტებორგი	2,0	2,8	3,5

ნორვეგიის ჩემპიონატი. XII ტური

19.06	სტრომსგოდსეტი — ლილესტრიომი	2,4	2,8	2,7
20.06	ბოდო გლიმტი — კონგსვინგერი	2,4	2,8	2,7
	ბრანი — ოდ გრენლანდი	1,9	2,8	3,8
	მოლდე — მოსი	1,3	3,2	5,6
	რუსენბორგი — სტაბეკი	1,3	3,2	5,6
	ვიკინგი — სკეიდი	1,6	3,2	3,6

პორტუგალიის თასის ფინალი

19.06	ბეირა მარი — კამპომაიორენსე	2,6	2,9	2,4

ინტერტოტო. პირველი ეტაპი. I მატჩები

19.06	ვალერენგა (ნორვეგია) — ვენტსპილსი (ლატვია)	(1,1-5,0)	1,3	4,0	7,5
	სპარტაკი (ვარნა) — სტ. ტრუიდენი (ბელგია)	(4,0-1,15)	2,8	2,9	2,3
	პოლონია (პოლონეთი) — ტილიგული (მოლდოვა)	(1,15-4,0)	1,4	3,5	7,0
	რუდარი (სლოვენია) — ჰალმსტადი (შვედეთი)	(3,1-1,25)	2,4	2,9	2,6
	ჰერფოლგე (დანია) — ჟილინა (სლოვაკეთი)	(1,7-1,7)	1,8	3,0	4,0
	ბაკაუ (რუმინეთი) — არარატი (სომხეთი)	(1,05-7,5)	1,2	5,0	9,0
	ვიტებსკი (ბელარუსი) — ვარტექსი (ხორვატია)	(5,0-1,1)	2,8	2,9	2,3
	უნიონი (ლუქსემბურგი) — ვაშაში (უნგრეთი)	(5,0-1,1)	4,4	3,1	1,7
	დრაგოვოლიაცი (ხორვატია) — ნიური (ჩრდ. ირლანდია)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
	მაკაბი ჰაიფა (ისრაელი) — ყარაბაღი (აზერბაიჯანი)	(1,05-7,5)	1,1	6,0	12,0
	ცემენტარნიცა (მაკედონია) — კოლხეთი ფოთი		ანგარიში — 5,0		
	ივედინსტვო (ბოსნია) — გოტუ (ფარერები)	(1,1-5,0)	1,15	5,6	10,0
	აკრანესი (ისლანდია) — ტეუტა (ალბანეთი)	(1,25-3,1)	1,5	3,4	5,6
20.06	შელბურნი (ირლანდია) — ქსამაქსი (შვეიცარია)	(4,0-1,15)	2,5	2,9	2,5
	პობედა (მაკედონია) — ტრენჩინი (სლოვაკეთი)	(3,5-1,2)	2,3	2,9	2,8
	აბერისტუითი (უელსი) — ფლორიანა (მალტა)	(2,0-1,5)	2,3	2,9	2,8
	იოკერიტი (ფინეთი) — ნარვა (ესტონეთი)	(1,2-3,5)	1,3	4,0	7,5
	კოროტანი (სლოვენია) — ბაზელი (შვეიცარია)	(3,5-1,2)	2,8	2,9	2,3
	ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — გომელი (ბელარუსი)	(1,15-4,0)	1,35	3,8	7,0
	ჩაჰლაული (რუმინეთი) — ეკრანასი (ლიტვა)	(1,15-4,0)	1,3	4,0	7,5

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი (აშშ). I ტური

19.06	აშშ — დანია	1,3	3,2	5,6
	ბრაზილია — მექსიკა	1,4	3,5	5,0
	იაპონია — კანადა	2,7	2,8	2,4
	ჩინეთი — შვედეთი	4,4	3,1	1,7
20.06	ნორვეგია — რუსეთი	1,3	3,2	5,6
	ავსტრალია — განა	1,5	3,4	5,6
	გერმანია — იტალია	1,9	2,8	3,8
	კორეა — ნიგერია	1,3	3,2	5,6

კალათბურთი. NBA. ფინალის II მატჩი

18.06	სან ანტონიო — ნიუ იორკი	1,3	12,0	2,8

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი (საფრანგეთი). I ტური

21.06	მაკედონია — საფრანგეთი	3,5	12,0	1,2
	ისლანდია — იუგოსლავია	4,0	12,0	1,15
	უნგრეთი — ესპანეთი	7,5	12,0	1,05
	სლოვენია — რუსეთი	2,5	12,0	1,35
	ბოსნია — უნგრეთი	1,9	12,0	1,55
	ხორვატია — იტალია	1,7	12,0	1,7
	ჩეხეთი — ლიტვა	7,5	12,0	1,05
	გერმანია — საბერძნეთი	5,0	12,0	1,1

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყი პროვინციელები

16 ივნისი

სან ანტონიო 89:77 ნიუ იორკი

მოხდა ის, რაც წესით და რიგით უნდა მომხდარიყო კიდეც, მოიგო გუნდმა, რომლის გამარჯვებასაც ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც ელოდა. კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალში თავის ისტორიაში პირველად მოხვედრილმა სან ანტონიომ ფინალური სერიის ანგარიში თავისი გამარჯვებით გახსნა და დაამტკიცა, რომ პატარა პროვინციული ქალაქის დიდ საკალათბურთო გუნდს სერიოზულად განუზრახავს ჩრდილოეთ ამერიკის საკალათბურთო სამყაროს უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა. „სფურზმა“ ამ საკმაოდ სოლიდური გამარჯვებით ერთი ნაბიჯი გადადგა საბოლოო გამარჯვებისაკენ. ნბა-ში 23-წლიანი არსებობის მანძილზე სან ანტონიო ასეთი ძლიერი არასოდეს ყოფილა. გუნდის სოლიდურობაზე ისიც მეტყველებს, რომ „სფურზმა“ წლევანდელ პლეი ოფში ზედიზედ ათ გამარჯვებას კიდევ ერთი — ფინალური მოაყოლა და თერთმეტიც მოუგროვდა. მიყოლებით თერთმეტჯერ კი პლეი ოფში მხოლოდ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ უმარჯვია 1989 წელს. ზუსტად ათი წლის შემდეგ დიადი მეჯიქ ჯონსონის ბრწყინვალე გუნდის მიღწევა გაიმეორა სან ანტონიომ და საესებით მოსალოდნელია რეკორდი გაუმჯობესოს. ამისთვის კი მეორე შინაური მატჩის მოგებაც მართებს, რაც, რა თქმა უნდა, არცთუ იოლი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. ნიუ იორკი რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა, ეს პირველ თამაშშიც გამოჩნდა, თუმცა საბოლოო ჯამში იგი 12 ქულით დაამარცხა მეტოქემ, ფინალური მატჩის 12 ქულით მოგება კი სან ანტონიოს იმის საფუძველს აძლევს, რომ საბოლოო გამარჯვებაზე იფიქროს. ყოველ შემთხვევაში მან უკვე იგდო უპირატესობა ხელში და ძნელად თუ მოხდება, რომ იგი არ გამოიყენოს.

ნბა-ს ფინალი მსოფლიო სპორტში წლის ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი მოვლენაა და უდიდეს ინტერესს იწვევს. ინტერესი არც ამ მატჩს აკლდა. სან ანტონიოს ოცათასკაციან დარბაზ „ალამოდოუმში“ არც მეტი, არც ნაკლები, 39 514 მაყურებელი მივიდა. მეტი დარბაზმა უბრალოდ არ დაიტია, თორემ გულშემატკივართა რიცხვი რამდენიმე ათეული ათასით გადააჭარბებდა. გადაჭედილ „ალმოდოუმში“ შეკრებილმა აუდიტორიამ სამხრეთელებისთვის დამახასიათებელი გულმხურვალებით უქომაგა „სფურზს“ და თავისი საყვარელი გუნდის პირველი ფინალური შეხვედრის გამარჯვებით ერთობ გაიხარა.

მატჩს ყურადღება არც მედიამ მოაკლო — შეხვედრის ტელეტრანსლაცია ორი ათას არხზე მიმდინარეობდა.

თამაშის დაწყებამდე ნიუ იორკი დიდი პრობლემების წინაშე იდგა. მწვრთნელ ჯეფ ვან განდის აფიქრებდა, ცენტრი პატრიკ იუინგი რომ არ ჰყავდა. ამ ბებერ გოლიათს ინდიანასთან აღმოსავლური ფინალის ერთ-ერთი მატჩისას თავის მრავალრიცხოვან ტრავმათაგან ერთ-ერთი — აქილევსის მყესის ტრავმა გაუმიზეზდა. მისი არყოლა ინდიანასთან იმდენად არ დასტყობია ნიუ იორკს, რამდენადაც სან ანტონიოსთან, რადგან ამ უკანასკნელთა მთავარი დამრტყმელი ძალა რობინსონ-დანკანის დუეტი, რომელსაც ჟურნალისტებმა ორმაგი კოშკი შეარქვეს, სწორედ იუინგის მოქმედების არის მპყრობელია. ბებერი პატრიკიც გარკვეულწილად მაინც შეზღუდავდა მათ ბატონობას ფარქვეშ. ნიუიორკელები იუინგის არყოფნას შეგუებულებიც იყვნენ, მაგრამ აქ კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი. ასევე ინდიანასთან ბოლო შეხვედრისას მუხლის ტრავმა მიიღო ნიუიორკელთა მეორე მძლავრმა „ფარქვეშელმა“ ლარი ჯონსონმა და ფინალის პირველ შეხვედრაში მისი მონაწილეობა სათუო იყო. თუ ჯონსონი ვერ მოახერხებდა თამაშს, ნიუ იორკს ფაქტობრივად წაგება გარანტირებული ექნებოდა და ვან განდიმ ჯონსონს განაჩენი გამოუტანა — მას ფეხი შეუხვიეს და მოედანზე შეუშვეს, თანაც მასპინძელთა ძლევამოსილ ლიდერს ტიმ დანკანს მიუჩინეს. ტიმ დანკანმა განაჩენი აღასრულა. ჯონსონი დანკანზე მძიმეა, მაგრამ სულ 201 სანტიმეტრის სიმაღლის პატრონი, დანკანზე მთელი თორმეტი სანტიმეტრით დაბალი, თანაც როგორ მდგომარეობაში. ჯონსონმა 21 წუთი ითამაშა, სულ ხუთ ქულას და ერთადერთ მოხსნას დასჯერდა და ხუთ პერსონალურსაც გამოჰკრა ხელი. იმ დღეს ჯონსონს ტრავმა რომც არ ჰქონოდა, ალბათ, მაინც ვერაფერს მოუხერხებდა ყმაწვილ ტიმს. 1997-98 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა დანკანმა პირწმინდად დაჩაგრა 1991-92 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა, ისიც და სხვებიც, ვინც მისი მეურვეობა ითავა. მთელი მატჩის განმავლობაში ბომბავდა ტიმი მეტოქის კალათს, ხსნიდა ბურთებს და შეხვედრაც ისე ჩამთავრდა, მის შეჩერებას ვერა და ვერ დაადგა საშველი. „მას ახალი არაფერი გაუკეთებია — ამბობდა დევიდ რობინსონი — გააკეთა ის, რაც იცოდა და გააკეთა ბრწყინვალედ“. და რობინსონი? იგი თანაგუნდელს 20 ქულით ჩამორჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, დაცვაში გასწია დიდი სამუშაო, მეტოქის ფარზე დანკანს საქმეს უადვილებდა. ამ 216-სანტიმეტრიანმა კაცმა, ყველაზე დიდმა იმ დღეს მოედანზე მყოფთაგან, 7 პასიც მიითვალა და მხოლოდ თანაგუნდელ გამთამაშებელ აივერი ჯონსონს ჩამორჩა.

თვითონ მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, ამავე დროს კარგი სანახავიც. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმ დღეს ამ საქმის უამრავი დიდოსტატი ცდილობდა, მეტოქისთვის თავისი სიძლიერე დაემტკიცებინა. მატჩის დასაწყისში უფრო ნიუ იორკი მძლავრობდა. მშვენივრად ირჯებოდა მისი უკანა ხაზი სპრიუელის, ჰიუსტონისა და ვორდის შემადგენლობით. მათი ძალისხმევით პირველი მეოთხედი მასპინძლებს დარჩათ 27:21. მეორე მეოთხედშიც მშვენივრად გამოიყურებოდნენ ლიდერები, მაგრამ ეს დასაწყისში. თორმეტწუთეულის შუაში ჰიუსტონის და სპრიუელის ნახტომში ჩაგდებულმა ანგარიში 35:31 გახადა. ამის შემდეგ კი გამოფიზხლდა მასპინძელი გუნდი, ამუშავდა „ორმაგი კოშკი“ და სან ანტონიომ დარჩენილი დრო 14:2 მოიგო. ამ მეოთხედში ნიუ იორკი მხოლოდ 10 ქულას დასჯერდა მაშინ, როცა მარტო დანკანის წილად 11 მოდიოდა. ნიუ იორკმა ხელიდან გაუშვა უპირატესობა, მეორე ნახევარში ველარც მოახერხა წინ გასვლა. ნიუ იორკს გარჯას ნუ დავუკარგავთ და აღვნიშნოთ, რომ სტუმარი გუნდი ძალიან ცდილობდა, მეორე მეოთხედში გაფუჭებული საქმე მესამეში გამოესწორებინა, მაგრამ დანკანი, „დმირალთან“ ერთდა, ნიუიორკელთა შედეგიან შეტევებს ასევე პასუხობდა. ჯონსონ-კემბის დუეტს „სფურზის“ ლიდერებთან ბრძოლისას კარგი დღე არ დაადგა. შესამჩნევი იყო სიმაღლეში სხვაობა. ვინ იცის, რამდენჯერ ინატრეს სტუმრებმა რობინსონისხელა იუინგი. მაღლებს რომ არაფერი გამოსდიოდათ, ლიდერობამ თავის თავზე ლატრელ სპრიუელმა იტვირთა და ბოლო ორნახევარ წუთში საშუალო მანძილიდან ზუსტი სროლებით და ბრწყინვალე გარღვევებით რვა ქულა მიიითვალა, მაგრამ მისი თავგამოდების საპასუხოდ მასპინძელი დაბლებიც მშვენივრად ირჯებოდნენ და სხვაობა ყოველთვის 8-10 ქულა იყო. ბოლოსწინა თორმეტწუთეულიც ასევე 8-ქულიანი სხვაოით ჩამთავრდა.

ბოლო მეოთხედის დასაწყისში მასპინძელთა თავკაცმა, გრეგ პოპოვიჩმა, დაქანცული ძირითადები დაასვენა და ნიუ იორკმა სხვაობა ექვს ქულამდე დაიყვანა. ბოლო მეოთხედის შუაწელს კვლავ გამოჩნდნენ რჩეული სანანტონიოელები და ნიუ იორკის გარჯაც წყალს მისცეს. დანკანმა ერთ მონაკვეთში სამი ბურთი ჩააგდო, სამივე ჯონსონს ზემოდან. იქ ჯარენ ჯეკსონმაც სამქულიანების სროლას მიჰყო ხელი და მეოთხედის დამთავრებამდე 2,22 წუთით ადრე სხვაობა 15 ქულა გახდა — 87:72. მთელ მეოთხედში ჰიუსტონის პასიურობის შემხედვარე სპრიუელმა ისევე თავად მოინდომა საქმის გამოსწორება, მაგრამ მის შეჭრას რობინსონის დაფარება მოჰყვა, შორიდან ნასროლებიდან კი არც ერთმა ბურთმა არ ინება მასპინძელთა კალათში ჩაშვება. მიუხედავად დიდი მონდომებისა, სპრიუელი ბოლო თორმეტწუთეულში მხოლოდ სამ ქულას გამორჩა, ერთით მეტს, ვიდრე სიდნეის ოლიმპიადისთვის გამზადებული ალან ჰიუსტონი.

დამთავრდა მატჩი და სანანტონიოელებმა ერთმანეთს მიულოცეს გუნდის პირველ ფინალური მატჩის გამარჯვებით დასრულება. შემდეგი შეხვედრაც სან ანტონიოში გაიმართება დღეს ღამით, ძალიან გაუჭირდება ნიუ იორკს.

ირაკლი ფირაზვილი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

NBA Finals 1999

სან ანტონიო — ნიუ იორკი 1:0

სან ანტონიო 89:77 ნიუ იორკი

1 მატჩი. 16 ივნისი. სან ანტონიო. ალამოდოუმი. 39 514 მაყურებელი

მსაჯები: ბენეტ სალვატორე, ჰიუ ევანსი, სტივ ჯეივი

სან ანტონიო	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ.	ქ.
ა. ჯონსონი	38	2/3	0/0	2/4	2	8	0	0	0	6
ელი	38	3/7	0/2	3/4	4	3	1	0	1	9
ელიოტი	29	3/6	1/2	0/0	3	3	2	0	2	7
დანკანი	44	13/21	0/0	7/10	16	2	2	2	3	33
რობინსონი	37	3/10	0/0	7/12	9	7	3	3	3	13
ჯეკსონი	25	6/13	5/10	0/0	2	2	1	0	4	17
როუზი	15	1/3	0/0	0/0	1	0	0	1	4	2
კერი	9	0/2	0/1	0/1	0	0	0	0	0	0
დანიელსი	3	1/2	0/0	0/0	0	0	0	0	0	2
კერსი	2	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	1	0
სულ	240	32/67	6/15	19/31	37	25	9	6	18	89

ნიუ იორკი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ.	ქ.
ფორდი	24	3/6	1/3	0/0	4	3	0	2	1	7
ჰიუსტონი	43	7/17	0/2	5/5	2	3	0	0	3	19
სპრიუელი	46	9/24	1/2	0/0	7	2	0	0	2	19
ლ. ჯონსონი	21	1/3	0/0	3/4	1	1	0	1	5	5
დადლი	24	0/3	0/0	2/6	5	0	0	2	3	2
ტომასი	31	5/11	0/0	3/4	16	0	4	0	4	13
ჩაილდსი	26	1/8	0/1	0/0	2	3	2	0	4	2
კემბი	23	5/8	0/0	0/0	6	0	1	1	5	10
ჰ. ვილიამსი	2	0/1	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
სულ	240	31/81	2/8	13/19	43	12	7	6	27	77

სან ანტონიო — ნიუ იორკი. 1 მატჩი. 16 ივნისი

ფაქტები ❋ ფაქტები ❋ ფაქტები

სან ანტონიოს „ალამოდოუმში“ გამართულ შეხვედრას 39514 მაყურებელი დაესწრო. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალების ისტორიაში, ამაზე მეტი ხალხი 1988 წლის 16 ივნისს მივიდა დეტროიტში, როცა იქაური პისტონზი „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ შეხვდა. ის შეხვედრა 41732 ადამიანმა ნახა.

ყველაზე მეტი მაყურებელი

41 732	დეტროიტი — ლეიკერსი	16 ივნისი, 1988
39 514	სან ანტონიო — ნიუ იორკი	16 ივნისი, 1999
39 457	სიეტლი — ვაშინგტონი	30 მაისი, 1978
39 188	დეტროიტი — ლეიკერსი	12 ივნისი, 1988

მეორე მეოთხედში ნიუ იორკმა 10 ქულა ჩააგდო. ეს ფინალების ისტორიაში მეორე უცუდესი შედეგია. ერთ მეოთხედში ამაზე ნაკლები მხოლოდ „იუტა ჯაზმა“ გააკეთა: 1998 წლის 7 ივნისს 9 ქულა ჩაუგდო „ჩიკაგო ბულზს“.

ყველაზე ცოტა ქულა ერთ მეოთხედში

9	იუტამ ჩიკაგოს წინააღმდეგ	7 ივნისი, 1998
10	ნიუ იორკმა სან ანტონიოს წინააღმდეგ	16 ივნისი, 1999
	ჩიკაგომ სიეტლის წინააღმდეგ	12 ივნისი, 1996

სან ანტონიომ გაიმეორა ერთ სეზონში ზედიზედ მოგებული საპლეიოფო მატჩების რეკორდი. ეს მოგება ზედიზედ მე-11 გახლდათ. იგივეს მიღწევა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ 1989 წელს შეძლო.

ზედიზედ მოგებული საპლეიოფო მატჩები

11	სან ანტონიო სფურზი	1999
	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1989
9	ჩიკაგო ბულზი	1996
	ლოს ანჯელეს ლეიკერსი	1982

16-გუნდიანი პლეი ოფის გათამაშება 1984 წლიდან მიმდინარეობს. ამ ხნისგანმავლობაში 15-დან 10 გუნდი, რომელმაც მოიგო პირველი მატჩი, საბოლოოდ ასოციაციის ჩემპიონი გახდა.



REUTERS სან ანტონიოდან

შონ ელიოტი (მარჯვნივ) ბურთს უმალავს ლატრელ სპრიუელს



REUTERS სან ანტონიოდან

დევიდ რობინსონი (ბურთით) კურტ ტომასს გაურბის



REUTERS სან ანტონიოდან

ტიმ დანკანი (№21) და ლარი ჯონსონი შებმულან

ქართველ სპორტსმენებს პროფესიონალები გაყიდიან

ამერიკულმა სააგენტომ თვალი ვლადიმერ ბოისას და თბილისის „დინამოს“ 10 ფეხბურთელს დაადგა

„NT SPORT“-ზე გასვლის იდეა ორ ქართველს: ბიზნესმენ ზურაბ ბოქოლაშვილსა და ქართულ საფეხბურთო სამყაროში გულშემატკივართა კლუბ „სამპდორიას“ პრეზიდენტის სახელით ცნობილ ლევან ახვლედიანს წელს გაუჩნდათ. ისინი ამერიკული სააგენტოს პრეზიდენტს მარკ ფლეიშერს ნიუ იორკში, „NT SPORT“-ის ევროპული განყოფილების ხელმძღვანელის რიდ სალვენის დახმარებით დაუკავშირდნენ, რომელიც იმავდროულად დსთ-ში „NIKE“-ის წარმომადგენელიცაა.

ბოქოლაშვილის თქმით, საქართველოს სპორტული ბაზრით დაინტერესება განსაკუთრებით „სიეტლ სუპერსონიქსში“ ვლადიმერ სტეფანიას გადასვლის შემდეგ გამოიკვეთა. მით უმეტეს, რომ დსთ-ს ბაზარზე ამერიკული სააგენტო უკვე შემოსული იყო: „NT SPORT“-თან აკავშირებთ კონტრაქტები მოსკოვის ცსკას კალათბურთელებს კარასიოვს, კისურინს და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელს ილია ციმბალარს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდთანაც.

ამერიკული სააგენტოს საქმიანობის სფერო სპორტსმენების იმიჯზე, კონტრაქტზე, პრეზენტაციაზე, რეკლამისა და პრესტიჟის ამაღლებაზე მუშაობაა. თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყნის სპორტში დიდი ინვესტიციები სწორედ ადგილობრივ დიდ სახელებს მოაქვთ. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ლიტვა, სადაც კალათბურთში ინვესტიციები არვიდას საბონისისა და შარუნას მარჩიულონისის სახელებმა განაპირობა.

„NT SPORT“-მა ამ მიმართულებით ბევრს რომ მიაღწია, ამ ფაქტების ჩამოთვლაც დაადასტურებს: ევროპიდან NBA-ში წამსვლელ ყველა კალათბურთელს ამ სააგენტოსთან აქვს კონტრაქტი, თავად NBA-ში სააგენტოს კლიენტია 30-ზე მეტი ცნობილი კალათბურთელი, მათ შორის კევინ გარნეტი (კონტრაქტი 128 მილიონი დოლარი!), ეისი გრინი, ვლადე დივაცი... სააგენტოსთან კონტრაქტები აკავშირებს ამერიკული კრივისა და ჰოკეის რამდენიმე ათეულ ცნობილ სახელს. სააგენტოს ევროპული განყოფილების მუშაობის შედეგი კი იტალიის სერია A-ს 30-ე მეტ ფეხბურთელთან გაფორმებული კონტრაქტებია. (ცნობისათვის: ევროპული განყოფილების ოფისი მილანშია განლაგებული).

„კავკასია სპორტ მარკეტინგის“ პრიორიტეტები საქართველოში, მისივე პრეზიდენტის ზურაბ ბოქოლაშვილის თქმით, ფეხბურთი და კალათბურთია. საგენტოს წარმომადგენლობის გახსნას უკვე მიესალმნენ და საქმიანი ურთიერთობის სურვილი გამოთქვეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა.

ქართული ბაზრის შესწავლის შემდეგ უკვე გამოიკვეთა რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენი, რომლებიც სააგენტოს ინტერესის სფეროში მოექცა: სლოვენიის „პოსტონასა“ და საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ვლადიმერ ბოისა (რომელსაც სააგენტომ ბარსელონაში „NIKE“-ის ცნობილ დათვალიერებაზე მივლინება გაუხერხა), საქართველოს კადეტთა ნაკრების რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების 10 ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ წევრები. მათთან მოლაპარაკებები დასრულების სტადიაშია.

„კავკასია სპორტ მარკეტინგის“ გეგმაში საქართველოს სხვადასხვა პროფილის სკოლებთან ხელშეკრულებების გაფორმებაა. ამით უცხოეთში ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენების გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებას „NT SPORT“-ის ამერკავკასიის განყოფილება მიიღებს. „კავკასია სპორტ მარკეტინგის“ პრეზიდენტი ჯერჯერობით თავს იკავებს გაახმაუროს საკომისიოს ოდენობა, რომელიც სააგენტოს ტრანსფერის განხორციელებაში დარჩება. აქამდე ჩვენს ბაზარზე ამგვარი გარიგების საკომისიო 4-დან 12 პროცენტამდე მერყეობდა.

სააგენტოს წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ცნობილ პარტნიორთა გვერდში ყოფნა (მათ შორის, მათივე განცხადებით, არის მაიკლ ჯორდანის ცნობილი აგენტი ფოლკე) მათი საქმიანობის წარმატების გარანტია. „კავკასია სპორტ მარკეტინგს“ კონკურენტების არ ეშინია. „რაც მეტი იქნება ქართულ ბაზარზე ანალოგიური სააგენტოები, მით უკეთეს დღეში აღმოჩნდება ქართული სპორტი“ — ფიქრობს „NT SPORT“-ის ამერკავკასიის განყოფილების პრეზიდენტი.

სიმონ მენაბდე





„NT Sport“-ის კლიენტები: გარნეტი („მინესოტა“), გრინი („დალასი“) და დივაცი („საკრამენტო“) ბედს არ უჩივიან

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ

ესბერგისკენ წვალებითა და იმედებით

V ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები

ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური დღეები ჩვენი კონტინენტის მოზარდი თაობის უპოპულარესი კომპლექსური შეჯიბრებაა, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით წლეულს მეხუთედ ტარდება, საქართველოს წარგზავნილები კი მასში მეოთხედ იასპარეზებენ.

დანიის ქალაქ ესბერგში გასამართ ამ ასპარეზობამდე სამიოდე კვირაღა დარჩა. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელს, ესბერგის ოლიმპიურ სეოფელში ჩვენი ქვეყნის დელეგაციის მისიის ხელმძღვანელ კოტე ღლონტს.

— ეს ის შეჯიბრებაა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებმა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით პირველად იასპარეზეს — გვიამბობს კოტე ღლონტი — სწორედ მაშინ, 1993 წელს, ჰოლანდიის ქალაქ ვალკენსვაარდში დაიწყო საქართველოს სპორტსმენთა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელთა, ოლიმპიური მოძრაობა. ვალკენსვაარდში საქართველოს სპორტსმენებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ორივე ჯილდო ჩვენი ძიუდოისტების ანგარიშზე იყო. საქართველოს დელეგაციამ მომდევნო, ინგლისის ქალაქ ბათის ოლიმპიურ დღეებზე უკვე თითო ოქროს, ვერცხლისა და სამიც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და ეს ხუთივე მედალი ისევ ძიუდოისტებმა მოიპოვეს. ჩვენი ძიუდოისტები უმედლოდ არც შარშანწინ ლისაბონში გამართული ოლიმპიური დღეებიდან დაბრუნებულან. იმჯერად მათი ნადავლი ერთი ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოს მედალი იყო.

ლისაბონში, პირველად ამგვარი დღეების ისტორიაში, სპორტის სხვა სახეობაშიც გამოგვიჩნდნენ მედალოსნები. ესენი იყვნენ ფეხბურთელები, ვახტანგ კოპალეიშვილის აღსაზრდელები, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ.

— სპორტის ამ სახეობებში ალბათ ახლაც გეიმედებათ.

— რა თქმა უნდა, ძიუდოისტების იმედი მუდამ გვაქვს და გამონაკლისი არც ახლაა. სამწუხაროდ, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად ახლა ესბერგში ვერ წავიყვანთ ფეხბურთელებს...

— რატომ, უსახსრობის გამო თუ ლისაბონური გუნდის მომდევნო თაობის წარმომადგენელთა წარმატებისა არ გჯერათ?

— არა, რატომაც არ გვჯერა, მაგრამ მასპინძლებმა უარი შემოგვითვალეს. დიდი სურვილი გვქონდა ესბერგში ჩვენს ფეხბურთელებს ან კალათბურთელებს ეასპარეზათ. ყველანაირად ვეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ საქართველო ამ სახეობებში გამოსვლას იმსახურებდა. ორგანიზატორებს ისიც შევახსენეთ, რომ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ევროპის ახალგაზრდულ დღეებზე სპორტის სათამაშო სახეობებიდან იმ დისციპლინებში შემოგვთავაზეს გემოსვლა, რომლებიც ჩვენთან დანერგილი არ არის, ან სულს ღაფავს.

მაინც რა პრინციპით არჩევენ მონაწილეებს ამ შეჯიბრებაში, ეს ცოტა არ იყოს ბუნდოვანია. ამიტომ სპორტის სათამაშო სახეობებში გუნდების დაშვების პრინციპი გადასახედია.

ესბერგში ასპარეზობის დღეებში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების კომისიის სხდომა. ამ კომისიის წევრია აჭარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ქალბატონი რუსუდან სიხარულიძე. იგი უთუოდ მიიღებს მონაწილეობას ამ კომისიის სხდომაში და დასვავს საკითხს ამგვარ ასპარეზობებში სპორტის სათამაშო სახეობებში მონაწილეთა შერჩევის სრულყოფის თაობაზე.

— პროგრამაში ამდენი სახეობაა და ჩვენი სპორტსმენები სად იასპარეზებენ?

— პროგრამაში თერთმეტი სახეობაა. ჩვენი წარგზავნილები იასპარეზებენ ოთხში: ძიუდოში, ჩოგბურთში, მძლეოსნობასა და ვეოლოსპორტში.

— ამას წინათ გამართულ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა, რამდენადაც ვიცით, თქვა, თუ საერთო ფიზიკური მომზადებისთვის სახსრებს გამოგვიყოფთ და საამისოდ შეკრებას მოვაწყობთ, ესბერგიდან ოთხ მედალს ჩამოვიტანთო.

— დიახ, ტოტიკაშვილი ოთხ მედალს დაგვპირდა, მისი პრობლემაც გადაიჭრა და გუნდი გუშინწინ ბაკურიანის ორკვირიანი შეკრებიდან უკვე დაბრუნდა.

— ძიუდოისტთა გარდა ვისი გეიმედებათ?

— ჩოგბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ლალი ზერეკიძე ერთ მედალს გვპირდება. შეგახსენებთ, რომ შარშან მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე მან პირობა გადაჭარბებით შეასრულა და მისი ნაკრების წევრები იქიდან ერთი ოქროსა და სამი ვერცხლის მედლით დაბრუნდნენ.

— საქართველოს სპორტსმენებს შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი ფინანსური პრობლემა მუდამ აწუხებთ...

— გამონაკლისი არც ახლაა. თამაშებში მონაწილეობისა და ოლიმპიურ სოფელში ცხოვრების ხარჯები უკვე გადარიცხულია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, ხოლო გუნდის წევრთა ეკიპირება უზრუნველყო საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.

სამწუხაროდ, გვაღელვებს ის ამბავი, რომ ოლიმპიურ დღეებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც ეხება ტრანსპორტისა, სასტუმროში ცხოვრების, საკონსულო მომსახურების ხარჯებს, საპრიზო ფონდს და სხვას, დღემდე გადაწყვეტილი არ არის.

სწორედ უსახსრობის გამოა, რომ ჩვენი დელეგაცია, ამგვარი ასპარეზობის ისტორიაში პირველად, ყველაზე მცირერიცხოვანი იქნება. გაჭირვების გამო მიგვყავს მხოლოდ ის, ვისიიმედიც მეტნაკლებად გვაქვს. უსახსრობის გამო ფრანკფურტში ჩაფრენილებს ესბერგისკენ ავტობუსით 12-13-საათიანი მომქანცველი მგზავრობა მოუწევთ ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს. იქ ჩასულნი კი მეორე დღესვე შეჯიბრებებში ჩაებმებიან.

— ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში იმ ასაკის სპორტსმენები მონაწილეობენ, რომელთა აღზრდაც, მათ შორის ფიზიკურიც, განათლების სამინისტროს ევალება. ამდენად, საინტერესოა, საქართველოს განათლების სამინისტრო წყვეტს თუ დელეგაციის არა ფინანსურ პრობლემებს?

— ჯერჯერობით საქართველოს განათლების სამინისტრომ რაც გააკეთა ისაა, რომ მან ძიუდოისტებს ბაკურიანში იმ შეკრების ფინანსური პრობლემა გადაუწყვიტა. ეს არის და ეს!

საბოლოოდ ყველა გზა ისევ საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისკენ მიდის. ისინი ერთობლივად ყოველ ღონეს ხმარობენ სათანადო სახსრების გამოსაძებნად, რათა ჩვენი სპორტსმენები კარგად მოემზადონ და ესბერგში კარგი შედეგები აჩვენონ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

500 თურქი და 500 ქართველი ერთმანეთისკენ გაიწევს

ᲧᲕᲔᲚᲐ ქვეყანაში, სადაც კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არსებობს, ტრადიციისამებრ ტარდება საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ოლიმპიური კვირეული, რომლის გვირგვინიც მძლეოსნური გარბენია. გამონაკლისი არც საქართველოა.

როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით კინწურაშვილმა გვითხრა, 20-26 ივნისს საქართველოს მთელ ტერიტორაზე უნდა ჩატარდეს ამგვარი მასობრივ ღონისძიებათა კვირეული და მძლეოსნური გარბენები.

მაგრამ წლევანდელი ოლიმპიური კვირეული განსაკუთრებული იქნება. საქმე ის არის, რომ თურქეთისა და საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა გადაწყვიტეს 20 ივნისს ამ ორი ქვეყნის საზღვარზე სარფში მოეწყოს საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვანილი მძლეოსნური გარბენა. ამასთან დაკავშირებით თურქეთში, კერძოდ ხოფაში, 10 მაისს მოეწყო ორივე ქვეყნის ეოკ-თა წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც გარბენის დეტალები დაზუსტდა. გადაწყდა, რომ ორივე ქვეყანა თავის ტერიტორიაზე 500-500 მორბენალს გამოიყვანს და 5-5 კილომეტრს რბენით დაფარავს სარფისკენ, სადაც ისინი სახელმწიფო საზღვრის ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვდებიან ერთმანეთს. იქვე მოეწყობა გამარჯვებულთა დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი ყველა მონაწილეს უზრუნველყოფს მაისურათი, ქუდით და ორივე მხარეს თავგამოჩენილებს დააჯილდოვებს შესაბამისი ხარისხის მედლებით. ამასთან ყველა ხარჯებს თავის თავზე იღებს „კოკა-კოლას“ თურქეთის ორგანიზაცია.

ასე რომ, სარფი დიდი გადარბენის მოლოდინშია.

ჩვენი „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯია“ კი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ქალაქებს და რეგიონებში გამართული გარბენების ორგანიზაციული და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ორი დღის წინ დასრულდა ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ამ ტურნირს ეგვიპტე მასპინძლობდა და საბოლოოდ შვედეთის გამარჯვებით დასრულდა. სკანდინავიელებმა მეოთხედ მოიპოვეს ოქროს მედლები და რუმინელებს გაუტოლდნენ. ფინალურ მატჩამდე ერთი დღით ადრე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფის კენჭისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრებს მეტოქედ დანია ერგო. კენჭისყრასა და საერთოდ ჩემპიონატზე დასასწრებად ქაიროში ქართველ ხელბურთელთა მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძეც იყო წასული. იქაური შთაბეჭდილებების და მომავალი მეტოქის ავკარგიანობის შესახებ აზრის გასაზიარებლად ბატონ ზაზას ვეწვიეთ. ჩვენი ნაკრების თავკაცები ესპანეთ — დანიის მატჩის ვიდეოჩანაწერს უყურებდნენ...

პლეი ოფში არავინ გველოდა

ზაზა დოლიძემ დანიელები დაზვერა, თუმცა უსაქმოდ არც ისინი მსხდარან



— ბატონო ზაზა, ვისი მიწვევით და დახმარებით იყავით ეგვიპტეში?

— ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან ოფიციალური მიწვევა მოგვივიდა მე და ჩვენი ფედერაციის გენერალურ მდივან თამაზ თევზაძეს, მაგრამ წასვლა მხოლოდ მე მოვახერხე. მგზავრობის და იქ ყოფნის ხარჯები საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ გაიღო. ეგვიპტეში ჩვენმა ელჩმა აპოლონ სილაგაძემ და მისმა მოადგილემ გოჩა ჯაფარიძემ მიმიღეს. საელჩოს გვერდით მდებარე სასტუმროში ვცხოვრობდი და ქართველი დიპლომატებიც ყოველნაირად მეხმარებოდნენ, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო.

— ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს როგორ შეაფასებდით?

— ეგვიპტელებმა მსოფლიოს ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. ყველანაირად უზრუნველყოფილნი ვიყავით. მე მხოლოდ ქაიროში გამართულ მატჩებს დავესწარი, რომლებიც მშვენიერ, თანამედროვე დარბაზ „მეინ ჰოლში“ ტარდებოდა. ქუჩაში 40 გრადუსზე მეტი სიცხე იყო და გრილ დარბაზში შესვლა ერთი სიამოვნება გახლდათ.

— ეგვიპტელ ხელბურთის მოყვარულებზე რას იტყოდით?

— აფრიკის ამ ქვეყანაში ხელბურთს ძალიან აფასებენ. თამაშებზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი დადიოდა, თუმცა 30.000-იანი „მეინ ჰოლი“ მხოლოდ მასპინძელთა გუნდის მატჩებზე ივსებოდა ბოლომდე...

— და რამდენიმე ექსცესიც მოხდა, არა? მხედველობაში მაქვს ეგვიპტე — ტუნისის მერვედფინალი და ეგვიპტე — რუსეთის მეოთხედფინალი.

— ტუნისელებთან მატჩი მართლაც ძალიან დაძაბული იყო და მაყურებლებზე ამანაც იმოქმედა. თუმცა უწესრიგობა მასპინძლებს არ წამოუწყიათ. მოედანზე პირველები სტუმართა გულშემატკივრები გადავიდნენ. ეს მას მერე მოხდა, რაც მსაჯმა ერთ-ერთ ტუნისელს შვიდმეტრიანით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა, აქაოდა, ტყორცნა არასწორად შეასრულეო. შეხვედრის არბიტრი მანამდე ერთხელაც შეცდა ეგვიპტელთა სასარგებლოდ. ამან, ეტყობა, მოთმინების ფიალა აუვსო ტუნისელ ქომაგებს და მატჩიც ოცამდე წუთით შეწყდა. ხელბურთელები საერთოდ არ ჩარეულან აყალმაყალში. პირიქით, პოლიციის ჩარევამდე სწორედ ისინი ცდილობდნენ წესრიგის დამყარებას და ხალხის დამშვიდებას. საერთოდაც, მთელი ჩემპიონატის მანძილზე სპორტსმენები ძალიან პროფესიულად უდგებოდნენ თავიანთ საქმეს. არ ყოფილა არც ერთი ინციდენტი ხელბურთელებს შორის. ისინი მსაჯების თუნდაც აშკარად არასწორ გადაწყვეტილებებსაც კი არ აპროტესტებდნენ. კიდევ ერთს დავამატებდი. თითოეული სპორტსმენი მოედანზე თავდადების მაგალითი იყო. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ გამარჯვების მისაღწევად. თითქოს მათთვის ტრავმა არ არსებობდა. თუ რაიმე არ მოსტყდებოდა, მოედნის დატოვება არავის სურდა. რაც შეეხება რუსეთ — ეგვიპტის მატჩს, რუსთა მეკარე ანდრეი ლავროვი ბრწყინვალედ ირჯებოდა და მისი გუნდიც 6:0 დაწინაურდა, ლავროვმა კი რამდენიმე უძნელესი ტყორცნა მოიგერია. ამან, ეტყობა, რომელიღაც მაყურებელი საშინლად გაამწარა და მანაც წყლის ბოთლი ესროლა მეკარეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

— ჩემპიონატზე არაერთი გუნდის თამაშის ნახვის შესაძლებლობა მოგეცათ. რომელმა ნაკრებმა მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— ყველა გუნდი საკმაოდ ძლიერი იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ასეთი დონის ტურნირზე სუსტი გუნდები არ არსებობენ. თვით საუდის არაბეთიც კი, რომელმაც ჯგუფში ყველა თამაში წააგო, საშუალოზე მაღალი კლასის იყო. ყველა ნაკრებს თავისი ხელწერა ჰქონდა. შვედეთი, იუგოსლავია, ესპანეთი, საფრანგეთი ტექნიკურ, ლამაზ ხელბურთს თამაშობდნენ. რუსეთი და გერმანია კი ძირითადად ფიზიკური, ძალისმიერი თამაშის წყალობით იგებდნენ შეხვედრებს. ისე, ჩემი აზრით, რუსეთს ნამდვილად არ ეკუთვნოდა ვერცხლის მედლები. ამას უფრო ესპანეთი იმსახურებდა.

— კენჭისყრის შედეგებით თუ ხართ კმაყოფილი?

— უკმაყოფილობის მიზეზი ნამდვილად არ მაქვს.

— მომავალ მეტოქეზე რას გვეტყოდით?

— დანიას ტრადიციულად ძლიერი ნაკრები ჰყავს. ხელბურთის თამაში სწორედ ამ ქვეყანაში დაიწყეს და ევროპის ელიტაშიც შედიან.

ევროპის გუნდები კი მსოფლიოში საუკეთესოები არიან. სკანდინავიელებს განსაკუთრებით ძლიერი ფრთის მოთამაშეები ჰყავთ. თუმცა მათი დამარცხების შანსი ჩვენც გვაქვს. დანიის თამაშების ვიდეოჩანაწერები ჩამოვიტანე და მათ ძირისძირობამდე შევისწავლით. ისე, ისინიც აგროვებდნენ უკვე ჩვენს შესახებ ინფორმაციას.

— სუსტ მეტოქედ ხომ არ გვთვლიან?

— საქართველოს პლეი ოფში გასვლას არავინ ელოდა. ყველა განცვიფრებული იყო ჩვენი წარმატებით. იქნებ დანიელები იოლ მეტოქედ გვთვლიან, მაგრამ იგივეს ფიქრობდნენ პორტუგალიელები, სლოვაკები და ლატვიელებიც.

— დანიას სექტემბერში უნდა ეთამაშოთ. მანამდე თუ გაქვთ დაგეგმილი ამხანაგური მატჩები ან რომელიმე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა?

— კი, რა თქმა უნდა. თუმცა ჯერჯერობით ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა და სტუ-„შვარდენის“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშია. სავარაუდოდ, ჯერ თურქეთში გავივლით მოსამზადებელი ციკლის პირველ ეტაპს, შემდეგ ავსტრიაში ან საფრანგეთში. ამ ქვეყნებიდან უკვე გვაქვს მიწვევები, თუმცა გავიმეორებ, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. საქართველოს ნაკრების ამხანაგური თამაშების ზუსტი განრიგი მომავალ კვირაში გვეცოდინება.

გაიოზ თალაკვაძე

შავი ქვა

ოლონდ ძალიან ძვირფასი

ოთხშაბათს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე მორის გრინმა მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟული რეკორდი გაუმჯობესა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ისტორიაში.

ცხელი ზაფხულის ღამეს ბერძნებს დაკუნთული ზანგების სირბილის საცქერლად სულაც არ სცხელოდათ და 80 ათასიანი ტრიბუნაც მესამედზე ოდნავ მეტით თუ იყო შევსებული, როდესაც 100 მეტრ დისტანციაზე ტაბლომ დაუჯერებელი შედეგი აანთო — 9,78 წამი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოფიციალურ დროდ ეს კი არა, 9,79 დარჩებოდა, თუმცა გრინის სიხარულს ამით არაფერი დაჰკლებია.

„მე პირველი ვიყავი და ამას ველოდი კიდეც ასე კარგად ცხოვრებაში არ მირბენია. ყველას დავუმტკიცე, ვინცა ვარ და იმედი მაქვს, ამ რეკორდს კიდევ გავაუმჯობესებ“ — განაცხადა მძლავრმა ამერიკელმა, პირველმა ადამიანმა დოპინგით გაჭყეპილი ბენ ჯონსონის შემდეგ 100 მეტრის გარბენა 9,8 წამზე სწრაფად რომ მოახერხა.

ზემოხსენებული სიტყვები საუკეთესოდ ახასიათებს 24 წლის უსაშველოდ ამბიციურ მორბენალს, რომელიც უკვე დიდი ხანია ისწრაფოდა ახალი სიმაღლეებისკენ.

„ყოველთვის მსურდა, პირველი სპრინტერი ვყოფილიყავი. როდესაც ახლა სპრინტზე საუბრობენ, ხალხი კარლ ლუისზე ფიქრობს. მე მინდა, მათ მორის გრინზე იფიქრონ.“

მომავალმა რეკორდსმენმა მძლეოსნობაში ვარჯიში 8 წლის ამ, მშობლიური კანზას სიტიში დაიწყო და სხვა მძლეოსნებისგან განსხვავებით, კოლეჯშიც კი არასოდეს უვლია. კარგა ხანს ელ ჰობსონი წვრთნიდა, სანამ 1996-ში მამამ ლოს ანჯელესში არ წაიყვანა მანქანით და ცნობილ მოძღვარს, 440 იარდზე რბენის რეკორდსმენ ჯიმ სმიტს ჩააბარა.

„ვგრძნობდი, რომ ცვლილების დრო იყო. ვიცოდი, სმიტზე უკეთესად ვერავინ გამწვრთნიდა, მან ხომ ბევრი ჩინებული მძლეოსანი გამოზარდა. ჩვენ, პირველი ნაბიჯიდან ბოლომდე გავაანალიზეთ ჩემი შესაძლებლობები. მან უამრავი რჩევა მომცა, თუ როგორ მერბინა უფრო სწრაფად“.

1997 წელს გრინმა იმავე ათენში მსოფლიოს ჩემპიონატზე იმარჯვა, იმის შემდეგ კი 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონ ტრინიდადელ ატო ბოლდონს დაუმეგობრდა. ერთად ვარჯიში ორივეს დიდად დაეხმარა.

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, გრინიცა და ბოლდონიც თითქმის ყოველდღიურად აცხადებდნენ, რომ ერთ-ერთი მსოფლიოს რეკორდს სულ მალე დაამხობდა, მაგრამ საქმე წინ არა და არ იძვროდა. ბოლოს და ბოლოს ამერიკელმა გადაწყვიტა ტრაბახისთვის ბოლო მოეღო: „რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ეს მოხდება, მაგრამ რეკორდზე ყოველდღიურად ფიქრი არ შეიძლება“.

REUTERS

მორის გრინი

დაბადა 1974 წლის 21 ივლისს, კანზას სიტში

1995 — კარიერის რეკორდი ქარიან ამინდში — 9,88 წამი, მანამდელი საუკეთესო შედეგი 10,20

1997 — ივნისი. აშშ-ის ჩემპიონი 9,90 წამით

აგვისტო. მსოფლიოს ჩემპიონი — 9,86 (ათენი)

1998 — თებერვალი. ჭერქვეშა რეკორდი 60 მეტრზე — 6,39 (მადრიდში)

ივნისი. გაიმეორა მსოფლიოს რეკორდი — 9,84 (ახალ ორლეანი). ქარის გამო არ ჩაეთვალა

1999 — 16 ივნისი. მსოფლიოს რეკორდი — 9,79 (ათენი)

ვარჯიშობს კალიფორნიაში ჯონ სმიტის ხელმძღვანელობით.

ათენშიც კი გრინი უფრო 200 მეტრზე სარბენად ჩავიდა. რაღაც არაბუნებრივი შედეგის დამყარებას სულაც არ აპირებდა. ზოგჯერ თურმე სიურპრიზებიც კარგი რამ არის.

ახლა კი გრინი სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრ დისტანციაზე გამარჯვებასაც აპირებს, რომ მისი ახალი მერსედესის ნომრებზე დაწერილი სიტყვები — „მეტი ოქრო“ გაამართლოს.

1997-ში ჯიმ სმიტმა თავის მოწაფეს „დაუმუშავებელი ალმასი“ უწოდა. ის ალმასი ახლა ბრილიანტია.

ძახა არჯევანიძე

REUTERS

მორის გრინს ათენში საკადრისი მეტოქეობა მისმა მეგობარმა ატო ბოლდონმა თუ გაუწია

100 მეტრზე რეკორდების ისტორია

10,6 წამი	დონალდ ლეპინკოტი (აშშ)	6. 07. 1912
10,4	ჩარლზ პედოკი (აშშ)	23. 04. 1921
10,3	პერსი უილიამსი (კანადა)	9. 08. 1930
10,2	ჯესი ოუენსი (აშშ)	20. 06. 1936
10,1	ვილი უილიამსი (აშშ)	3. 08. 1956
10,0	არმინ ჰარი (დასავლეთ გერმანია)	21. 06. 1960
9,95	ჯიმ ჰაინსი (აშშ)	14. 10. 1968
9,93	კელვინ სმიტი (აშშ)	3. 07. 1983
9,92	კარლ ლუისი (აშშ)	24. 09. 1988
9,90	ლეროი ბარელი (აშშ)	14. 06. 1991
9,86	ლუისი	25. 08. 1991
9,85	ბარელი	6. 07. 1994
9,84	დონოვან ბეილი (კანადა)	27. 07. 1996
9,79	მორის გრინი (აშშ)	16. 06. 1999

დაზღვეული არავინაა

ისტბორნი. ინგლისი. „დირექტ ლაინის“ ჩემპიონატი. ბალახი. საპრიზო 520 ათასი $

ბრიტანეთის უდიდესი სადაზღვევო კომპანიის სახელობის პირველობაზე ბევრი დარწმუნდა, რომ მოულოდნელი მარცხისგან არავინაა დაზღვეული: მორე წრეში ერთბაშად ორმა მთავარმა ფავორიტმა, მონიკა სელეშმა (1) და არანჩა სანჩეს-ვიკარიომ (2) წააგო.

სელეში, ისტბორნის 1996 წლის ჩემპიონი, ციცქნა ლუქსემბურგის პირველი და ერთადერთ ჩოგან ენ კრემერთან საკუთარ თავს არ ჰგავდა: უამრავი უნებლიე შეცდომა, გამოუყენებელი შანსი.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა გატჩის ოდნავ გახანგრძლივება მაინც მოახერხა, საბოლოო ანგარიშმა კრემერის უპირატესობა სრულად ვერ ასახა 6:4, 6:4.

„ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ წლეულს უკვე რამდენჯერმე დამემართა მსგავსი რამ — მოულოდნელად ყველაფერი იშლება და არაფერი გამომდის. უიმბლდონის წინ ასეთი რეპეტიცია სასიამოვნო ნამდვილად არ არის, მაგრამ იმედია, იქ უკეთ ვითამაშებ. ძალიან მსურს, ანდრე აგასის მსგავსად, მეც გავიმარჯვო, მაგრამ არ მიწდა, წინასწარ ამხელა ზეწოლის ქვეშ მოვექცე“.

კრემერს კი კარიერის საუკეთესო გამარჯვება კიდევ დიდხანს ემახსოვრება: „პატარობაში მონიკა ჩემი კერპი იყო. ყოველთვის მიყვარდა მისი სწრაფი თამაშის სტილი, ამიტომაც ეს გამარჯვება ორმაგად სასიამოვნოა“.

სელეშის მსგავსად, წლევანდელი როლან გაროსის ნახევარფინალისტმა სანჩეს-ვიკარიომ მერვედფინალში 20 წლის ფრანგს, ნატალი დეშის ვერ მოუხერხა ვერაფერი 5:7, 2:6, თუმცა რაღაც დადებითი ამაშიც დაინახა: „კარგი ის მაინც არის, რომ ეს უიმბლდონზე არ შემმთხვა. რა თქმა უნდა, მსურდა, აქ მეტი ხანი დავრჩენილიყავი და მეთამაშა, მაგრამ ხვალ ლონდონში წავალ და იქ გავაგრძელებ ვარჯიშს“.

REUTERS ისტბორნიდან

მონიკა სელეში

ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. „ჰაინეკენ ტროფი“. ბალახი. საპრიზო 500 ათასი $

მერვედფინალი: ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) — **სილვია პლიჩკე** (ავსტრია) **6:3, 6:3; ამანდა კუტცერი** (4, საშრეთ აფრიკა) — **ელენა ტატარკოვა** (უკრაინა) **6:3, 6:4; ანა კურნიკოვა** (5, რუსეთი) — **ლიზა რეიმონდი** (აშშ) **7:6, (7:4), 6:4; ნატაშა ზვეროვა** (6, ბულარუსი) — **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) **7:5, 6:1; მარიან დე შვარდტი** (სამხრეთ აფრიკა) — **ირინა სპირლეა** (7, რუმინეთი) **6:3, 6:4; ელენა ლიხოვცევა** (8, რუსეთი) — **აი სუგიამა** (იაპონია) **6:3, 6:4.**

მეორე წრე: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — **მარტინ დამი** (ჩეხეთი) **6:3, 6:4; კარლ კუჩერა** (4, სლოვაკეთი) — **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) **7:5, 6:2; იონას ბიორკმანი** (6, შვედეთი) — **იან კროსლაკი** (სლოვაკეთი) **7:5, 6:2; კენეტ კარლსენი** (დანია) — **იონ ვან ლოტუმი** (ჰოლანდია) **7:5, 6:1.**

ჰინგისი ცხენეზმა დაამუშვიდეს

თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მარტინა ჰინგისმა როლან გაროსის ფინალში შტეფი გრაფთან ჭიდილისას თავის რეპუტაციას მადიანი ლაქა მოსცხო — ბადის მეორე მხარეზე გასეირნებამ, მსაჯებთან დაუსრულებელმა დავამ, ჩოგნის დამტვრევამ, მატჩ-პოინტზე დაშვებული ხელით მონოდებამ, დაჯილდოების ცერემონიალის წინ კორტიდან გაქცევამ მარტო ტრიბუნებზე შეკრებილი 16 ათასი ფრანგი კი არა, მილიონობით ჩოგბურთის გულშემატკივარი განაარისხა.

„ეს არასოდეს განმეორდება. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და, იმედია, ამ გაკვეთილიდან სწორ დასკვნებს გავაკეთებ. მაშინ თავი ვერ დავიმორჩილე. წესები ტყუილად არ არსებობს და მე ისინი არ დავიცავი“ — ასეთი სიტყვებით ნარსდგა ინგლისელი ჟურნალისტების წინაშე ოთხშაბათს მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

თუმცა არ გეგონოთ, რომ 18 წლის შვეიცარიელი ბოდიშის მოხდას აპირებს, ან თავი ზედმეტად დამნაშავედ მიაჩნია: „სინანულს რა აზრი აქვს, ცხოვრება გრძელდება. კარგი იქნებოდა, ის მატჩი მომეგო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არა. ჩემი საქციელი სამაგალითო ნამდვილად არ იყო. მაგრამ ასე აღმზარდეს — ნაგების სიძულვილით“.

ფინალის შემდეგ მარტინა ხმაურსა და კრიტიკას თურმე ჩეხეთში გაექცა, სადაც არც ის ნაუკითხავს, პრესამ გაფუჭებულ ბავშვად და ქალების მაკინროიდ შერაცხა და არც ის გაუგია, რომ შტეფი გრაფმა „ეკიპში“ ნახევარი გვერდი რომ იქირავა და ფრანგ ქომაგებს მადლობა გადაუხადა გულშემატკივრობისთვის.

„ყოველდღიურად ორი-სამი საათი ცხენებზე ვსეირნობდი და დღის ნახევარსაც მათთან ვატარებდი. დიდი სიამოვნება მივიღე — ტყეები, მინდვრები, ხელუხლებელი ბუნება... ერთ ადგილას კი ბალახი გაკრიჭეთ, ხაზები გავავლეთ და უიმბლდონის წინ ცოტა წავივარჯიშე“.

მოზარდმა კანონის დამრღვევმა ისიც აღიარა, რომ საზეიმო ცერემონიალზე დედას, მელანი მოლიტორს რომ არ ებრძანებინა დაბრუნება, ამას არაფრით იზამდა: „სხვას არავის დავემორჩილებოდი. თავადაც ვიცოდი, რომ უნდა გავსულიყავი, ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა ყველას მიმართ. დედაჩემს ამის ორჯერ გამეორებაც არ დასჭირვებია, მას ჩემი ყველაზე უკეთ ესმის. დედაჩემის გარდა მაშინ ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, ანა კურნიკოვამ და ნატალი ტოზიამაც დამანყნარეს“.

როდესაც ჰინგისს ჰკითხეს, მაყურებლისგან უიმბლდონზეც ხომ არ მოელოდა სტვენას, ფრანგებისთვის კბენის მანსი ხელიდან არ გაუშვია: „არა მგონია, ეს აქ მოხდეს, მაყურებლები უფრო ზრდილობიანები არიან. თანაც უიმბლდონი სულ სხვანაირია“.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS ისტბორნიდან

ანა კურნიკოვა (მარცხნივ) და მარტინა ჰინგისი მოცალეობისას ფეხბურთით ერთობიან

დიდი ცეცხლოვანი ბურთები

ლონდონის ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ ლაბორატორიაში მეცნიერები საჩოგბურთო რევოლუციაზე მუშაობენ NASA-ს დახმარებით, საერთაშორისო ფედერაცია (ITF) აგერ უკვე 18 თვეა, ახალი თაობის, უფრო დიდი ბურთების შექმნას ცდილობს, რომლებიც კაცთა ჩოგბურთში მოწოდების ბატონობას მოუღებს ბოლოს.

„ბოლო 30 წლის მანძილზე ჩოგბურთში ძალიან ცოტა სიახლეები დაინერგა. მომავლის ჩოგბურთელებს, პროფესიონალები იქნებიან თუ მოყვარულები, სულ სხვანაირ ბურთებთან ექნებათ საქმე“ — მიაჩნია ITF-ის ტექნიკურ მენეჯერ ენდრიუ კოეს.

ჩოგბურთის სპეციალისტები უკვე დიდი ხანია ჩივიან, რომ ახალი გრაფიტის ჩოგნების დამსახურებით, მიმღებისთვის მოწოდებაზე რეაქციაც კი შეუძლებელი ხდება — მაგალითად, ბრიტანელი გრეგ რუზეიკის ტყვიები სიჩქარეში 240 კმ/სთ-ს აღწევს. ბალახივით სწრაფ საფარზე კარგი პირველი მოწოდება, ფაქტობრივად, ქულის მოგების გარანტიაა.

კოეს (და არა მარტო მას) მიაჩნია, რომ ეისები ფეხბურთის თერმეტმეტრიანებივით უნდა იყოს — თამაშის გასართობი, მაგრამ იშვიათი ელემენტი. ამის მისაღწევად კი საუკეთესო საშუალება ბურთების მოცულობის გაზრდაა. გამოკვლევაში ქემბრიჯის და ფშეფილდის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, თავად ITF და NASA მონაწილეობს.

ლონდონში მოწყობილი ლაბორატორია ჯეიმს ბონდელი Q-ს საცდელ ოთახებს წააგავს: ერთ კუთხეში აპარატი სხვადასხვა საფარის სიჩქარეებს ზომავს, მეორეში კი საგანგებო მოწყობილობა 200 კმ/სთ-ით იფურთხება ბურთებს.

როგორც გაირკვა, ბურთების 7 პროცენტით გადიდება მიმღებს 20 მილი- წამს, ანუ ახლანდელზე დაახლოებით 10 პროცენტით მეტ დროს მისცემს რეაქციისთვის. ასევე შეიმუშავეს ბურთი, რომელიც თიხნარზე უფრო სწრაფად თამაშის შესაძლებლობას იძლევა.

ITF-ის ყოველწლიური შეხვედრა ახალი ბურთების საკითხს ივლისში განიხილავს და შეიძლება, 2000 წლის იანვრიდან დაბალ ლიგებში მათი ექსპერიმენტის სახით გამოყენებაც გადაწყვიტოს.

„ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაც მარტო პროფესიონალურ კი არა, მთლიანად ჩოგბურთს წაადგება — აღნიშნავს კოე — მჯერა, რომ უფრო დიდი ბურთები სპორტის ვიზუალურ მხარესაც გაუმჯობესებს და მის სწავლასაც გააიოლებს“.

ოლიმპიზმი

სამარანჩმა, ოლიმპიური ბაირამობა მორჩაო

კარგი იყო კარგი ცხოვრება?!

შერცხვენილმა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, ძირფესვიანად შეცვალოს მუშაობის სტილი და თავისი მოხელენი იმგვარ ჩარჩოებში მოაქციოს, რომ სკანდალები გამორიცხოს.

სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის თამაშების გამო ატეხილი ხმაური ოლიმპიურ კომიტეტს სახელის გატეხვად და საკადრო ცვლილებებად დაუჯდა, მაგრამ ზამთრის ოლიმპიადა ხომ უნდა ჩატარდეს ამ ქალაქში 2002 წელს?

სოლტ ლეიკის ზამთრის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ იუტელი ბიზნესმენი მიტ რომნია დანიშნული. რომნი აცხადებს, რომ ორგკომიტეტი არ გაიღებს სოლტ ლეიკ სიტიში მივლინებული ოლიმპიელი მოხელეების ხუთვარსკვლავიან ხარჯებს.

„ბატონმა სამარანჩმა პირდაპირ მითხრა: „არავითარი ძღვენი, არავითარი სადილები, არავითარი სასტუმროები“, — განაცხადა რომნიმ.

ცნობილი გახდა, რომ რომნის ხელში მკვეთრად შეიკრიჭა სამზადისის ხარჯები. საჩუქრები, მუქთი სეირნობა და ასეთი რამეები ოლიმპიელ მოხელეებს არ ეღირსებათ. იმავ რომნის ხელში ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადება კარგად მიმდინარეობს. სპონსორებს უკვე გადაუციათ 550 მილიონი დოლარი, რაც 105 მილიონით მეტია, ვიდრე თავის დროზე ატლანტის ზაფხულის თამაშებისთვის შეწირული თანხა.

ეჰ, ფედია, ფედია... ცოლ-შვილი არ გეცოდება?

ცნობილმა რუსმა მოგზაურმა ფეოდორ კონიუხოვმა საკუთარი გატაცებით ოჯახიც „დააავადა“. გუშინ იგი ცოლისა და შვილის თანხლებით გავიდა ზღვაში ამერიკის ნავსადგურ ჩარლსტონიდან და გეზი საფრანგეთისკენ აიღო. ფეოდორის, ირინასა და ოსკარის გასაცილებლად მთელი ჩარლსტონი გარეთ გამოეფინა. კონიუხოვის იახტამ, რომელსაც უჩვეულო სახელი „თანამედროვე ჰუმანიტარული უნივერსიტეტი“ ჰქვია, 3500 მილი უნდა გაცუროს. დღეს იგი უკვე შევიდა გოლფსტრიმის თბილ წყლებში და 8-9 კვანძით მოძრაობს. სავარაუდოდ, იახტა 30-35 დღის შემდეგ მიაღწევს საფრანგეთს.

ხელბურთი

ნორვეგიაში სპორტული პრესის სიტყვა კანონია

ნორვეგიელ ხელბურთელ ქალთა საუკეთესო კლუბ „ბუკელაგეტის“ გარშემო მიმდინარე სკანდალი სენსაციურად დასრულდა. ორი კვირის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ თანამდებობა დაატოვებინა ფრუდე კიუვოგს, მწვრთნელს, რომელმაც წლეულს „ბუკელაგეტს“ ნორვეგიის ჩემპიონობა, თასი და ევროპის თასი მოუპოვა. ამის მიზეზი გახდა ნორვეგიაში მომუშავე ხორვატ ჟელკო ტომაჩევთან მიღწეული შეთანხმება, რომლის კლუბში საქმიანობა „ბუკელაგეტის“ მეპატრონეებს გაცილებით იაფი უჯდებოდათ.

ფრუდე კიუვოგის გადაყენების თემა მანამდე იყო ნორვეგიული პრესის პირველ გვერდებზე, სანამ კლუბის მეპატრონეები იძულებულნი არ გახდნენ, მწვრთნელი თანამდებობაზე აღედგინათ. ახლა „ბუკელაგეტის“ მეპატრონეებს ტომაჩევისთვის იმ 300 ათასი კრონის გადახდაც მოუწევთ, რომელიც ხორვატს კონტრაქტით ეკუთვნოდა. ბედნიერი ფრუდე კი მომავალ სეზონში ევროპის ჩემპიონთა ლიგის მოგებას გეგმავს.

ფიგურული სრიალი

19 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლოთოგისთვის დასაჯეს

გუშინ რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ამ სამყაროში სკანდალად მოინათლა. აღმასკომმა სპორტული რეჟიმის დარღვევის გამო ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალექსეი იაგუდინი.

იაგუდინის გარშემო აჟიოტაჟი მას შემდეგ ატყდა, რაც ალექსეი ხშირი სმის გამო ჩამოაშორეს კოლინზის პროფესიულ ტურს აშშ-ში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ პრესტიჟულ და ძლიერ შეჯიბრად ითვლება.

19 წლის მსოფლიოს ჩემპიონის არყისადმი მიდრეკილება ამერიკაში კანონის დარღვევად შეფასდა და სკანდალიც ამან გამოიწვია. ამერიკის კანონმდებლობით, სმა მხოლოდ 21 წლის შემდეგ შეიძლება. ეს ამბავი ძალიან განიცადა ანდრეის აღმზრდელმა, ცნობილმა ტატიანა ტარასოვამ, რომელმაც შეგირდი ადლერში განარიდა პრესას. სწორედ ტარასოვას მონდომების შედეგია ისიც, რომ იაგუდინს მხოლოდ პირობითი სასჯელი მისცეს. თავად სპორტსმენმა კი წერილობითი ფიცი დადო, რომ „რუსი სპორტსმენის ღირსებას“ აღარ შებღალავს.

ალექსეი იაგუდინი

მე ვამაყობ...

დეიმონ ჰილისთვის ფორმულა უკვე მოგონებაა



დეიმონ ჰილი

დაბადება: 1960 წელს, დიდი ბრიტანეთი (ლონდონი)

ცხოვრობს: ირლანდია (დუბლინი)

სიმაღლე: 182 სმ

წონა: 70 კგ

გუნდები:

ბრაბამი — 1992 წ
უილიამსი — 1993, 1994, 1995, 1996
ეროუსი — 1997
ჯორდანი — 1998, 1999

კლასიფიკაცია

სტარტი — 105
გამარჯვება — 22
პოდიუმი — 42
პოული — 20
საუკეთესო წრე — 19
ქულები — 356

1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონი

მისი კარიერა არაფრით ჰგავდა სახელოვანი ჩემპიონების კარიერას. ბევრს 32 წლისას უკვე გავლილი აქვს საუკეთესო წლები, ის კი ამ დროს მოვიდა ფორმალა 1-ში, მოვიდა ტესტ-პილოტად. ეს იყო 1991 წელს. მანამდე 12 წელიწადი იმ გზის გავლას მოანდომა, სხვები ერთ-ორში რომ გადიან. მით უფრო საკვირველი იყო ეს ისეთი მამის პატრონისთვის, როგორიც დეიმონს ჰყავდა — გრეჰემ ჰილი ხომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ავტომატურად ვერ გაუღებდა კარს ფორმალა 1-ის დიდი გუნდებისკენ, მაგრამ მაინც...

ხუთი წელიწადი მოტოციკლს აჯირითებდა, ორმოცი გამარჯვება მოიპოვა. 1984 წელს ფორმულა ფორდში სცადა ბედი. სხვადასხვა ჯილდოები და ექვსი გამარჯვება.

1986 წელს ფორმულა 3-შია, 1988 წელს — ფორმულა 3000-ში. გაივლის კიდევ ორი წელიწადი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიწვევენ ტესტ-პილოტად.

1992 წლის სეზონის ბოლოს ნაიჯელ მენსელი ტოვებს უილიამსს, გათავისუფლებულ ადგილს კი ალან პროსტის გვერდით დეიმონ ჰილი იკავებს. სადებიუტო სეზონში ჰილი სამ რბოლას იგებს და ჩემპიონატში მესამე ადგილზე გადის. შემდეგ 1994 წლის სეზონში მისი პარტნიორი ხდება ლეგენდარული აირტონ სენა. იმოლას ტრაგედიის შემდეგ, როცა სპორტულმა სამყარომ ყველა დროის უპოპულარესი მრბოლი დაკარგა, დეიმონი უილიამსის პირველ პილოტად იქცა. იმ წელიწადს მან ექვსი რბოლა მოიგო, მათ შორის იაპონიის დიდი პრიზიც, სადაც თვით მიხეილ შუმახერსაც სძლია.

1995 წლის სეზონი მისი ბიოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო და ამავ დროს, ყველაზე გულდასაწყვეტიც გამოდგა. პირველმა სტარტებმა ტიტულისკენ მიმავალი გზა როგორღაც მარტივად მონიშნა, დეიმონ ჰილსა და იმ დროს სხვა მანქანებზე მოელი თავით მაღლა მდგომ „უილიამსს“ წინ ველარავინ და ველარაფერი უნდა დადგომოდა. მაგრამ მისმა შეცდომებმა მნიშვნელოვანი რბოლების კრიტიკულ სიტუაციებში, როცა ამ სიტუაციების მეორე და მუდმივი მონაწილე მიხაელ შუმახერი იყო, ფაქტობრივად გადაწყვიტეს „უილიამსში“ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. სეზონის მიწურულს, როცა დეიმონი იგებდა რბოლას, რომელმაც მას ჩემპიონის გვირგვინი მოუტანა, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო — მის ადგილს „უილიამსში“ ჟაკ ვილნევი იკავებდა, ჰილს კი მომავალი სეზონიდან სხვა გუნდი უნდა ეძებნა. სამწუხაროდ, ეს ახალი გუნდი მეორეხარისხოვანი „ეროუსი“ გამოდგა. ცხადია, ამ მანქანით სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, თუმცა დეიმონმა მაინც მოახერხა ის, რომ უნგრეთის დიდ პრიზზე ყველასთვის შეეხსენებინა თავი. ექსჩემპიონი მთელი რბოლა ლიდერობდა და ფინიშამდე ორიოდე წრით ადრე გადაცემათა კოლოფის ჩაშლა რომ არა, არნახული სენსაციის ავტორიც გახდებოდა.

შემდეგ იყო „ჯორდანი“, ამ გუნდის ისტორიაში პირველი გრან პრი და 1998 წლის სეზონში მეოთხე ადგილი კონსტრუქტორების თასზე, რითაც მრავალი წლის მანძილზე პირველად დაირღვა დიდი ოთხეულის უილიამსი-ფერარი-მაკლარენ-ბენეტონის ჰეგემონია.

„ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, წლევანდელი სეზონის ბოლოს დავასრულო ჩემი, როგორც მრბოლის კარიერა. მე ვამაყობ ჩემი მიღწევებით, ვამაყობ იმით, რომ მოვიგე ოცდასამი გრან-პრი და ჩემპიონატი. ფორმულა 1-მა გადამიშალა უამრავი შესაძლებლობები და მეც მადლიერების გრძნობით შევინახავ ამ ფანტასტიკურ მოგონებებს. სრულად არის რეალიზებული ჩემი მისწრაფებები და ამბიციები, როგორც ჩანს, იმ ბედნიერთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებსაც უმართლებთ ცხოვრებაში. მადლიერი ვარ ყველასი, ვის გვერდითაც ვშრომობდი ამ წლების განმავლობაში. დიდებულია!“

ცოტა არ იყოს, აღელვებულმა პილოტმა ბოლოს ერთიც დაამატა: „განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადო ჩემს ცოლს ჯორჯიას, რომელმაც ფანტასტიკური მოთმინება გამოიჩინა — მშვენივრად ვიცი, რასაც ნიშნავს ფორმულა 1-ის პილოტის ცოლობა. დიდი მადლობა საკუთრივ ჩემს და საერთოდ ფორმულა 1-ის გულშემატკივრებს. ყველაფერს ვიღონებ საიმისოდ, რომ სეზონის ბოლოს ჩვენმა გუნდმა კონსტრუქტორების თასზე რაც შეიძლება უკეთესი ადგილი დაიკავოს“.

დეიმონ ჰილის გადაწყვეტილებამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის გაკვირვება გამოიწვია.

„გავოცდი, როცა გავიგე, დეიმონი მიდისო. ეს ფორმულა 1-ის ნამდვილი დანაკარგია. მიუხედავად ასაკისა, ჰილი კვლავ რჩება ერთ-ერთ უძლიერეს პილოტად.

ვინ დათვლის, რამდენი საინტერესო და ცხარე ბრძოლა გვაქვს გადახდილი მე და დაიმონს მსოფლიოს ტრასებზე! დასანანია, რომ ეს ყველაფერი აღარ განმეორდება.“



დეიმონ ჰილი ფორმულიდან მადლიერი მიდის

ირვინი თითქმის აჯანყდა

რამე ხომ არ გეშლება, ედი?

ფერარის მეორე პილოტმა ედი ირვინმა ისევ ააფორიაქა სპორტული საზოგადოება. ირლანდიელმა კვლავ გაანახლა ფერარისთან დადებული კონტრაქტის დეტალების პრესაში განხილვა.

იტალიურ ჟურნალ „Antosprint“-ში დაბეჭდილ ინტერვიუში იგი ამბობს: „როცა მე ვლიდერობ, ჩემი პარტნიორი შუმახერი კი ამ დროს მესამეა, ცხადია, რომ ვეხმარები იმ მანქანის გასწრებაში, რომელიც ჩვენ შორის არის. მაგრამ ძალიან მინდა გავიგო, როგორ მოვიქცე უფრო რთულ სიტუაციებში. მაგალითად, როცა ის ორი პოზიციით ჩამომრჩება, მე კი ვლიდერობ. ვალდებული ვარ, შევანელო სვლა და შევეცადო მივეხმარო ჩემს უკან მავალ მანქანასთან მიახლოებაში, მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლოა დასრულდეს ისე, რომ დავკარგო არა მარტო პირველი, არამედ მეორე ადგილიც.“

ირვინის ამგვარი განცხადებები მხოლოდ ერთს უნდა ნიშნავდეს: მომავალ სეზონში ირლანდიელს შუმახერთან გათანაბრება უნდა. შუმახერმა თავისი პარტნიორის განცხადების კომენტარისას თქვა: „მე დავთანხმდებოდი ირვინის შემდეგ მეორე ნომრობას, ის ჩემზე სწრაფი რომ იყოს, მე დავთანხმდებოდი თანაბარ სტატუსზე ისეთივე სწრაფი რომ იყოს, როგორც მე, მაგრამ მეჩვენება, რომ საქმე ასე არ არის.“

ფერარის პრეზიდენტი ლუკა მონტეძემოლო გუნდში ირვინის დარჩენის პერსპექტივის თაობაზე არაორაზროვანი იყო: „იმის გარანტია, რომ მომავალ სეზონში ირვინი წითელი ბოლიდის საჭესთან დარჩება, რა თქმა უნდა, არ არსებობს.“ ირვინი აკეთებს იმას, რასაც ვთხოვთ, რისთვისაც ჩვენ ის მოვიწვიეთ და კმაყოფილნიც ვართ ჩვენი არჩევანით. ახლა, ნაწილობრივ იმის წყალობითაც, რომ ასეთ გამორჩეულ მანქანას დააქროლებს, ედიმ მიაღწია მწვერვალებს, რომლებიც შესაძლოა საოცნებოა ბევრისთვის, მაგრამ არა ჩემთვის.“

ირაკლი ბერიაშვილი

ულრიხმა, ჯერ თავო და თავოო...

„შვეიცარიის ტურის“ მეორე ეტაპი პასკალ რიშარმა (შვეიცარია, მობილვეტა) მოიგო. სოლარიდან ლოზანამდე, 207 კილომეტრი მან ყველაზე სწრაფად კი გაიარა, მაგრამ მეორე ადგილზე გასულ ფრანჩესკო კასაგრანდეს მხოლოდ ერთი წამით აჯობა.

ველომრბოლელები ფინიშს ჯგუფად მიუახლოვდნენ და როცა 600 მეტრილა რჩებოდათ გასავლელი, რიშარმაც სწორედ მაშინ მიიტანა იერიში. უცბად მიღებული უპირატესობის შენარჩუნება კი მას აღარ გასჭირვებია. საერთო ჩათვლაში ლიდერის ოქროსფერი მაისურა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა შეინარჩუნა.

„ჯიროში“ გამოსვლამ სასურველი ფორმა მაპოვინა და ეს წარმატებაც ამის შედეგია“ — ახსნა პასკალ რიშარმა, რომელმაც 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, მას მერე კი მხოლოდ ერთი ეტაპი მოუგია „ტრენცენის ტურზე“ და მეტი არაფერი.

გერმანული გუნდი „ტელეკომი“ კი 72-ე კილომეტრზე ულიდეროდ დარჩა. 1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულ გერმანელ იან ულრიხს ამას წინათ „გერმანიის ტურზე“ მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი — მარცხენა მუხლი კვლავ წამოსტკივდა და ახლა საფრანგეთში მისი გამოსვლაც საეჭვოა.

„პედლებზე დაწოლისას საშინელ ტკივილს ვგრძნობდი და ამიტომაც შეკვწყვიტე რბოლა. მართალია, შვეიცარიის მთებში სიარული მომზადებისთვის ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ უპირველესად ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნო“ — განუცხადა ჟურნალისტებს ულრიხმა.

REUTERS ლოგანიდან

ლორან ჟალაბერი

მეორე ეტაპი, სოლერი — ლოზანა, 200 კმ

1. პასკალ რიშარი (შვეიცარია)	4 სთ 46 წთ 05 წმ
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია)	+1 წმ
3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი)	+1 წმ
4. ლორან დიუფო (შვეიცარია)	+1 წმ
5. ჯილბერტო სიმონი (იტალია)	+2 წმ
6. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია)	+2 წმ
7. რობერტო პეტიტო (იტალია)	+3 წმ
8. დანიელე დი პარლი (იტალია)	+3 წმ
9. მარკუს ზბერგი (შვეიცარია)	+4 წმ
10. არმინ მეიერი (შვეიცარია)	+4 წმ

საერთო ჩათვლა

1. ლორან ჟალაბერი	4 სთ 53 წთ 13 წმ
2. რობერტო პეტიტო	+18 წმ
3. პასკალ რიშარი	+19 წმ
4. ლორან დიუფო	+23 წმ
5. ოსკარ კამენზინდი	+23 წმ
6. ბეატ ზბერგი (შვეიცარია)	+24 წმ
7. მეტიუ ვაიტი (ავსტრალია)	+27 წმ
8. არმინ მეიერი	+27 წმ
9. დანიელ შნიდერი (შვეიცარია)	+28 წმ
10. ჯილბერტო სიმონი	+29 წმ

ჭრელო პეპლებო გაფრინდით ჩქარა

მარიო ჩიპოლინი

გუშინ ესპანეთში დაწყებული „კატალონიის ტური“, რომელიც რვა ეტაპისგან შედგება, ბევრი ველომრბოლისთვის გენერალური რეპეტიციაა „ტურ დე ფრანსისთვის“. როგორც იცით, სეზონის უმთავრესი შეჯიბრი 3 ივლისს დაიწყება.

კატალონიაში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ესპანელები აბრაამ ოლანო (ონსე) და ფერნანდო ესკარტინი (კელმე), შვეიცარიელი ალექს ცულე (ბანესტო), ფრანგი ლორან ბროშარი (ფესტინა) ითვლებიან. მათთან ერთად სათვალავში მისაღები კიდევ ორი სპორტსმენია — ახლახან დამთავრებული „ჯიროს“ მთავარი აღმოჩენა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გასული იტალიელი პაოლო სავოლდელი (საეკო) და კოლუმბიელი ერნან ბუენაორა (ვიტალაციო), რომელსაც ეს ტურნირი შარშან მოუგია.

უაღმართებო, სწორი ეტაპები ისეთი დიდი და სახელოვანი „პეპლების“ ბრძოლაში ჩაივლის, როგორებიც იტალიელი მარიო ჩიპოლინი (საეკო), გერმანელი ერიკ ზაბელი (ტელეკომი) და ჰოლანდიელი იერონ ბლიილევენსია. სხვათა შორის, ბლიილევენსს კატალონიაში რბოლა და ვარჯიში სასაფრანგეთოდ ნაღდად არ გამოადგება, რადგან „ტურის“ დოპინგისადმი „ზიზღით“ განწყობილმა საორგანიზაციო კომიტეტმა მისი გუნდი TVM ტურნირზე არ დაუშვა.

„კატალონიის ტურზე“ ნამდვილებისთვის სამი ეტაპია. მეოთხე და მეექვსე ეტაპებზე ორ-ორი პირველი კატეგორიის აღმართების დაძლევა მოუწევთ ველომრდოლებს, ბოლოს კი 14,2-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაცაა დანიშნული.

გაგი გურული

კოლინელიმაც პანტანის ბედი გაიზიარა

თანამემამულის — მარკო პანტანის 15-დღიანი იძულებითი დასვენების გამოცხადებიდან 10 დღის შემდეგ ანდრეა კოლინელისაც მსგავსი განაჩენი გამოუტანეს. ტრეკზე გამოდევნებაში ოლიმპიურ ჩემპიონს, პადოვას მახლობლად ვარჯიშისას, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ექიმები გამოეცხადნენ და სისხლისა და შარდის ანალიზებიც აუღეს. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე იტალიის ველოსპორტის ისტორიაში პირველი ოქროს მოგებს ჰემატოკრიტების დონე ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა და ამიტომაც კოლინელის ესპანეთში გასამართი მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის გამოტოვება მოუწევს.

მიხვედით ბაკურიანს და იფიქრეთ ოლიმპიადაზე!

ბაკურიანის, ჩვენი ერთ დროს სახელიანი ზამთრის კურორტის სავალალო ყოფა ყველამ კარგად ვიცით. იყო დრო, მისით თავს ვიწონებდით, საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტად ვრაცხდით, ახლა კი იმედად მისი სამომავლო პერსპექტივაღა დაგვრჩენია. დრომ ძველი ყველაფერი თან გაიყოლა და ნუგეშად მომავალი დაგვიტოვა. პერსპექტივა, იცოცხლეთ, კარგია. ამ ბოლო ხანებში გახშირდა ლაპარაკი ბაკურიანის, როგორც კურორტის, რესტავრაციის თაობაზე, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIS) დახმარებაზე. ამ ფედერაციის ხელმძღვანელები არაერთხელ ესტუმრნენ ბაკურიანს. ერთი ამოგანი — ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **იოზეფ მაინერი** ამ დღეებშიც იმყოფებოდა საქართველოში.

— ბატონო იოზეფ, რა მიზნით ჩამობრძანდით საქართველოში?

— მე და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი კასპერი სექტემბერშიც ვიყავით საქართველოში ბაკურიანის თაობაზე. მაშინ შევხვდით საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს. მანაც გამოთქვა ბაკურიანის აღორძინების სურვილი. ჩემი ახლანდელი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი ძირითადი ფინანსური წყაროების გამოძებნაა მის განსავითარებლად. თქვენი სამთო-სათხილამურო სპორტის ხელშეწყობაზეც ვხრუნავთ.

— კონკრეტულად რა იგულისხმება ამ დახმარებაში?

— ჩვენ ეროვნულ ფედერაციებს თანხებით არ ვეხმარებით. სპორტის ეს სახეობა თქვენი ქვეყნის მთავრობამ უნდა განვითაროს. ჩვენ შეგვიძლია, თქვენი რამდენიმე პერსპექტიული მოთხილამურე უცხოეთში სტაჟირებაზე წავიყვანოთ ან დაგეხმაროთ სხვადასხვა საშუალებებით, ოღონდ — არა ფულით.

— FIS-ი ბაკურიანის გარდა ჩვენი სხვა სამთო კურორტებითაც ხომ არ დაინტერესდა?

— ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბაკურიანი შეიძლება იქცეს ერთ-ერთ წამყვან კურორტად მსოფლიოში, ოღონდ ფულის ჩადებაა საჭირო. იქ კარგი ბუნებრივი პირობებია — თოვლი, გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, კლიმატური პირობები, მაგრამ არაა თანამედროვე დონის ინფრასტრუქტურა. მთავრობამ უნდა იზრუნოს გზების კეთილმოწყობაზე, შუქისა და წყლის შეყვანაზე... თუ ეს განხორციელდა, მაშინ უცხოელებიც დაინტერესდებიან და ფულსაც ჩადებენ. მაშინ აქ მართლაც კარგი კურორტი აშენდება.

რაც შეეხება თქვენი სხვა კურორტებით FIS-ის დაინტერესებას, ეს საკითხი ჯერ არ დამდგარა, თუმცა საქართველოშიც და მთლიანად ამიერკავკასიაშიც ბევრია ისეთი ადგილი, სადაც კარგი კურორტების მოწყობა შეიძლება. მე ყველაზე შეტად მაინც ბაკურიანი მომეწონა. თუ მას მიეხედა, რამდენიმე წლის მერე აქ ოლიმპიური თამაშების გამართვაზეც შეიძლება საუბარი. აქ ერთდროულად შეიძლება განვითარდეს ტრამპლინიდან ხტომაც, ციგურებით სრიალი და რბენაც, ბიატლონიც და სხვა სახეობები. რაც მთავარია, ის არაა ზღვის დონიდან საგრძნობლად მაღლა, რაც ხელსაყრელია ჩვეულებრივი ტურისტისთვის. ეს ქმნის ტურიზმის განვითარების წინაპირობას ზამთარშიც და ზაფხულშიც. გუდაური ამ მხრივ არაა ხელსაყრელი. ის მაღალზეა და იქ უპრობლემოდ ასვლა ყველას არ შეუძლია. მე შემიძლია, დაგისახელოთ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატები პოლონეთიდან და სლოვაკეთიდან. ისინი ინფრასტრუქტურით აღემატებიან ბაკურიანს, მაგრამ ბუნებრივი პირობებით ჩამორჩებიან.

— ზემოთ აღნიშნეთ, ბაკურიანის განსავითარებლად კონკრეტულ გზებს ვეძებთო. რას გულისხმობდით?

— ამხელა პროექტის განსახორციელებელი ფული ბევრ ქვეყანას არ ექნება. ამჟამად ჩვენ თქვენი ფედერაციის პრეზიდენტ გოგი თოფაძესთან ერთად ვმუშაობთ კერძო ინვესტორების მოწვევაზე. შეიძლება, კერძო ბანკიდანაც ავიღოთ კრედიტი. თუ ეს განხორციელდა, ალბათ, გაისიდან ბაკურიანში ორი სასტუმროს მშენებლობა დაიწყება. პროექტი უკვე მზადაა. ამასთან, ადგილობრივმა მოსახლეობამაც უნდა იზრუნოს პატარა კერძო სასტუმროების აშენებაზე. ეს საერთო საქმეს დიდად წაადგება.

— კარგა ხანია, საქართველოში ელიან FIS-ის ტრასების დირექტორ ბერნარ რუსის. მისი დასკვნა ტრასების ვარგისიანობის თაობაზე ხომ უმთავრესია. რატომ ვერ ჩამოვიდა დღემდე, ან როდის ჩამოვა?

— ივი მაისში იყო ბაკურიანში და იცნობს იქაურობას. მაშინ არ ჰქონდა იმდენი დრო, ყველა ტრასა ენახა, შეედგინა კურორტის გეგმა, რომლითაც ნებისმიერ ბანკში მივა კრედიტისთვის. ამის გაკეთებას ათი დღე მაინც უნდა. ამჯერად ის იმიტომ ვერ ჩამოვიდა, რომ სასწრაფოდ გამოიძახეს ამერიკაში. იქ ოლიმპიურ ტრასებთან დაკავშირებით წარმოქმნილია რაღაც პრობლემები. მაგრამ აგვისტოში აუცილებლად ჩამოვა.

ბოლოს მინდა მოგიყვანოთ ორი დიდი კურორტის მაგალითი. ესენია ბორმიო იტალიაში და სანკტ მორიცი — შვეიცარიაში. 35 წლის წინ ისინი მხოლოდ ზაფხულობით იღებდნენ დამსვენებლებს, ზამთარში კი დიდთოვლობის გამო გზები იკეტებოდა. მერე გზები გაიყვანეს, განავითარეს ზამთრის სპორტი და ევროპის უდიდეს კურორტებად იქცნენ. ახლა ზამთარ-ზაფხულ იქ მუდამ ხალხმრავლობაა, თავისუფალი ადგილები ყოველთვის პრობლემაა. შეიძლება ასეთი რამ ბაკურიანშიც მოხდეს. თქვენ გაქვთ კარგი აეროპორტი და თუ ბაკურიანში გზასაც გააკეთებთ, მაშინ ბევრი ტურისტი ჩამოვა. იქ მისასვლელი გზაა უმთავრესი პრობლემა. თუ ადამიანს ეცოდინება, რომ თბილისიდან ორიოდე საათის სავალში კარგად დაისვენებს, ანუ ისრიალებს თოვლ-ყინულზე და მოისვენებს კარგ სასტუმროში, მაშინ აქეთ წამოსვლის სურვილი ბევრს გაუჩნდება.

ირაკლი თავაძე

ჰოკეი

ციფრები ბუფალოს ქომაგობენ

STANLEY CUP PLAYOFFS

თასის ფინალში რომელ კლუბსაც უნდა ქომაგობდნენ, ჰოკეის მოყვარულები მაინც უაღრესად კმაყოფილნი უნდა იყვნენ.

მოსაბეზრებელ, უინტერესო სერიას ველოდით და ძალიან დაძაბული, უკომპრომისო, თავგანწირული ბრძოლის მოწმენი კი გავხით, რომელშიც ნებისმიერი შეცდომა საბედისწეროა.

მას შემდეგ, რაც ბოლო ოთხი წლის ფინალი მშრალი ანგარიშით დასრულდა და ზოგიერთმა რადიკალურად მოაზროვნე სპეციალისტმა პელი ოფის ფორმატის შეცვლაც კი მოითხოვა, ჩვენ 255-წუთიან დიდ დაპირისპირებას ვუყურებთ, სადაც გარდა მეორე მატჩის ბოლო 26 წამისა (!), ერთ შაიბაზე მეტი უპირატესობისთვის არც ერთ მეტოქეს მიუღწევია.

ბოლოს ფინალური სერიის მსვლელობისას 2:2 მხოლოდ 1991 წელს დაფიქსირდა, პიტსბურგისა და მინესოტას დუელში, ხოლო ის, რომ მეტოქეებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს და ოთხი თამაშიდან სამში მინიმალური სხვაობით, 1964 წლის შემდეგ აღარ ყოფილა.

ციფრები უფრო ბუფალოს სასარგებლოდ მეტყველებს. პირველი გოლის გატანის შემთხვევაში „ხმლებმა" 14 თამაშიდან 11 მოიგეს, ერთგოლიანი სხვაობით დასრულებული ცხრა მატჩიდან რვაში იმარჯვეს. გარდა ამისა, ცხრავე თამაში მოიგეს, რომლებშიც ორი პერიოდის შემდეგ იგებდნენ.

დალასის მიერ 21 გამართული შეხვედრიდან 13 ერთშაიბიანი სხვაობით დასრულდა. აქედან 7 ვარსკვლავებმა მოიგეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ტეხასელებმა ბოლო ორ მატჩში მეტოქეს, რომელიც მანამდე დიდებულად გამოიყურებოდა, რიცხვმრავლობაში 13 ცდიდან ერთიც არ გამოაყენებინეს.

რაც შეეხება მატჩების შინაარსს, კაცმა რომ თქვას, სპეციალისტთა ვარაუდი გამართლდა. თვით ყველაზე საინტერესო, მეოთხე თამაშშიც კი ვერ ვეღირსეთ ბოლომდე გახსნილი ჰოკეის ხილვას. ძალიან იშვიათი იყო შეტევისას რიცხვობრივი უპირატესობის შექმნა, თუმცა ასეთი გუნდებისგან ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგან ისინი ერთნაირი სტილით თამაშობენ — საიმედო დაცვა და მეტოქეთა შეცდომებზე დადარაჯება.

„ვფიქრობ, გახსნილ ჰოკეის მაშინ ვითამაშებთ, როცა ერთ-ერთი ორი შაიბით მაინც დავწინაურდებით. რისკი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება" — გულახდილად განაცხადა ბუფალოელთა მწვრთნელმა ლინდი რაფმა.

მას დალასელი მაიკ მოდანოც ეთანხმება: „ორივე გუნდი ისე კარგად იყენებს მეტოქის შეცდომებს, ზედმეტი გაბედულობის საჭიროება არ არის".

გარდა ამისა, ორივე მეკარე ბრწყინვალედ და უშეცდომოდ თამაშობს. ბევრი შაიბაც ამიტომ არ გადის. მართალია, მიმოხილვებში უფრო დომინიკ ჰაშეკს გამოვყოფდით, რომელსაც მართლაც დიდი სამუშაო უწევს, მაგრამ დალასელი ედ ბელფორიც მაღალოსტატურად თამაშობს.

ყოველივე ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმე მაინცდამაინც მეშვიდე მატჩამდე მივა. სავსებით შესაძლებელია, რომ მომდევნო ორივე თამაში ერთ-ერთმა მეტოქემ მოიგოს.

„კალგარისთან 1989 წლის ფინალური სერიაც ასე დრამატულად მიმდინარეობდა. მაშინაც რამდენიმე ოვერტაიმიანი თამაში იყო და ხშირად ბოლო წუთებზე წყდებოდა მატჩის ბედი, მაგრამ სერია ექვს შეხვედრაში დასრულდა" — იხსენებს დალასის ვეტერანი ბრაიან სკრუდლანდი, რომელიც მაშინ მონრეალის ღირსებას იცავდა.

დაბოლოს, ერთი საინტერესო შენიშვნაც. გასაკვირია, მაგრამ გამოუცდელი და ახალგაზრდა ბუფალო უფრო მეტ მოთმინებას იჩენს, თანაც დალასელები უფრო მეტ საბედისწერო შეცდომას უშვებენ. ასე იყო სერიის პირველ (ოვერტაიმში ვულის მიერ გატანილი) და მეოთხე მატჩებში.



ბობი ფრენსისი

კოიოტებს ფრენსისი მოათვინიერებს

ოთხშაბათს ფინიქსელ კოიოტებს ახალი მთავარი მწვრთნელი დაენიშნათ. გათავისუფლებული ჯიმ შონფელდის ნაცვლად ბოსტონის ყოფილი მწვრთნელ-ასისტენტი ბობი ფრენსისი დაინიშნა. როგორც ამბობენ, ფრენსისმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 350 000 დოლარს მიიღებს.

40 წლის სპეციალისტის წინაშე (იგი ცნობილი მწვრთნელის ემილ ფრენსისის ვაჟიშვილია) მდგარი ამოცანებიდან უმთავრესი პლეი ოფის მეორე რაუნდში გასვლაა. შეგახსენებთ, რომ 1987 წლის შემდეგ ფინიქსი (ყოფილი ვინიპეგი) ცხრაჯერ გავიდა პლეი ოფში, მაგრამ საბედისწერო პირველი წრე ვერა და ვერ გადალახა.

ფრენსისის კანდიდატურა მას შემდეგ ამოტივტივდა, რაც „კოიოტებმა" შონფელდის მთავარი ასისტენტის, ჯონ ტორტორელას გათავკაცება არ მოისურვეს.

სამველ ღარიბიანი



ბრეტ ჰალი

დალასმა დაკარგული ოქრო იპოვა

ამასობაში დალასელებმა სასიხარულო ამბავი შეიტყვეს — მეხუთე მატჩში „ვარსკვლავების" შეტევა სერიოზულად გაძლიერდება, რადგან ერთბაშად ორი ფორვარდის — ბრეტ ჰალის და ბენუა ჰოგის — დაბრუნებაა მოსალოდნელი.

„ოქროს ბრეტმა" მესამე მატჩის დაწყებისთანავე ტრავმა მიიღო, თუმცა ოთხშაბათს უკვე ივარჯიშა და ალბათ მოედანზეც გამოჩნდება.

ჰოგი კი განსაკუთრებული ქების ღირსია. კოლორადოსთან სერიის მეორე მატჩში მიღებულმა მუხლის სერიოზულმა ტრავმამ ის თითქოს დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან, მაგრამ მან გუნდის ფინალში გასვლის შემდეგ გადაწყვიტა, ოპერაცია გადაედო და მკურნალობა დაეჩქარებინა.

„მართალია, ექიმები სრულ გარანტიას არ მაძლევენ, მაგრამ 82 თამაშის ჩატარებას ხომ არ ვაპირებ, მაქსიმუმ — სამის" — განუცხადა ჟურნალისტებს ჰოგმა. აღსანიშნავია, რომ თავის 12-წლიან კარიერაში ცნობილ ფორვარდს ფინალში თამაშის შესაძლებლობა პირველად მიეცა.

დალასეთა ეშმაკმა მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა კი ამ ამბავს ბურუსი მოჰფინა, ვეჭვობ, ბრეტმა და ბენუამ ხუთშაბათს ითამაშონ, თუმცა ჰოგის მამაცური საქციელი მართლაც აღტაცებას იწვევსო.

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXXIV ტური

უნტერჰახინგი 1:1 კარლსრუე
0:1 გუიე-მაინი (1), 1:1 რაკლი (78)

ჰანოვერი 2:1 ვატენშაიდი
1:0 რაინჰარდტი (56), 2:0 კრეუცი (62პ), 2:1 სიმეონოვი (79)

ულმი 0:0 ფიურტი

გიუტერსლო 2:1 ფორტუნა
1:0 შარპენბერგი (14), 1:1 ჰალათი (72სკ), 2:1 ომოდიაგბე (81)

მაინცი 0:3 ბერლინი
0:1, 0:2 ფრიგარდი (1, 73), 0:3 დერმეხი (90)

კიოლნი 3:5 არმინია
1:0 მუნტეანუ (18პ), 1:1 ლაბადია (25), 1:2 რეინა (43), 1:3 ლაბადია (44), 1:4 რეინა (63), 2:4 კულმანი (83), 3:4 ლოტნერი (84), 3:5 ბოდე (85)

ზტ. პაული 6:2 კიკერსი
0:1 მინკვიჩი (10), 1:1 კლასნიჩი (10), 1:2 კევრიჩი (12), 2:2 კლასნიჩი (28), 3:2 მარინი (30), 4:2 კლასნიჩი (53), 5:2 ჰანკე (64), 6:2 კლასნიჩი (70)

კოტბუსი 6:0 ურდინგენი
1:0 ჰაიდრიხი (11), 2:0 ლაბაკი (52) 3:0 ჰაიდრიხი (67), 4:0 ლაბაკი (81), 5:0 ჰაიდრიხი (84), 6:0 ლაბაკი (88)

ობერჰაუზენი 1:3 დიუსელდორფი
0:1 ბეეკი (13), 0:2 ლესნიაკი (43), 1:2 ა. ვებერი (86), 1:3 ცედი (90)

შვედეთი

XI ტური

ჰალმსტადი 4:1 იურგარდენი

ნორვეგია

XI ტური

სტაბეკი 2:3 ბრანი

1999 FIH CHAMPIONS TROPHY
QUEENSLAND- AUSTRALIA JUNE 10 - 20
FIH

ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი

ქალები. 17 ივნისი
ახ. ზელანდია 2:2 არგენტინა
გერმანია 4:0 კორეა
ავსტრალია 1:1 ჰოლანდია

ბუფალოს ქუდი მახურავს

ამ ჯეელს ნიკ მასტროკოვო ჰქვია და „ბუფალო სეიბრსის“ ყვანჯოსანთა გუნდის ქომაგია. „ბუფალო“ ჯერჯერობით ვაჟკაცურად უძალიანდება უფრო ძლიერ „დალასს“ სტენლის თასის ფინალურ სერიაში, მისტერ მასტროკოვოს კი თავისი გუნდის სიყვარული საგანგებო ქუდის შექმნით გამოუხატავს. ამ ქუდზე შემოდგმული ბუფალოელი მოთამაშენი უეჭველად ამარცხებენ დალასელებს.



REUTERS ბუფალოდან

რა დროს ყვანჯიაო

REUTERS პინჰერსტიდან

გოლფის ყვანჯოსანი ესტებან ტოლედო პირველად მონაწილეობს ამერიკის ღია პირველობაში, ჩრდილოკაროლინურ პინჰერტში რომ გახურებულა. გაამერიკელებული მექსიკელი შეჯიბრის ალაგას ცოლ-შვილით გამოცხადებულა და რახან ცოლი საჭიროების გამო სადღაც გასულა, ესტებანს ბავშვი იქვე, ბალახზე დაუსვამს. რა გასაკვირია და, პაწაწინა გოგონა, სახელად გულფია ატირებულა და მამას ყვანჯი ხელიდან გაუგდია, რათა შვილი დაეწყნარებინა. შეჯიბრიც გაჩერებულა... მაგრამ ეს ხომ ყველაფერი ლამაზია.

გიხაროდენ, ყარაჩო!

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერში რაც ფეხბურთი მოილიეს, დიდი საერთაშორისო კრიკეტია გახურებული. პაკისტანელი ფანობა ხარობს „ოლდ ტრეფორდზე“, რახანღა მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ყარაჩელ ყარაჩებს ახალზელანდიელები უძლევიათ. მეორე ფინალისტი კი ან ავსტრალიის გუნდი იქნება, ან სამხრეთ აფრიკისა.

დუაიტ გააზნაურებული

ესკოტში რომ სამეფო რბოლებია გახურებული და იქაური იპოდრომის ტერასებზე რომ მხოლოდ სისხლით გამორჩეულ ადამიანებს შეესვლებათ, გუშინაც გამცნეთ. არის ლორდების და კაი-კაი ქალების ტრიალი და სალამ-ქალამი. მაგრამ, აი, საქმით გამოჩენილი კაციც აქ მოხვედრილა — ტრინიდადელი მეთევზე, ან კი ფეხბურთის ვარსკვლავი დუაიტ იორკი, ალბათ, მშობლიურ ზღვისპირა სოფელ ქანაანში რეკავს, რათა დედას უამბოს, სულ აზნაურიშვილებში ვტრიალებო.

სანოემბრო ნიღაბი

ნიღბად იაპონიის დროშა და აუწერელი სიხარული — ასე ზეიმობს ლიბერტადორესის თასის მოგებას ბრაზილიური „პალმეირასის“ თავდამსხმელი პაულუ ნუნესი. „პალმეირასმა“ 4-3 მოუგო მატჩისშემდგომი პენალტებით კოლუმბიურ „დეპორტივო კალის“ და სამხრეთელთა უპირველეს საკლუბო ჯილდოს დაეუფლა. ჰო, აქვე: 30 ნოემბერს „პალმეირასი“ საკონტინენტთაშორისო თასს შეეცილება ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“. მატჩი, რა თქმა უნდა, ტოკიოში გაიმართება. ნიღაბიც ამას ნიშნავს.

REUTERS სან პაულოდან

გული გასკდება

სიგიჟე დაიწყო — ენბიეის ფინალური სერიის პირველი მატჩი „სან ანტონიო სფურზსა“ და „ნიუ იორკ ნიკსს“ შორის წუთი წუთზე გაიხსნება. „სფურზთა“ შეშლილი ფანი პოლ მემეტი საყვარელ გუნდს ესალმება და, ალბათ, ფიქრობს: „რა გაუძლებს მთელს ამ სერიას?“



REUTERS სან ანტონიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29